# პირველი მედალი მსოფლიოდან

ახალგაზრდული ჩემპიონატი

გვ. 10



# შერიგდნენ!

ეროვნული ბიბლიოთეკა



გვ. 8

პალიტრა მედია

ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

23 ოქტომბერი **შაბათი** 2010

№250 (13238) ფასი 60 თეთრი

# წინ, ელიტრაუნდისკენ!

გვ. 2



# დინამო ზესტაფონში...

## ...და ინტრიგა რუსთავში



XI ტურის წინათქმა

გვ. 3

ეროვნული ბიბლიოთეკა

U 17. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი

# წინ, ელიტრაუნდისკენ!

## კობა ჟორჟიკაშვილი: შვედეთი გავშიფრეთ, საკმაოდ ძლიერი გუნდია. ფრეც გვაწყობს, მაგრამ უნდა მოვიგოთ!

17-წლამდელ ჭაბუკთა შორის ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე, ჩვენს ჯგუფში დღეს დასკვნითი ტურის მატჩებია. შეგახსენებთ, რომ საქართველო შვედეთს ეთამაშება, ინგლისი კი პოლონეთს. ეს ტური გადამწყვეტია, რადგან ოთხივე გუნდს აქვს ჯგუფიდან გასვლის შანსი. ელიტრაუნდში 13 ჯგუფის ორი გამარჯვებული და ორიც საუკეთესო მესამეადგილოსანი გადის. მთავარია, ჩვენებმა სკანდინავიელებთან არ წააგონ და ჯგუფიდან გასვლა განაღდებული აქვთ. შესაძლოა, ელიტრაუნდში მარცხის შემთხვევაშიც მოვხვდეთ, მაგრამ ეს ალბათობაა და ამ ვარიანტის განხილვაც არ გვინდა - მით უმეტეს მას მერე, რაც ინგლისთან ფრეს მივაღწიეთ. როგორც გავიგეთ, ამ ვარიანტს ჩვენი გუნდის წევრებიც არ განიხილავენ. იმასაც განვმარტავთ, რომ ქულების თანაბარი რაოდენობის დაგროვების შემთხვევაში, უპირატესობა ჯერ ურთიერთშეხვედრებს მიენიჭება, მერე კი გატანილი ბურთების რაოდენობას.

გუშინ, მეტოქე გუნდებმა მატჩისწინა ბოლო ვარჯიში გამართეს. 14 საათისთვის, ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე შვედმა ჭაბუკებმა ივარჯიშეს. მერე კი მოედანზე ჩვენი გუნდი გამოჩნდა. ორივე წვრთნა ტაქტიკური ხასიათისა იყო. ქართველ ბიჭებს მონდომება აშკარად ეტყობოდათ.

*„გუნდში საბრძოლო განწყობაა, დასკვნითი მატჩისთვის დანაკლისის გარეშე, სრული შემადგენლობით ვემზადებით. ელიტრაუნდში გასვლის ჩინებული შანსი გვაქვს და ჩანაფიქრი უნდა განვახორციელოთ. შვედეთის წინა ორი მატჩის ჩანაწერი ვნახეთ, მათ ვარჯიშებსაც მივადევნეთ თვალი და მეტოქეზე საკმაო ინფორმაციას ვფლობთ. შვედეთს ჯერ მხოლოდ ქულა აქვს, მაგრამ პოლონეთზე ნაკლები დონის გუნდი არ არის. მართალია, ელიტრაუნდში გასვლისთვის ფრეც საკმარისი იქნება, მაგრამ ამაზე არ ვფიქრობთ. ფეხბურთელებს ფსიქოლოგიურად მოგებისთვის ვამზადებ. ეს რთული იქნება, მაგრამ უნდა შევძლოთ. ახლა მოდუნების დრო არ არის. პირიქით, კარგად დაწყებული საქმე ჯგუფიდან გასვლით უნდა დავაგვირგვინოთ"*, - „ლელოსთან" საუბარში აღნიშნა საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების თავკაცმა **კობა ჟორჟიკაშვილმა**.

...და რა ხდება მეტოქის ბანაკში? პოლონეთთან მეორე ტურის შეხვედრა, მხარის ტრავმის გამო გამოტოვა შვედების ერთ-ერთმა ლიდერმა, თავდამსხმელმა **დინო ისლამოვიჩმა**. ჩვენი ინფორმაციით, იგი ახლა უკეთ გრძნობს თავს და დიდი შანსია, დღეს ჩვენი გუნდის წინააღმდეგ ითამაშოს. თუმცა მის დამატებას არც უარყოფს და არც ადასტურებს სკანდინაველთა გუნდის მწვრთნელი:

*„დინო ჩვენი გუნდისთვის მნიშვნელოვანი ძალაა და მისი არყოფნა პოლონეთთან მატჩში დაგვეტყო კიდეც. თბილისში მხოლოდ მონაწილეობისთვის არ ჩამოვსულვართ. პოლონელებთან ფრემ ელიტრაუნდში მოხვედრისთვის ბრძოლის გაგრძელების შანსი მოგვცა. საქართველოსთან მატჩი ჩვენთვის ბოლო შანსია, რომელიც უნდა გამოვიყენოთ. ჯგუფიდან გასასვლელად მხოლოდ მოგება გვჭირდება, რაც იოლი არ არის. მით უმეტეს, ტურნირის მასპინძლის წინააღმდეგ თამაში ყოველთვის რთულია. მეტოქის სასარგებლოდ არაერთი ფაქტორია. თუმცა ერთ მატჩში გაბრწყინება ყველას შეუძლია და ეს უნდა მოვახერხოთ. მჯერა, ჩემი გუნდი შაბათს ბევრად უკეთ ითამაშებს, ვიდრე წინა ორ ტურში"*, - აღნიშნა შვედეთის ნაკრების თავკაცმა **როლანდ ლარსონმა**.

მატჩები დღეს, 15 საათზე დაიწყება. საქართველო-შვედეთს ეროვნული სტადიონი უმასპინძლებს, ინგლისი-პოლონეთს - „მიხეილ მესხი". ჩვენი ნაკრების თამაშის პირდაპირი ტელერეპორტაჟი ტელეკომპანია „მზეზე" შეგიძლიათ იხილოთ. არბიტრი მაკედონიელი **გორან სპირკოვსკია**.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინგლისი | 2 | 1 | 1 | 0 | 4-1 | 4 |
| 2. საქართველო | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| 3. პოლონეთი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-2 | 1 |
| 4. შვედეთი | 2 | 0 | 1 | 1 | 0-3 | 1 |

**დავით ცაბაძე**

ლეგიონერი

# გოგუას ტომი არ იქნებაო

## არჩევანის წინაშე: ვიტესში, ქაისერში, მოსკოვში თუ ისევ სპარტაკში?

რუსული პრემიერლიგის წინა ტურში, მოსკოვის „ლოკომოტივთან" ნაგებულ შეხვედრაში (0:1), ნალჩიკის „სპარტაკის" რიგებში ორი ქართველიდან მხოლოდ **დავით სირაძემ** ითამაშა. ნალჩიკელებს **გოგიტა გოგუა** ლავიწის ტრავმის გამო გამოაკლდა. როგორც ირკვევა, კავკასიურ „სპარტაკს" კვლავაც გოგუას გარეშე მოუწევს თამაში. რუსული წყაროების ინფორმაციით, „ტომთან" 23 ოქტომბრის მატჩში გოგიტა გოგუას თამაში პრაქტიკულად გამორიცხულია.

აღსანიშნავია ისიც, რომ მიმდინარე სეზონის ბოლოს, გოგუას ნალჩიკელთა კლუბთან საკონტრაქტო ვადა ეწურება და თავისუფალი აგენტი ხდება. იმავე საagენტოების ცნობით, კლუბმა ქართველ ნახევარმცველთან ახალი ხელშეკრულების გაფორმებაზე მოლაპარაკებები უკვე დაიწყო, მაგრამ გოგიტასგან თანხმობა ჯერ არ მიუღია. გავიგეთ, რომ გოგუა უკეთესი წინადადებების მოლოდინშია და ამიტომ არ ჩქარობს. გოგუათი **მერაბ ჟორდანიას** ჰოლანდიური „ვიტესი", შოთა არველაძის „ქაისერისფორი" და კიდევ ერთი მოსკოვური კლუბია დაინტერესებული. პრემიერლიგაში სეზონის დასრულებამდე 6 ტურია დარჩენილი. გოუასა და სირაძის გუნდი 36 ქულით მე-5 ადგილზეა და ევროტურნირებზე სასაპარეზო საგზურის მოპოვებისთვის იბრძვის, რისი მიღწევაც ნალჩიკელებმა წესით, უნდა შეძლონ.

**დავით ცაბაძე**

მწვრთნელთა რეიტინგი

# ქეცბაია ათწლეულის რჩეულ მწვრთნელთა შორისაა



ფეხბურთის საერთაშორისო სტატისტიკისა და ისტორიის ფედერაციამ საინტერესო რეიტინგი გამოაქვეყნა. 21-ე საუკუნის დასაწყისიდან დღემდე, ანუ ბოლო ათი წლის განმავლობაში ნაჩვენები შედეგების მიხედვით, გამორჩეულ მწვრთნელთა რეიტინგი შეადგინა. აღსანიშნავია, რომ რჩეულთა შორის, **თემურ ქეცბაია** და ჩვენი ნაკრების ყოფილი მწვრთნელებიც არიან. ჩამონათვალში ჩვენი ჯგუფის ერთი მეტოქე გუნდის დამრიგებელიც არის.

სჯობს ყოველივეს თანმიმდევრობით გაგაცნობთ.

ბოლო ათწლეულის საუკეთესო მწვრთნელთა შორის ჩვენი ეროვნულის თავკაცი თემურ ქეცბაია და კიდევ 5 მწვრთნელი, ბელგიელ **ჟან ფრანსუა დე სარტთან**, ბოსნიელ **მიროსლავ ბლაჟევიჩთან**, პოლონელ **პაველ იანასთან**, ურუგვაელ ვიქტორ **აროლდო პუასთან** და ბელარუს **ვიქტორ გონჩარენკოსთან** ერთად, 4 ქულით, 139-ე-144-ე ადგილებს იყოფენ. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რეიტინგში ჩვენი ნაკრების ორი ყოფილი მწვრთნელიცაა - 29 ქულით, 35-38-ე ადგილზეა არგენტინელი ექტორ რაულ კუპერი, გერმანელ კლაუს ტოპმიოლერს 18 ქულა აქვს და 60-65-ე საფეხურზეა.

სიაში ჩვენი ეროვნულის ჯგუფის მეტოქეებიდან ერთი მწვრთნელია, ლატვიის ნაკების თავკაცი ალექსანდრს სტარკოვსი. ლატვიელი სპეციალისტი 19 ქულით ტოპმიოლერზე წინ, 57-60-ე ადგილზეა. ქართული ფეხბურთის სკოლაგამოვლილი ვალერი გაზაევი 15 ქულით 74-78-ე ადგილზეა.

განმარტებისთვის გაცნობებთ, რომ ეს რეიტინგი გამოკითხვაში მიღებული ხმების მიხედვით არის შედგენილი და მოპოვებული ტიტულები მასში გადამწყვეტ როლს არ თამაშობს.

დაბოლოს, 21-ე საუკუნის პირველი ათწლეულის მწვრთნელთა რეიტინგში, მოწინავე ოცეულში ასეთი განლაგებაა:

| | |
|---|---|
| 1. არსენ ვენგერი (საფრანგეთი) | 142 |
| 2. ალექს ფერგიუსონი (შოტლანდია) | 133 |
| 3. ჟოზე მოურინიო (პორტუგალია) | 115 |
| 4. გუუს ჰიდინკი (ჰოლანდია) | 112 |
| 5. ფაბიო კაპელო (იტალია) | 106 |
| 6. ლუიშ ფელიპე სკოლარი (ბრაზილია) | 101 |
| 7. რაფაელ ბენიტესი (ესპანეთი) | 97 |
| 8. კარლო ანჩელოტი (იტალია) | 92 |
| 9. მარჩელო ლიპი (იტალია) | 88 |
| 10. მარსელო ბიელსა (არგენტინა) | 86 |
| 11. ფრანკ რაიკაარდი (ჰოლანდია) | 80 |
| 12. სვენ გორან ერიქსონი (შვედეთი) | 79 |
| 13. კარელ ბრიუკნერი (ჩეხეთი) | 76 |
| 14. კარლოს ალბ. პერეირა (ბრაზილია) | 65 |
| ვისენტე დელ ბოსკე (ესპანეთი) | 65 |
| 16. ოტო რეჰაგელი (გერმანია) | 61 |
| 17. ოტმარ ჰიტცფელდი (გერმანია) | 58 |
| 18. კარლოს ბიანკი (არგენტინა) | 53 |
| 19. კარლოს დუნგა (ბრაზილია) | 50 |
| 20. ჟერარ ულიე (საფრანგეთი) | 50 |

**დავით ცაბაძე**

ცვლილებები

# სუპერთასი გადაიდო

## გააგრძელებს ვი-თი-ბი ბანკი პროფლიგასთან თანამშრომლობას?



"ვი-თი-ბი ბანკი ჯორჯია" პროფესიული ფეხბურთის ლიგის სპონსორი სამი წლის წინათ გახდა. ეს იმ დროისთვის ძალიან ხმაურიანი და ძვირადღირებული შეთანხმება იყო, რომელიც ქართულ ფეხბურთში სხვა ბიზნეს-ჯგუფების შემოსვლის სიგნალი უნდა გამხდარიყო - ბანკი ეროვნული პირველობის სპონსორი გახდა, სუპერთასი კი მის სახელზე მოინათლა - "ვი-თი-ბი ბანკი ჯორჯიას" სახელობის საქართველოს სუპერთასი.

სამწუხაროდ, მერე ბიზნესის კი არა, რუსული ბომბების ხმა გაისმა საქართველოში, რამაც ქართული ბიზნესი გაკოტრების პირას მიიყვანა. ჩვენთან მოქმედი კომპანიები, ბანკები თუ სხვადასხვა მიმართულების ბიზნეს-ჯგუფები სულს ახლა ითქვამენ, მაგრამ ჯერ ფეხბურთისთვის ვერ იცლიან – ამდენი მოგება არ გააჩნიათ.

"ვი-თი-ბი ბანკი ჯორჯიასა" და ლიგას შორის გაფორმებულ კონტრაქტს კი ვადა 2010 წლის დეკემბერში ეწურება. "ლელო" დაინტერესდა, გაგრძელდება თუ არა ამ ორი ორგანიზაციის თანამშრომლობა?

*"ლიგის ხელმძღვანელობა "ვი-თი-ბი ბანკი ჯორჯიასთან" მუშაობს, რათა სასპონსორო ხელშეკრულება გაგრძელდეს. გვაიმედებს ბანკის თავკაცთა პოზიცია, რომლებიც თანამშრომლობით დაინტერესებული არიან და ამის სურვილი უკვე გამოხატეს. არაა გამორიცხული, პარტნიორობის ხარისხი გაუმჯობესდეს და სპონსორის ნაცვლად, "ვი-თი-ბი ბანკი ჯორჯია" პროფლიგის გენერალურ სპონსორად მოგვევლინოს. ყოველ შემთხვევაში, მოლაპარაკება დამაიმედებელია.*

*სხვათა შორის, საკმაოდ ბევრ ბიზნეს-ჯგუფის ხელმძღვანელობას შევხვდით და ვცდილობდით სპონსორებად მოგვეზიდა, მაგრამ სამწუხარო ვითარებას ვაწყდებით – მათთვის ფეხბურთში რეკლამის განთავსება პრიორიტეტული არაა. არადა, ძალიან ხელსაყრელ სარეკლამო მომსახურებას ვთავაზობდით"*, - გვითხრა პროფლიგის პრესატაშე **მიხეილ აბაიშვილმა**.

მან "ლელოს" პროფლიგის რამდენიმე ახალი გადაწყვეტილებაც გააცნო. *"როგორც ცნობილია, საქართველოს ნაკრები 17 ნოემბერს სლოვენიაში ამხანაგურ შეხვედრას გამართავს. ეროვნულის მთავარი მწვრთნელი შეკრების დაწყებას 11 ნოემბერს გეგმავს. ამის გამო 13-14 ნოემბერს დაგეგმილი ტურის გადადება მოგვიწევს, რადგან ქეცბაიამ ეროვნული პირველობიდან ძალიან ბევრი ფეხბურთელი გამოიძახა: "ზესტაფონიდან" შვიდი, ნაკრებში არიან ასევე მოთამაშეები "დინამოდან", "ოლიმპიდან" და "ბაიადან".*

*დღეს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ტურის გადადებაზე პროფესიული ფეხბურთის ლიგას ოფიციალური შეტყობინება გამოუგზავნა და ცხადია, ასეც გადაწყდა, რადგან ლიგამ გაითვალისწინა როგორც ეროვნული ნაკრების, ისე ქართული კლუბების ინტერესები.*

*ცხადია, სუპერთასის გათამაშება 27 ოქტომბერს აღარ გაიმართება და თარიღის გადაწევა მოგვიწევს. ახალ თარიღს პროფლიგის საშეჯიბრო სამსახური ახლო მომავალში დაადგენს და ინფორმაციას ჩვენი ოფიციალური ვებგვერდით გავავრცელებთ"*, - ამბობს აბაიშვილი.

**მერაბ მამულაშვილი**

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი**.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

მედია პალიტრის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge
მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: **leloltd@gmail.com**; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სიურპრიზების მოლოდინი

ჩვენს ჩემპიონატში სენსაციებს კვლავაც უნდა ველოდოთ? აი, ეს არის მთავარი კითხვა, XI ტურის წინ ქართველ გულშემატკივარს რომ უჩნდება. სიურპრიზების მოლოდინი კი წინა ტურმა „გამოიწვია“, როცა ხუთიდან, სულ მცირე, ოთხი შეხვედრა მართლაც არაპროგნოზირებადი შედეგით დასრულდა. ასეთ შემთხვევებში კი, როგორც წესი, სატურნირო ცხრილში გარკვეული ცვლილებები ხდება ხოლმე და არ არის გამორიცხული, ამ ტურის შემდეგაც სერიოზული გადაადგილებები ვიხილოთ. ისე, ცოტა არ იყოს, უცნაურადაც ჩანს, წინა თვეში ჩვენ გუნდებს ლამის ყოველ მესამე-მეოთხე დღეს უწევდათ ოფიციალური მატჩების ჩატარება და ხუთი ტურის განმავლობაში მხოლოდ 3 შეხვედრა დასრულდა მეტ-ნაკლებად მოულოდნელი შედეგით („კოლხეთი“-„ოლიმპი“, „სიონი“-„დინამო“, „ბაია“-„ზესტაფონი“). აი, ოქტომბერში კი, როცა კალენდრით გათვალისწინებული მატჩები კვირაში ერთხელ ტარდება, ჯერ მხოლოდ ორმა ტურმა ჩაიარა და ორივეჯერ არაერთი სიურპრიზის მოწმენიც გავხდით! თუმცა, დღეს და ხვალ ისეთი მატჩები გველოდება, მხოლოდ ერთადერთი წყვილია, სადაც მასპინძლის ვერმოგებას მეტ-ნაკლებად სენსაცია რომ შეიძლება ვუწოდოთ. დანარჩენი ოთხი წყვილი კი, ფაქტობრივად, თანაბარი სიძლიერის გუნდებმა შეადგინეს და ეს ოთხივე მატჩი როგორი შედეგითაც არ უნდა დასრულდეს, არაფერი გაგვიკვირდება. აქვე, ერთი შესწორებაც: ჩვენს გუნდებს ოქტომბერში თამაშების ერთკვირიანი ციკლი... მხოლოდ ამ ტურამდე ჰქონდათ; აი, დღეიდან კი სეზონის რიგით მეორე „ბოქსინგ დეი“ იწყება: ერთი კვირის განმავლობაში თითოეულმა გუნდმა სამ-სამი შეხვედრა უნდა ჩაატაროს; რალა თქმა უნდა, ისევ და ისევ საქართველოს ნაკრების ინტერესების გამო ხდება კალენდარში ცვლილებები; მოგეხსენებათ, რომ 17 ნოემბერს საქართველოს ნაკრები ამხანაგურ მატჩში სლოვენიას უნდა გაეჯიბროს და წინასწარი ინფორმაციით, ჩვენი უპირველესი გუნდის თავკაცი თემურ ქეცბაია ამ საკონტროლო შეხვედრაში, ძირითადად, საქართველოს ჩემპიონატში მოასპარეზე ფეხბურთელებს დაეყრდნობა. ჩვენი ნაკრების მთავარი მწვრთნელის სურვილიც აბსოლუტურად გასაგები და მისაღებია — ნაკრების ახალწვეულების უკეთ „გასაცნობად“ და დასაკვირვებლად ქეცბაიას ერთკვირიანი შეკრების მოწყობა სურს. ამის გამოც, 13 და 14 ნოემბერს დანიშნული XIV ტურის ვადები შეიცვალა და 27 ოქტომბერს ჩატარდება (ხუთივე მატჩი). არადა, შეგახსენებთ, რომ იმ დღეს სუპერთასის შეხვედრა იყო დაგეგმილი (რა თქმა უნდა, პირდაპირი ტელერეპორტაჟით), მაგრამ ქვეყნის ჩემპიონ „ოლიმპისა“ და თასის მფლობელ „ვიტ ჯორჯიას“ დაპირისპირება გაურკვეველი ვადით გადაიდო.

დაბოლოს, ვიდრე მოახლოებულ ტურის ხუთივე მატჩს ცალ-ცალკე შევაფასებდეთ, ისიც ვთქვათ, რომ წინა ტურის მსგავსად, ერთი შეხვედრის პირდაპირი ტელერეპორტაჟი ახლაც გველოდება: „ზესტაფონი“-„დინამოს“ საინტერესო დაპირისპირებას საქართველოს ტელევიზიის პირველი არხი შემოგვთავაზებს. ეგ კი არა, როგორც ამ არხის სპორტული მიმართულების პროდიუსერმა დავით მინაშვილმა გვითხრა, მეორე წრის ბოლომდე ასე ვიქნებით განებივრებულნი და ყოველ ტურში ერთი მატჩის პირდაპირი ტელერეპორტაჟის (მათ შორის — შუა კვირაშიც) ხილვის საშუალებაც გვექნება.

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშვ | ქ | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშვ | ქ | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშვ | ქ |
| 1 | ზესტაფონი | 10 | 7 | 0 | 3 | 19 | 8 | 21 | 4 | 4 | 0 | 0 | 9 | 1 | 12 | 6 | 3 | 0 | 3 | 10 | 7 | 9 |
| 2 | ოლიმპი | 10 | 6 | 1 | 3 | 17 | 10 | 19 | 5 | 5 | 0 | 0 | 10 | 1 | 15 | 5 | 1 | 1 | 3 | 7 | 9 | 4 |
| 3 | დინამო | 10 | 5 | 3 | 2 | 12 | 7 | 18 | 4 | 4 | 0 | 0 | 8 | 3 | 12 | 6 | 1 | 3 | 2 | 4 | 4 | 6 |
| 4 | ბაია | 10 | 4 | 3 | 3 | 13 | 13 | 15 | 6 | 3 | 3 | 0 | 8 | 5 | 12 | 4 | 1 | 0 | 3 | 5 | 8 | 3 |
| 5 | კოლხეთი | 10 | 4 | 3 | 3 | 12 | 9 | 15 | 5 | 4 | 0 | 1 | 10 | 4 | 12 | 5 | 0 | 3 | 2 | 2 | 5 | 3 |
| 6 | ვიტ ჯორჯია | 10 | 4 | 1 | 5 | 10 | 16 | 13 | 5 | 3 | 0 | 2 | 7 | 9 | 9 | 5 | 1 | 1 | 3 | 3 | 7 | 4 |
| 7 | სიონი | 10 | 3 | 4 | 3 | 8 | 12 | 13 | 6 | 2 | 2 | 2 | 5 | 7 | 8 | 4 | 1 | 2 | 1 | 3 | 5 | 5 |
| 8 | ტორპედო | 10 | 2 | 4 | 4 | 6 | 8 | 10 | 5 | 1 | 4 | 0 | 3 | 2 | 7 | 5 | 1 | 0 | 4 | 3 | 6 | 3 |
| 9 | სამტრედია | 10 | 2 | 2 | 6 | 12 | 19 | 8 | 5 | 2 | 1 | 2 | 6 | 6 | 7 | 5 | 0 | 1 | 4 | 6 | 13 | 1 |
| 10 | სპარტაკი | 10 | 1 | 3 | 6 | 8 | 15 | 6 | 5 | 1 | 2 | 2 | 7 | 6 | 5 | 5 | 0 | 1 | 4 | 1 | 9 | 1 |



15 აგვისტო. დინამო-ზესტაფონი 2:1

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

## ოლიმპი–ტორპედო

Bwin: 1.30 5.00 7.00

23.10. რუსთავი. ფოლადი

**15:00**

არბიტრი: ჯ. ხორავა
ასისტენტები: ლ. თოდრია, ზვ. ერქვანია
მეოთხე მსაჯი: მ. ბეუქლიშვილი

წინა ტურის მსგავსად, ახლაც ერთმანეთზე საინტერესო ორი დაპირისპირება გველოდება და ჯერ ადრეული თამაშით დავიწყებთ. ნამყვანი უცხოური საბუქმეიქერო კანტორების აზრით, „ოლიმპი“-„ტორპედოს“ შეხვედრაში აშკარა ფავორიტებად მასპინძლები მიიჩნევიან. სატურნირო ცხრილს თუ გადავხედავთ, ამაში მოულოდნელი არაფერი უნდა იყოს: წინა ტურში „ვიტ ჯორჯიასთან“ შთამბეჭდავი გამარჯვების შემდეგ ქვეყნის ჩემპიონმა „ოლიმპმა“ მეორე ადგილზე გადაინაცვლა და, რაც მთავარია, ერთპიროვნულ ლიდერთან სხვაობა ორ ქულამდე შეამცირა. სეზონის დასაწყისთან შედარებით ბოლო მატჩებში შედეგი „ტორპედომაც“ აშკარად გააუმჯობესა: ზედიზედ 3 წაუგებელი შეხვედრა და ქუთათურთა საყვარელი გუნდი მათთვის შეუფერებელ-შეურაცხმყოფელ ბოლო ადგილსაც დაშორდა. ვნახოთ, რამდენად შეძლებენ **გია გიგატაძის** შეგირდები ამ წარმატებული სერიის გაგრძელებას, მით უფრო, რომ „ოლიმპი“ საკუთარ მოედანზე დღემდე უდანაკარგოდ ასპარეზობს: რუსთაველებმა ხუთივე საშინაო შეხვედრა მოიგეს. მოკლედ, მეტოქეები ამ დაპირისპირებას მშვენიერ განწყობაზე ხვდებიან: არ დაგვავიწყდეს, რომ წინა ტურში „ტორპედომ“ სულაც ერთპიროვნული ლიდერი „ზესტაფონი“ დაამარცხა; იმის იმედიც გვინდა გვქონდეს, რომ „ფოლადის“ სტადიონზე ანშლაგი თუ არ იქნება, სანახევროდ მაინც გაივსება; ისე კი, არ დავმალავთ, მართლაც უცნაურად გვეჩვენება ის ფაქტი, რომ მოქმედი ჩემპიონისა და ამ სეზონშიც კვლავაც მაღალი მიზნებისათვის მებრძოლი „ოლიმპის“ საშინაო მატჩებს მხოლოდ 500-მდე ქომაგი რომ ესწრება ხოლმე; ერთი-ორჯერ, უფრო მეტი მაყურებელიც მოვიდა, მაგრამ ეს... სტუმართა გუნდის ქომაგების „ხარჯზე“ მოხდა. ანუ, დღესაც იმის იმედად უნდა ვიყოთ, რომ „ტორპედოს“ საქომაგოდ ჩამოსული ქუთაისელი გულშემატკივარი ვიხილოთ. ცნობისათვის: ამ გუნდების I წრის შეხვედრას ქუთაისში რომ ჩატარდა, 7500 მაყურებელი დაესწრო!

...მართლაც ძალიან საინტერესოა, თუ როგორ შეხვდებიან სტუმართა ქომაგები მეტოქის... მთავარ მწვრთნელს! შეგახსენებთ, რომ ან უკვე „ოლიმპის“ თავკაცი **რამაზ მუმლაძე** ჯერ კიდევ ერთი თვის წინ „ტორპედოს“ მთავარი მწვრთნელი გახლდათ. სამწუხაროდ, ამ წარმატებულმა და გამოცდილმა მწვრთნელმა „ტორპედოში“ შესაფერისი შედეგი ვერ უჩვენა, თუმცა ამას უამრავი ობიექტური მიზეზი ჰქონდა. უპირველეს ყოვლისა კი, დროის ფაქტორი: „ტორპედოს“ ძირითადში ხომ, ფაქტობრივად, სხვადასხვა გუნდიდან მოწვეული ახალწვეულები ასპარეზობდნენ და ვიდრე ეს ფეხბურთელები ერთმანეთში შეთამაშდებოდნენ, ძვირფასი ქულებიც დაიკარგა. არადა, რამაზ მუმლაძის საწინააღმდეგოდ რომ მხოლოდ და მხოლოდ დროის ფაქტორი „მოქმედებდა“, ეს ფაქტიც მოწმობს: მის ნაცვლად დანიშნულ გია გიგატაძეს ძირითად შემადგენლობაში, ერთი-ორი პოზიციის გარდა, ფაქტობრივად, არავინ და არაფერი შეუცვლია. ასე რომ, ზედიზედ მეორე ტურია, რამაზ მუმლაძეს თავის ყოფილ შეგირდებთან უწევს დაპირისპირება: ერთი კვირის წინ „ვიტ ჯორჯიასთან“, დღეს კი — „ტორპედოსთან“; თანაც, „ტორპედოში“ მოასპარეზე ფეხბურთელთა 70-80 პროცენტი ამ სეზონის დაწყების წინ გუნდში სწორედ მუმლაძის მიყვანილია...

## ზესტაფონი–დინამო

Bwin: 1.85 3.35 3.65

23.10. ზესტაფონი. დ. აბაშიძე

**18:00**

Live რეპორტაჟი I არხზე Live

არბიტრი გ. ვადაჭკორია
ასისტენტები: გ. ჩიგოგიძე, ი. უკლება
მეოთხე მსაჯი: ლ. კვარაცხელია

უკვე მეშვიდე წელიწადია, ჩვენს ყველაზე ტიტულოვან გუნდს, „ზესტაფონის“ სახით მეტად და მეტად პრინციპული მოწინააღმდეგე რომ გამოუჩნდა. და ეს იმის მიუხედავად, რომ დღევანდელ მეტოქეთა აქამდე ჩატარებულ ურთიერთდაპირისპირებებში უპირატესობა „დინამოს“ მხარეს არის: 10 მოგება, 3 ფრე და 5 წაგება. ამას გარდა, არც ის არის შემთხვევითი, რომ „ზესტაფონისა“ და „დინამოს“ წინა 18 შეხვედრიდან მხოლოდ ორჯერ მოხდა, როცა ერთ-ერთმა გუნდმა მეტოქეს დიდი ანგარიშით აჯობა: XX ჩემპიონატში თბილისელებმა სტუმრად მოიგეს 4:0, წინა სეზონში კი იმერლებმა თითქმის სრულფასოვანი რევანში აიღეს (4:1). დანარჩენ შემთხვევებში კი, როგორც წესი, უშელავათო ბრძოლა მიმდინარეობდა ხოლმე, სამსაჯო გაუგებრობებიც არცთუ იშვიათად გვინახავს ამ მართლაც გამორჩეული გუნდების დაპირისპირებებში; იმაზე აღარაფერს ვამბობთ, როცა სწორედ „ზესტაფონისა“ და „დინამოს“ შეხვედრებში ირკვეოდა ხოლმე ჩემპიონობისა თუ ევროტურნირების საგზურის ბედი.

დღევანდელ შეხვედრას „ზესტაფონი“ ერთპიროვნული ლიდერის რანგში ხვდება და **გია გეგუჩაძის** გუნდს, წინა სეზონისგან განსხვავებით, იმითაც შეუძლია „თავი მოიწონოს“, რომ აქამდე ჩატარებულ ოთხ საშინაო მატჩში ქულათა მაქსიმუმი მოაგროვა. არადა, დღესაც დარწმუნებული ვართ, რომ იმავე წინა სეზონში „ზესტაფონს“ აშკარად მეტის მიღწევა შეეძლო, მაგრამ თავისზე ბევრად სუსტ მეტოქეებთან (თანაც, საკუთარ მოედანზე) უამრავი „დაუგეგმავი“ ქულა დაკარგა. აი, „დინამოს“ კი ამ სეზონში, ცოტა არ იყოს, არასტაბილურობა დასჩემდა: **კახა კაჭარავას** გუნდი ერთი-ორ შეხვედრას მაღალ დონეზე ატარებს და მერე, ბევრისთვის მოულოდნელად, თავისზე სუსტ მეტოქეებთან ქულებს კარგავს. თანაც, იმავე წინა სეზონისგან განსხვავებით, „დინამოზე“ ახლა ვეღარავინ იტყვის, რომ ძირითადი შემადგენლობაში 80-90 პროცენტი ახალგაზრდა ფეხბურთელები თამაშობენ. რა თქმა უნდა, პერსპექტიული ახალგაზრდები კვლავაც არიან, მაგრამ ჩვენი ჩემპიონატის ბევრი გუნდი ვერ დაიკვეხნის თავის შემადგენლობაში ისეთი გამოცდილი ფეხბურთელების სიმრავლით, როგორებიც არიან: **დავით მუჯირი, გივი კვარაცხელია, ალექსანდრე კოშკაძე, ლევან ხმალაძე, ედნილსონი...**

ამ გუნდებს შორის პირველი წრის მატჩი, როგორც მოსალოდნელი იყო, უშელევათო და დრამატულ ბრძოლაში წარიმართა; ანგარიში **მათე ვაწაძემ** გახსნა, რასაც მალე **კახა ალადაშვილის** საპასუხო გოლი მოჰყვა... ყოფილი გუნდის კარში; და აი, მაშინ, როცა ყველას ეგონა, მატჩი ფრედ დამთავრდებაო, **ნიკოლოზ ფირცხალავამ** „დინამოს“ გამარჯვება მოუტანა! ის შეხვედრა იმითაც იყო დასამახსოვრებელი, რომ სტუმრებმა მატჩი, ფაქტობრივად, 9 (!) კაცით დაამთავრეს; უფრო ზუსტად, მეორე ტაიმის დასაწყისში არბიტრმა მოედნიდან **გიორგი ხიდეშელი** გააძევა, ხოლო როცა უკვე დამატებული წუთები იწურებოდა, იგივე ბედი **მამუკა კობახიძემაც** გაიზიარა. სხვათა შორის, ხიდეშელი თავის გუნდს დღევანდელ მატჩში დისკვალიფიკაციის გამო ვერ დაეხმარება (ისე როგორც — **ირაკლი ძარია**); თუმცა, დანაკლისი დინამოელებსაც აქვთ და სტუმართა თავკაც კახა კაჭარავას უმთავრესი თავსატეხი, ალბათ, თავდასხმის ხაზის დაკომპლექტება იქნება. თავად განსაჯეთ: მათე ვაწაძე და **რობერტინიო** კვლავაც ტრავმირებულნი არიან, ხოლო **დონალდ ჯუისი** დისკვალიფიცირებულია!

## ბაია–ვიტ ჯორჯია

Bwin: 1.85 3.35 3.65

23.10. ზუგდიდი. გ. თუთბერიძე

**15:00**

არბიტრი: ხ. გაგნიძე
ასისტენტები: ზ. მენთეშაშვილი, კ. ტეფნაძე
მეოთხე მსაჯი: ი. ურუშაძე

დღევანდელი მესამე მატჩიც არანაკლებ ინტერესს იწვევს: არცთუ სახარბიელო ფინანსურ მდგომარეობაში მყოფ „ბაიას“, ალბათ, რევანშის აღების სურვილი ექნება პირველ წრეში განცდილი მარცხის გამო. ის მატჩი „ვეტერინართა“ მინიმალური გამარჯვებით დამთავრდა, თუმცა „ბაიას“ მწვრთნელ-ფეხბურთელებს მიაჩნდათ, რომ არბიტრის ზედმეტმა სიმკაცრემ შეხვედრის შედეგზე სერიოზული გავლენა იქონია. ყველაფერი კი იმ ეპიზოდს მოჰყვა, როცა მატჩის დასაწყისში „ბოლო იმედის“ ჯარიმისათვის „ბაიას“ კაპიტანი **როინ ონიანი** გააძევეს და სტუმართა კარში პენალტიც დანიშნეს! თუმცა, მას შემდეგ ორ თვეზე ოდნავ მეტი გავიდა და „ბაიაც“, ფაქტობრივად, სახეშეცვლილი შემადგენლობით უნდა დაუხვდეს ბოლო დროს წარუმატებლად მოსპარეზე „ვიტ ჯორჯიას“; ჰო, ზედიზედ სამმა წაგებამ **მერაბ კოჭლაშვილის** გუნდის სატურნირო მდგომარეობა საგრძნობლად გააუარესა; თანაც, „ვეტერინარები“ დისკვალიფიკაციის გამო დღევანდელ მატჩში ორივე განაპირა მცველს (**გიგა ბეჭვაიასა** და **რევაზ ლანიაშვილს**) მოისაკლისებენ. თუმცა, „ვიტ ჯორჯიას“ საკადრო პრობლემები... ახლოსაც ვერ მივა მასპინძელთა დანაკლისთან: შეგახსენებთ, რომ წინა ტურის მატჩში, „ბაიას“ ძირითადი გუნდის 15 ფეხბურთელი აკლდა! თუმცა, ამის მიუხედავად, **ელგუჯა ქომეთიანის** გუნდმა, ძალიან ბევრისთვის მოულოდნელად, სტუმრად შეძლო „სიონის“ დამარცხება...

## კოლხეთი–სიონი

Bwin: 1.85 3.35 3.65

24.10. ფოთი ფაზისი

**15:00**

არბიტრი ა. ნონიკაშვილი
ასისტენტები: გ. ქიჩინაძე, დ. კურტანიძე
მეოთხე მსაჯი: თ. გვანცელაძე

ფინანსურად არც „კოლხეთს“ ულხინს, მაგრამ, იმავე „ბაიასგან“ განსხვავებით, ჯერჯერობით ფეხბურთელებსაც ინარჩუნებს (!) და, რაც მთავარია, **ბესიკ შეროზიას** გუნდის ასპარეზობისას წარუმატებელს ვერავინ უწოდებს. განსაკუთრებულად ძლიერად კი „კოლხეთი“ საშინაო მატჩებში ასპარეზობს და ფოთელთა გუნდის რეალური ძალა ამ სეზონში უკვე არაერთმა გუნდმა საკუთარ თავზე გამოცადა. თუმცა ხვალინდელ შეხვედრაში მასპინძლებს სერიოზული საკადრო პრობლემების გადაჭრა მოუწევთ: მეკარე **გიზო შენგელია**, შემტევი ნახევარმცველი **დათა სიჭინავა** და ფორვარდი **დავით ციცხვაია** დისკვალიფიცირებულნი არიან, მცირე დანაკლისი აქვთ სტუმრებსაც: „სიონის“ გამოცდილი მცველი **მიხეილ კობაური** ასევე დისკვალიფიცირებულია.

## სამტრედია–სპარტაკი

Bwin: 1.85 3.35 3.65

24.10. სამტრედია ე. მანჯგალაძე

**15:00**

არბიტრი ა. კრიჭაშვილი
ასისტენტები: ა. კოკაია, ზ. ფიფია
მეოთხე მსაჯი: გ. კიკაჩეიშვილი

სულ მალე ეს გუნდები კვლავ შეხვდებიან ერთმანეთს და საქართველოს თასის გათამაშების მეოთხედფინალის საგზურს გაითამაშებენ. თუმცა, ვეჭვობთ, რომ „სამტრედიასაც“ და „სპარტაკსაც“ ამ სეზონში თასზე სერიოზული მიზნები ჰქონდეთ: ორივე გუნდი ხომ სატურნირო ცხრილის ფსკერზე იმყოფება და ისე როგორც სხვა დანარჩენ მეტოქეებთან მატჩებს, ერთმანეთში დაპირისპირებასაც უდიდესი მნიშვნელობა უნდა მიანიჭონ. ხვალინდელი მეტოქეებისათვის წინა ტური მეტ-ნაკლებად წარმატებული გამოდგა: „სამტრედიამ“ საშინაო შეხვედრაში „კოლხეთთან“ ფრედ ითამაშა, აი, **ბადრი კვარაცხელიას** ხელმძღვანელობით მოასპარეზე „სპარტაკმა“ კი „დინამოსთან“ მართლაც საპატიო ქულა მოიპოვა. თანაც, ისე როგორც ახალი მწვრთნელის სადებიუტო შეხვედრაში, „სპარტაკში“ კვლავაც გამოჩნდნენ დუბლშემადგენლობიდან დაწინაურებული ჭაბუკი ფეხბურთელები და ამ პროცესის გაგრძელებას კვლავაც უნდა ველოდოთ..

**გია ტუხაშვილი**

## ქართული ფეხბურთი

ოლიმპი-ტორპედოს წინ. ინტერვიუ გია ჭანტურიასთან

# ტორპედოსთან დიდი ბრძოლა გველის

### გია ჭანტურია: არავინ თქვას, ფეხბურთს ფულის გამო არ ვთამაშობ

**გია ჭანტურია** ფეხბურთს საქართველოს ჩემპიონატის მე-10 ტურში "ვიტ ჯორჯიასთან" მატჩში დაუბრუნდა. გასული სეზონის საუკეთესო მეკარე, რომელმაც რუსთავის "ოლიმპის" ჩემპიონობაში უდიდესი წვლილი შეიტანა, სეზონის დასრულების შემდეგ გაუშვეს. მიზეზი მისი ასაკი იყო: საქართველოში 37 წლის მეკარე კი არა, 30 წელს მიტანებული გამოცდილი ფეხბურთელიც ზედმეტ ტვირთად ითვლება. ფაქტობრივად, გია ფეხბურთიდან წასული იყო და ახალი ცხოვრებისთვის ემზადებოდა.

თუმცა, დაიწყო ჩემპიონატი და გუნდში დროულად მიხვდნენ – მთავარი არა ჭანტურიას ასაკი, არამედ კლასია. პირველივე მატჩში "ოლიმპი" ორჯერ გადაარჩინა და ცოტა უცნაურიც იყო, ამხელა პაუზა დიდად რომ არც დაეტყო.



**- გია, ოთხთვიანი შესვენების შემდეგ, "ვიტ ჯორჯიასთან" საკმაოდ კარგად ითამაშე. ასე მალე ფორმის აღდგენა როგორ მოახერხე?**

- რა თქმა უნდა, ერთკვირიანი მოცდენაც გარკვეულ გავლენას ახდენს, არათუ ოთხი თვის. მაგრამ იმდენი გამოცდილება კი დამიგროვდა, ფორმაში უცებ შესვლა რომ შევძლო. საერთოდ, მომზადების ორი გზა არსებობს, ხანგრძლივი და ფორსმაჟორული. ჩემპიონატი დაწყებული იყო და ნაკლები დატვირთვებით ვვარჯიშობდი, კონდიციებისთვის სწრაფად მისაღწევად დიდი დატვირთვები უარესი იქნებოდა და ფორმაში შესვლა უფრო გამიჭირდებოდა. ახლა თამაშები მჭირდება. მეკარემ რაც უნდა კარგად ივარჯიშოს, პრაქტიკის გარეშე ფორმის აღდგენა გამორიცხულია. საუკეთესო ფორმამდე მცირე დრო მაინც მჭირდება და ალბათ, პირველი ეტაპის დარჩენილ ტურებში ამას შევძლებ.

**- "ვიტ ჯორჯიასთან" 4:0 კი მოიგეთ, მაგრამ ორიოდე საკმაოდ რთული ბურთის აღება მოგიხდა.**

- მთლიანობაში, განსაკუთრებული დატვირთვაც არ მქონია, მაგრამ მაინც ასეთ გუნდთან თამაში იოლი არაა, მით უფრო, ოთხთვიანი მოცდენის შემდეგ. თამაშზე ფსიქოლოგიურადაც ილლები და კარნახითაც. თამაშის დროს არა მხოლოდ ფიზიკურ, სულიერ ენერგიასაც ვხარჯავ. რომ იცოდეთ, ლაპარაკსაც ძალიან დიდი ენერგია მიაქვს. ამიტომაა, მატჩამდე ჭკვიანი მწვრთნელი ფეხბურთელებს ლაპარაკს უკრძალავს. თამაშზე ერთი დარტყმაც რომ არ მოიგერიო, სულიერ ენერგიას მაინც ხარჯავ და შეუძლებელია გასახდელში დასვენებული გახვიდე. მქონია შემთხვევა, თამაშის დროს არც გადავმხტარვარ, მაგრამ დაძაბულობას დავუღლივარ. ლაპარაკს დაძაბულობა ემატება, ყველაზე მეტი ძალა კი ბურთის დარტყმას მიაქვს. სხვათა შორის, ამის გამო, მატჩის წინა დღეს, მწვრთნელები ფეხბურთელებს კარში დარტყმას არიდებენ – ამ დროს კუნთი ყველაზე მეტად მუშაობს, ილლები და ენერგიას გაცლის.

"ვიტ ჯორჯიასთან" ბევრი საქმეც არა, მაგრამ გარკვეული მღელვარება მქონდა. ამდენი ხნის უთამაშებელი შენს გუნდში რომ ბრუნდები, ჩვეულებრივი ამბავი არაა. მასთან ერთად გავხდი ჩემპიონი და რალაც-რალაც მიზეზების გამო, გუნდიდან გამიშვეს. ბუნებრივია, მინდოდა კარგად გამოვჩენილიყავი და ვფიქრობ, ისევ ის ჭანტურია ვიყავი, როგორსაც მიცნობდნენ.

**- რა რეაქცია გქონდა, როდესაც "ოლიმპში" დაბრუნება შემოგთავაზეს?**

- გამიკვირდა და გამიხარდა, რადგან ფეხბურთიდან წასული ვიყავი და თამაში მაგრად მომენატრა. ფეხბურთის თამაში როგორ არ შემეძლო, იყო ვარიანტებიც, მაგრამ სისულელეა, 37 წლის ასაკში გადახვიდე გუნდში, რომელსაც არავითარი ამბიცია არ გააჩნია და ხელფასს დროულად ვერ გასცემს. ასეთ გუნდში შესაძლოა, წავიდეს 17-18 წლის გამოუცდელი ბიჭი. თავის დროზე ასე "დინამოდან" "ბორჯომში" მიდიოდნენ, თავს გამოიჩენდნენ, გამოცდილებას აგროვებდნენ და გუნდს თუ არ უბრუნდებოდნენ, უმაღლესი ლიგის სხვა კლუბის თვალთახედვის არეში ხვდებოდნენ, მაგრამ ჩემს ასაკში უმოტივაციო და უხელფასო გუნდში თამაში არ მიღირდა.

არავინ თქვას, რომ ფეხბურთს ფულის გამო არ თამაშობს. ფეხბურთელობა პროფესიაა, ისევე როგორც ინჟინრის, მექანიკოსის, ბანკირის. ქარხანაში კაცი იმისთვის მუშაობს, რომ სახლში ხელფასი მიიტანოს.

ელემენტარულად, ვარჯიშზე უნდა მიხვიდე და საჭმელი ჭამო, ოჯახი თუ გყავს, ხომ უნდა შეინახო? ფული საჭიროა. ნურავინ იტყვის, რომ ფეხბურთის სიყვარულით ვთამაშობო. რა თქმა უნდა, თუ არ გიყვარს, მოედანს არც გაეკარები, მაგრამ შენი გასამრჯელოც უნდა მიიღო. რატომღაც, ჩვენს პროფესიაში ამის აღიარება ეუხერხულებათ. არადა, ფულს ხომ არ ვიპარავთ, საკუთარი შრომითა და კლასით გამოვიმუშავებთ და დასამალი რა არის. მით უფრო, რომ სხვა პროფესიებისგან განსხვავებით, ჩვენი ბევრად უფრო სასიამოვნო და პოპულარულია.

დამავიწყდა მეთქვა, რომ დაბრუნება "კოლხეთთან" 1:5 წაგების შემდეგ შემომთავაზეს. ფოთიდან იური გაბისკირიამ დამირეკა და მთხოვა, ხვალ ოფისში ამოდი, სალაპარაკო გვაქვსო. შემდეგ ზურაბ ჯაფარიძეს შევხვდი და დაბრუნება შემომთავაზა. ძალიან მესიამოვნა.

**- და წყენამაც გაგიარა?**

- ჯაფარიძეზე ნაწყენი არც ვყოფილვარ. უბრალოდ, გულდასაწყვეტია, სეზონს კარგად რომ ჩაატარებ, გუნდის წინაშე გარკვეული დამსახურებაც გაქვს და უცებ შინ გიშვებენ... ნორმალურ ადამიანს უნდა ეწყინოს. თუმცა, ეს ყველაფერი დაბრუნების სიხარულმა გადაფარა.

**- ახლა "ოლიმპი" შენს ყოფილ კლუბ "ტორპედოს" ხვდება - როგორ თამაშს ელი?**

- ქუთაისი ძალიან მომეწონა, "დინამოსთან" და "ზესტაფონთან" კარგი ფეხბურთი აჩვენა, გუნდი აღმავლობის გზაზეა და ვფიქრობ, ბიჭებმა საკუთარი ძალების ირწმუნეს. საერთოდ, დარწმუნებულიც ვარ, "ტორპედო" ევროპის ლიგის საგზურისთვისაც იბრძოლებს. ამიტომ, საკმაოდ რთულ შეხვედრას ველით. საქართველოში ცალი ფეხით აუტსაიდერთანაც ვერ მოიგებ, თამაში უკვე ყველასთან ჭირს და ეს ერთი მხრივ მახარებს. ბოლო დროს ჩვენთან ისეთი შედეგები ფიქსირდება, აშკარაა, პატარა მოდუნებას ლიდერებსაც არავინ აპატიებს. იგივე "კოლხეთთან" "ოლიმპის" წაგება გავიხსენოთ. გამომდინარე აქედან, დიდი ბრძოლა გველის.

**- ამბობ, ჩემს გუნდში დავბრუნდიო, მაგრამ "ოლიმპი" წლეულს სახეცვლილი "ვიტ ჯორჯია" უფროა.**

- "ვიტ ჯორჯიაში" ძალიან კარგი ბიჭები იყვნენ და დღევანდელი "ოლიმპიც" მომეწონა. ჩვენი მიზანი წლეულსაც ჩემპიონობაა. შარშან პირველი წრე მეორე ადგილით დავასრულეთ, მაგრამ შემდეგ ყველაფერი ისე მოხდა, როგორც გვინდოდა. ასე რომ, ჯერჯერობით ჩემპიონობის შანსი დაკარგული არ გვაქვს.

**- როგორ ფიქრობ, ჩემპიონობის პოტენციალი კიდევ რომელ გუნდს აქვს?**

- ფინანსურად ყველაზე ძლიერი "ზესტაფონია". შეკრებებს უცხოეთში მართავს, რაც ადრე მხოლოდ თბილისის "დინამოს" შეეძლო, კარგი შემადგენლობით გამოირჩევა და ეს ბევრს ნიშნავს. უპირველესად ამ გუნდს გამოვყოფდი. შემდეგ "დინამოს" დავასახელებ, რომელიც ყოველთვის ჩემპიონობისთვის იბრძვის. მერე რა გამოვა, სხვა საქმეა. გამარჯვებულის ვინაობა ჩვენს სამეულში გადაწყდება.

**- "ოლიმპის" ძირითადში რამდენიმე ახალგაზრდა ფეხბურთელი გამოჩნდა. რომელს გამოარჩევდი?**

- ყველას არც ვიცნობ, ვაკო ყაზაიშვილი კი დამამახსოვრდა. ნიჭიერი ბავშვია და თუკი ბევრს იმუშავებს, დიდ ფეხბურთსაც ითამაშებს.

**მერაბ მამულაშვილი**

საქართველოს ჩემპიონატი

# სტურუამ კოლხეთი დატოვა

### ფოთელები უმეკარეოდ დარჩნენ



**მიუხედავად** იმისა, რომ ფოთის „კოლხეთს" ფინანსური პრობლემები აქვს, კლუბი ეროვნულ ჩემპიონატში წარმატებით გამოდის. ამჟამად გუნდი 15 ქულით თანაკუთხელ „ბაიასთან" ერთად მე-4-5 ადგილებს იყოფს. წარმატებაში დიდი წვლილი კოლხ მცველებს და მეკარე **გიზო შენგელიას** მიუძღვით. ეს უკანასკნელი კლუბს ხვალინდელ შეხვედრაში ვერ დაეხმარება, რადგან კოლხთა კაპიტანმა — მეკარემ წინა შეხვედრაში, სამტრედიაში ყვითელი ბარათი მიიღო, რაც მისთვის ამ სეზონში უკვე მესამეა. საინტერესოა, რომ სამივე შემთხვევაში შენგელია დროის გაყვანისთვის გააფრთხილეს.

წესით, „სიონთან" კვირის მატჩში ფოთელთა კარი ერთ დროს ეროვნული ნაკრების გოლკიპერ **ზვიად სტურუას** უნდა დაეცვა, რომელიც „კოლხეთმა" ამ სეზონის წინ დაიმატა, მაგრამ აქამდე თამაშის საშუალება ზემოხსენებული გიზო შენგელიას დამაჯერებელი თამაშის გამო არ მისცემია. თუმცალა, ამ უკანასკნელის მიერ „ბაიასთან" შორიდან გაშვებული გოლის შემდეგ, ბევრს და ალბათ, სტურუასაც ეგონა, რომ **ბესიკ შეროზია** მას დააყენებდა, მაგრამ ასე არ მოხდა. შენგელიას ყვითლები მას ამის შანსს აძლევდა, მაგრამ, როგორც გავიგეთ, ზვიადმა „კოლხეთი" დატოვა, მთავარი მიზეზი კი სწორედ უთამაშებლობა ყოფილა, პლუს ფინანსური პრობლემებიც, სავარაუდოდ.

*„ზვიად სტურუა სამტრედიაში თამაშის შემდეგ ფოთში აღარ გამოჩენილა. მეორე გუნდიდან დაგვჭირდება მეკარის გამოყენება და „სიონთან" ჩვენს კარს ლევან გორდეზიანი დაიცავს"* — გვითხრა ბესიკ შეროზიამ.

მანვე ჩვენს კითხვაზე, რაიმე სიახლე ხომ არ არის ფინანსებთან დაკავშირებით, გვიპასუხა, რომ ახალი ამ წუთისთვის არაფერია, თუმცა დანაპირების შესრულების იმედი აქვს.

**თომა ჩალაძე**

ფუტსალი

# დღეს სეზონი იწყება

დღეს ფუტსალის სეზონი განახლდება. ამ სახეობაში საქართველოს ჩემპიონატი სამ ლიგაში ჩატარდება. პროფესიულ "სუპერლიგაში" 6 გუნდი 4 წრედ ითამაშებს. დანარჩენი 2 ლიგა სამოყვარულოა ("ბიზნესის" და "ვეტერანთა" ლიგები) და თითოეულში 11 გუნდი გამოდის - სულ 28. თუ გავითვალისწინებთ, რომ კლასიკურ ფეხბურთში საქართველოში მხოლოდ 58 გუნდი შეგროვდა (უმაღლეს, პირველ და რეგიონალურ ლიგებში), ეს მშვენიერი მაჩვენებელია.

"ბიზნესის ლიგა" დღეს, 23 ოქტომბერს იწყება, "ვეტერანთა ლიგა" - ხვალ, სუპერლიგა კი სტარტს ერთ კვირაში აიღებს. გუნდები ლიგებში სპორტული და ფინანსური კრიტერიუმებით განაწილდნენ. ახალ სეზონში გათამაშდება საქართველოს თასიც "სუპერლიგისა" და "ბიზნესის ლიგის" გუნდების მონაწილეობით.

"ბიზნესის ლიგა" მესამე სეზონია ტარდება, მაგრამ ახლა სტატუსი შეიცვალა და საქართველოს სამოყვარულო ჩემპიონატი გახდა.

"ბიზნესისა" და "ვეტერანთა" ლიგების ფორმატი ასეთია: რეგულარული ჩემპიონატი და პლეი ოფი. სამოყვარულო ჩემპიონატი დაცვის პოლიციის პარტნიორობით ტარდება.

საინტერესო შემადგენლობები იკრიბება ვეტერანთა ლიგაში, სადაც ითამაშებენ თბილისის "დინამოსა" და ეროვნული ნაკრების ყოფილი წევრები: მეკარე **დათო გვარამაძე**, მცველი **გოჩა ჩიქოვანი**, ნახევარმცველი **გელა ინალიშვილი** და ასე შემდეგ.

გარდა ამისა, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპისთვის მზადებას მალე საქართველოს ფუტსალის ეროვნული ნაკრები დაიწყებს. 20-24 იანვარს მაკედონიაში ჩვენი მეტოქეები იქნებიან მასპინძლები, ინგლისი და ესტონეთი. ოფიციალურ ტურნირამდე ნაკრები ამხანაგურ მატჩებს გამართავს. რამდენიმე მიწვევა უკვე მიღებულია, მაგალითად, საფრანგეთიდან და ლატვიიდან. შეკრებების დაფინანსებაში ეროვნულ გუნდს ფეხბურთის ფედერაცია დაეხმარება. მომდევნო კვირას ფუტზალის ასოციაციის ხელმძღვანელები ფედერაციის პრეზიდენტ **ზვიად სიჭინავას** სწორედ ამის თაობაზე მოსალაპარაკებლად შეხვდებიან.

ბოლო სანაკრებო მატჩებად ფუტსალელები საფრანგეთისა და პოლონეთის ახალგაზრდულ ნაკრებებთან ჩატარებულ ოთხ მატჩს ასახელებენ – ფრანგებს ორივე თამაში მოვუგეთ, 20 და 21 სექტემბერს პოლონეთთან კი ორივე ფრედ (3:3 და 5:5) დასრულდა. შესაძლოა გაგიკვირდეთ, რა შუაშია ეროვნულთან ახალგაზრდულის შეხვედრა, მაგრამ ამ დაპირისპირებებს იმავე დატვირთვას ანიჭებდნენ, რასაც ქეცბაია სლოვენიასთან 17 ნოემბრის მატჩს, სადაც გასასინჯ ფეხბურთელებს იწვევს. ფუტსალის ახალგაზრდულ ნაკრებში ბევრმა მოთამაშემ ასაკობრივ ზღვარს მიაღწია და მათზე დაკვირვება მიმდინარეობდა, რამდენიმე კი, შესაძლოა, ეროვნულ ნაკრებში ვიხილოთ.

საქართველოს ჩემპიონი "იბერია სტარი" კი მალე ელიტ-რაუნდის მატჩებს ყაზახეთის ძველ დედაქალაქში გამართავს. გუნდი ალმატიში 19 ნოემბერს ჩავა, მეორე დღიდან კი ურთულესი მატჩები ელის. მისი მატჩების გრაფიკი ასეთია: 20 ნოემბერი – "აკადემია" (პოლონეთი), 21 ნოემბერი – "სლოვ-მატიკი" (სლოვაკეთი), 23 ნოემბერი – "კაირათი" (ყაზახეთი). შეიძლება ითქვას, რომ წილისყრაზე გაგვიმართლა და ჩვენი ჩემპიონი საუკეთესო ჯგუფში მოხვდა, რადგან ესპანეთის, რუსეთის, პორტუგალიის და იტალიის ჩემპიონები აგვცდა. გამომდინარე აქედან, "იბერიას" ნახევარფინალში გასვლის საუკეთესო შანსი გააჩნია. თუმცა, ოთხთა ფინალში მხოლოდ ჯგუფურ ეტაპზე გამარჯვების შემთხვევაში მოხვდება – ასეთ შემთხვევაში, "იბერიას" მატჩებს "ევროსპორტის" პირდაპირ ეთერში ვიხილავთ.

**მერაბ მამულაშვილი**

ქართული ფეხბურთი

ეროვნული ნაკრები. დებიუტანტი. ინტერვიუ აკაკი ხუბუტიასთან

# ეს სანაკრებო შანსი უნდა გამოვიყენო

## ვინ ეპატიჟებოდა ქეცბაიას რუმინეთში

**დანამდვილებით** შეიძლება ითქვას, რომ 17 ნოემბერს, სლოვენიასთან გასვლითი ამხანაგურ მატჩისთვის გამოძახებულთა შემადგენლობაში ერთი დებიუტანტი იქნება. ეს რუმინულ „გაზ მეთანში“ მოასპარეზე მცველი აკაკი ხუბუტიაა. შეგახსენებთ, რომ 24 წლის ტანმაღალი (191 სმ) მცველი ახალგაზრდულ ნაკრებში ასპარეზობდა და ერთი ხანობა 21-წლამდელთა გუნდის კაპიტანიც იყო.

ეროვნული ნაკრების თავკაცმა თემურ ქეცბაიამ ჯერ კიდევ ორი კვირის წინ განაცხადა, რომ სლოვენიასთან ახალ ფეხბურთელებს გამოსცდიდა. ახალ სახეებს შორის ხუბუტიას გამოჩენა მართლაც რომ ლოგიკურია. აკაკიმ „გაზ მეთანში“ ყველა მატჩი ჩაატარა, სტაბილურად სასტარტო შემადგენლობაშია, მისი გუნდი ლიგაში მე-4 ადგილზეა... ასე რომ, ეროვნულ ნაკრებში ხუბუტიას გამოძახება მოსალოდნელიც იყო.

ვნახოთ, თავად აკაკი ხუბუტია რა აზრის არის ნაკრებზე, სლოვენიასთან მატჩზე, ეროვნულ გუნდზე... მას გუშინ რუმინეთში დავუკავშირდით და სანაკრებოს გარდა, საკლუბო თემებზეც ვესაუბრეთ. ინტერვიუ კი ეროვნულ გუნდში მისი გამოძახებით დავიწყეთ.

**- სლოვენიასთან 17 ნოემბრის ამხანაგური მატჩისთვის ეროვნულ გუნდში ხართ გამოძახებული...**

- დიახ, ვიცი. ხუთშაბათს დამიკავშირდა ტექნიკური დირექტორი ნიკა ჩხეიძე და ეს ამბავი მახარა. ეროვნულ ნაკრებში თამაში ყველა ფეხბურთელის მიზანია. ჯერ კიდევ ახალგაზრდულში ასპარეზობისას ვოცნებობდი ეროვნულში თამაშზე. ახლა შანსი გამომიჩნდა და უნდა გამოვიყენო.

**- დებიუტისთვის მზად ხართ?**

- რაც „გაზ მეთანში“ სტაბილურად ვთამაშობ, მუდამ მქონდა იმედი, რომ ეროვნულში გამომიძახებდნენ. 21-წლამდელთა ნაკრებში ყოველთვის მოტივირებული ვთამაშობდი. ეროვნულში გამოსვლაზე უფრო საპატიო არაფერია და ბუნებრივია, მაქსიმუმს გავიღებ წარმატებისთვის.

რაც შეეხება მზადყოფნას. გუნდში სტაბილურად სასტარტო შემადგენლობაში ვარ, ცხრილში ისეთ გუნდებს ვუსწრებთ, როგორებიც არიან ევროტურნირებზე მოასპარეზე „კლუჟი“, „დინამო“ „სტიაუა“. მცველი ვარ და ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ „რაპიდის“ მსგავსად, ჩვენს გუნდსაც ლიგაში ყველაზე ნაკლები, 7 გოლი აქვს გაშვებული. ასე რომ, კარგ ფორმაში ვარ და ყველაფერს გავაკეთებ, ეროვნულში კარგი დებიუტისთვის.

**- არანაკლებ მნიშვნელოვნია ფსიქოლოგიური მომენტი...**

- ამ მხრივაც არ მექნება პრობლემა. რუმინეთის ლიგა კარგი დონისაა, საერთაშორისო მატჩებში გამოცდილება ჯერ კიდევ ახალგაზრდულ ნაკრებში ასპარეზობიდან მაქვს. მოედანზე გასვლისას დაძაბული და შებოჭილი არასდროს ვარ. კარგად ვიცი, როცა ნერვიულობ, სანახევროდაც ვერ გამოავლენ შესაძლებლობებს.

**- თემურ ქეცბაიას ფორმაციის ნაკრებზე როგორია თქვენი წარმოდგენა?**

- შეძლებისდაგვარად თვალს ვადევნებ ჩვენი ნაკრების მატჩებს. ალალად ვიტყვი, ნაკრების მწვრთნელად თემურ ქეცბაიას დანიშვნა ჩინებული გადაწყვეტილება იყო. მანამდე ქეცბაიას აქ, რუმინეთშიც ეპატიჟებოდნენ... რაც შეეხება ჩვენს ეროვნულს, შედარებაც არ არის, ნაკრები ახლა უკეთ თამაშობს. თუმცა კიდევ დიდი შრომა მოგვიწევს, უკეთესიც შეიძლება... შედეგებიდანაც ნათლად ჩანს, რომ გუნდი პროგრესს განიცდის. ხალხი მოგებას კი არა, იმას ნატრობდა, ნეტავ მომდევნო მატჩი აღარ წავაგოთო. ქეცბაიას ხელში ხომ ეროვნულს 7-მატჩიანი წაუგებელი სერია აქვს.

**- ქეცბაიას რუმინეთში იწვევდნენო, თქვით. რომელ კლუბში?**

- შარშან, სანამ თემურ ქეცბაია ნაკრების მთავარ მწვრთნელად დაინიშნებოდა, მოქმედ ჩემპიონ „კლუჟის“ ბოსები ქეცბაიათი სერიოზულად იყვნენ დაინტერესებული. აქაურ გაზეთებშიც დაიწერა, სოლიდური თანხა დაასახელეს, ზუსტად აღარ მახსოვს. თუმცა თემურმა არჩევანი ჩვენს ნაკრებზე გააკეთა და ფეხბურთელებმა უნდა გავუმართლოთ.

**- შაბათს ცხრილის ლიდერ „ოცელულს“ ეთამაშებით და მოგების შემთხვევაში პოზიციებს გაიმყარებთ...**

- დიახ, რთული მატჩი გველის. ამ მატჩისთვის სერიოზულად ვემზადებით.

**- თქვენი გუნდი რა მიზნისთვის იბრძვის?**

- სეზონის დაწყებამდე, მოწინავე 8 გუნდში მოხვედრა დაგვისახეს მიზნად. თუ ამას შევძლებთ, სპეციალურ პრემიებს ავიღებთ. თუმცა, ფეხბურთელებმა ვისაუბრეთ და გვინდა პირველ ექვსეულში მოვხვდეთ, რაც ევროტურნირებზე ასპარეზობის უფლებას მოგვიტანს. საქმე კარგად მიდის.

**- გავიგეთ, რომ ორი კარგი გუნდის ინტერესის სფეროში მოხვდით. რომელია ეს გუნდები? ერთიც, კლუბთან საკონტრაქტო ვადა როდის გიმთავრდებათ?**

- ხელშეკრულების ვადა მომავალი სეზონის ბოლოს დასრულდება. რაკი სტაბილურად ვთამაშობ, ინტერესიც გაჩნდა. კლუბების დასახელებისგან თავს შევიკავებ. ზოგადად გეტყვით, რომ რუმინული და გერმანული კლუბები მაკვირდებიან.

**- ისევ ნაკრებს დავუბრუნდეთ, ბერძენი და ლატვიელი თანაკლუბელები გყავთ. რას ამბობენ ჩვენს ნაკრებზე?**

- 3 სექტემბრის ბერძნებთან მატჩამდე ჩვენი გუნდის თავდამსხმელი ვასილიოს გალანისი დაჟინებით მიმტკიცებდა, სანტოშის გუნდთან თქვენს ნაკრებს შანსი არ აქვსო. იაშვილმა მე-3 წუთზე რომ გაიტანა, ტელეფონით მანამდე არ მოვასვენე, სანამ საბერძნეთმა ანგარიში არ გაათანაბრა... მან და ლატვიელმა მეკარე ედგარას პორტნოისმა ამ 4 თამაშის მერე ერთხმად აღნიშნეს, რომ ჩემი ქვეყნის ნაკრებს საგრძნობი წინსვლა აქვს. მეტსაც გეტყვით, რუმინელი თანაკლუბელები გადარეულები არიან, ევროპის ასეთ კარგ კლუბებში გვყავს ლეგიონერები და რუმინეთის ნაკრების საქმე კარგად ვერ არის, 3 მატჩში მხოლოდ 2 ქულა გვაქვსო.

**- სლოვენიასთან მატჩისთვის ემზადებით. მეტოქე ნაკრებზე რა წარმოდგენის ხართ?**

- სერბი თანაკლუბელები მყავს და გავიგე თუ არა, რომ ეროვნულში გამომიძახეს, უმალ სლოვენიაზე დავეკითხე. სერბეთისა და სლოვენიის ნაკრებების მატჩი ბელგრადში 1:1 დასრულდა. სერბმა თანაკლუბელებმა მითხრეს, სლოვენია კარგი გუნდია და იოლი გასეირნება არ გექნებათო. მე ვუპასუხე, თანამედროვე ფეხბურთში მალტასთანაც კი აღარ არის თამაში იოლი-მეთქი. ერთი სიტყვით, კარგი გუნდის წინააღმდეგ მოგვიწევს თამაში და წარმატებისთვის ყველაფერი უნდა გავაკეთოთ. როგორც გავიგე, 17 ნოემბრის მატჩში ნაკრებში რამდენიმე ახალი ფეხბურთელი იქნება. კარგად მესმის, რომ ყველა ფეხბურთელისთვის ეს მატჩი დიდი გამოცდა და შანსია ეროვნულში ფეხის მოსაკიდებლად. ერთი სიტყვით, ვიცი, სლოვენიაში თუ თამაში მომიწევს რთული გამოცდა მელის, მაგრამ ეს შანსი უნდა გამოვიყენო.

**- ბოლოს, თქვენი უმცროსი ძმა, თემურიც ფეხბურთელია. ახლა სად თამაშობს?**

- აქ, რუმინეთში იყო ჩამოსული, მაგრამ აღარ თამაშობს, ადრეულ ასაკში დაასრულა ფეხბურთელის კარიერა.

**დავით ცაბაძე**






**გოჩა თანდარაშვილის შამათომა**

**ვაკვირდები** ამ ბოლო დროს ჩვენს საფეხბურთო ჩემპიონატს და ვინც ვერ შეამჩნიეთ, მინდა გითხრათ ერთი სასიხარულო ამბავი — ნელ-ნელა, ქართული ტემპით ევროპას ვუახლოვდებით. პირდაპირი ტრანსლაციები განახლდა, განათებულ სტადიონებზეც თითო თამაში მაინც იმართება ხოლმე, უცხოური ტოტალიზატორები ჩვენს ჩემპიონატზე ფსონებს იღებენ და ევროპული ფეხბურთი მეტი კი არაფერია! ახლა არ დამიწყოთ, მინდვრები არ ვარგაო, გუნდებს ფული არ აქვთო, ხელფასებს ვერ იხდიანო, მსაჯები ისევ ძველებურად და ზოგჯერ უარესად ცდებიანო, მშიერ ფეხბურელებს თამაშის წინ და შემდეგ შიმშილით გული ცუდად უხდებათო... აუჰ, არადა, რა კარგად დავიწყე...

**მორიგი** გამონათება იყო ჩვენს ჩემპიონატში "ტორპედო"-"ზესტაფონის" თამაში. სავსე ტრიბუნები, დიდი აჟიოტაჟი, პირდაპირი ტრანსლაცია, მოგებით გამოწვეული გიჟური სიხარული და კმაყოფილი მაყურებელი. თუმცა ერთი ნაკლი აქაც გაპარულა. მატჩის შემდეგ "ზესტაფონის" კლუბის მესვეურებმა ყურადღება გაამახვილეს იმ ფაქტზე, რომ ქუთაისელთა მიერ გატანილი ერთადერთი და გადამწყვეტი გოლის დროს ზესტაფონელთა მეკარეზე მეტოქის ფეხბურთელის მხრიდან თავდასხმა ყოფილა, მაგრამ ეს ვერც მსაჯებს დაუფიქსირებიათ და ვერც პირდაპირი ეთერის კამერებს. თუმცა ამ კლუბის მიერ გადაღებულ ფირზე ეს ფაქტი კარგად ჩანს და თამამად ვიტყვი, რომ აბსოლუტურად მართლები არიან ზესტაფონელები. მაგრამ კლუბმა ამ ყოველივესთან დაკავშირებით არც ცემა-ტყეპა ატეხა, არც ვინმეს ლანძღვა-გინება, უბრალოდ, ვიდეომასალა საკუთარ ვებ-საიტზე განათავსეს და განაცხადეს, რომ კარგი იქნება, თუ შეცდომები მოიკლებსო. მოდი ახლა და არ ვთქვათ, რომ ამ იმერული კლუბის ხელმძღვანელობა მიიწევს ევროპისკენ. სამტრედიაში კი, რომ მიეშვათ, მსაჯებს ალბათ ორივე გუნდის ქომაგები დახოცავდნენ. ისინი კაი ხანი ჰყავდათ გამომწყვდეული ვაი-გულშემატკივრებს. პარადოქსია, მოკლედ, ზესტაფონი ევროპისკენ მიიწევს და სამტრედია - პირიქით. არადა, გეოგრაფიულად რომ მივუდგეთ, ზესტაფონი სანამ ევროპას მიუახლოვდება, სამტრედიაც უნდა გაიაროს. რა ვიცი, იმედი დავიტოვოთ, რომ იქნებ თან გაიყოლის.

**მოულოდნელი** და ძნელად პროგნოზირებადი თამაშებიც რომ მომრავლდა ჩვენთან, ესეც ფაქტია. წინა ტური ავილოთ: ვინ იფიქრებდა, რომ "დინამო" ვერ მოიგებდა ან ბოლნისელები შინ წააგებდნენ 15 ფეხბურთელით შესუსტებულ ზუგდიდელებთან? მეც ავილე ერთ-ერთი უცხოური ტოტალიზატორის ფსონები ჩვენს თამაშებზე და გადავთვალე. ხუთივე მატჩის შედეგი ზუსტად რომ გამოგეცნო კაცს, კოეფიციენტი 262-ზე ადიოდა. 5 თამაშში 262-იანი კუში შესანიშნავზე კარგი რიცხვია. ჰოდა, ერთი 1000 ლარი რომ დამედო თურმე, პრინციპში ერთ გუნდს კი ვიყიდიდი ჩვენს ჩემპიონატში, ფეხბურთელებიც ცოტა სულს მოითქვამდნენ და სახინკლის ფულიც დამრჩებოდა (მით უმეტეს, ბევრ ხინკალს ვერ ვჭამ).

**ორიოდ** დღის წინ საქართველოს ჩემპიონატის მეორე ლიგის ცხრილებს ვკითხულობდი და სამეგრელოს ზონაში ერთ საინტერესო გუნდს მივაქციე ყურადღება. როგორ არ მიაქცევდი, როცა სამეგრელოს გუნდს "აისბერგი" ჰქვია. თავს ვერ დავდებ, მაგრამ, მგონი, აბაშის გუნდი უნდა იყოს — ჩემმა მეგობარმა მითხრა ამას წინათ და ერთი ხუმრობაც მოაყოლა - ჩხოროწყუში უნდა გააკეთო გუნდი "ტიტანიკი" და რა მაგარი ჯახი იქნება "აისბერგი"-"ტიტანიკის" დაპირისპირებაო. ისე, მართლა საინტერესოა, ნეტავ სამეგრელოს რომელ მდინარეში შენიშნეს ბოლოს აისბერგი? აღმოსავლეთის ზონაში კი თამაშობს გუნდი "ერთობა". შედეგებს გადავხედე, შვიდი თამაშიდან შვიდივე წაგება აქვს ამ გუნდს და მივხვდი, რომ ამართლებს სახელს და აშკარად ჩანს, რომ ერთობა.

**მინი-ფეხბურთში** კი დასრულდა საინტერესო ტურნირი "მინისტერიალი 2010", რომლის გამარჯვებული გახდა მერიის გუნდი და საუკეთესო ბომბარდირი — სამაშველო სამსახურის უფროსი **თემურ გიორგაძე**, რომელმაც 30 გოლი გაიტანა. ამ კარგ კაცს რომ ვუყურებ, თუ ვინმეს რამე გაუჭირდა, ყველგან ეგ ტრიალებს, ყველას შველის, ყველაფერს ასწრებს და იქნებ ეროვნული ნაკრებისთვისაც ეშველა, თორემ ცოდოა მარტო **დავით სირაძე**.

**ცოტა** ხნის წინათ ეროვნულ სტადიონზე ეროვნული ფედერაციის თასის გათამაშება გაიმართა მძლეოსნობაში. ბევრს წერენ ბოლო ხანებში იმაზე, რომ სავარჯიშო ადგილები აღარსად აქვთ მძლეოსნებს და სარბენი ბილიკები თითქმის ყველგან გაპარტახებული და განადგურებულია. ამიტომაც იყო ალბათ, რომ სიმაღლეზე ხტომაში თითო ქალ-ვაჟი მონაწილეობდა, 5 კილომეტრზეც მხოლოდ ერთმა ქალმა ირბინა და 4X100-მეტრიანი ესტაფეტის ფინიშზე ზოგ გუნდს ძლივს მიუღწევია. რას იზამ, არ არიან მიჩვეულები ჩვეულებრივ სარბენ ბილიკებს და შედეგებიც ამიტომ იყო ცუდი. აბა, ისე ერბინათ, როგორც ბოლო ხანებში ვარჯიშობენ? ჯერ ბუჩქებში გამძვრალიყვნენ, მერე სკამებს გადახტომოდნენ, მერე სავაჭრო ჯიხურისთვის შემოერბინათ, მერე მობირჟავე ბიჭების შუაში გაერბინათ და ისე მისულიყვნენ ფინიშზე- მაშინ გვენახა, თუ გვექნებოდა ცუდი შედეგები და ვინ იქნებოდა რეკორდსმენი, **უსაინ ბოლტი** თუ ვინმე ქართველი. ისე, მე მგონი, ყველა სხვა სახეობას თავი უნდა დავანებოთ და სტიპლ-ჩეიზს მივაწვეთ. მანდ მაინც გვექნება წარმატებები. არა მგონია, დაბრკოლებები და გუბეები აკლდეს ჩვენი სტადიონების ბილიკებს.

**კალათბურთში** კი ჩემპიონატის დაწყებამდე ტრადიციულად დუდუ დადიანის თასის გათამაშება დაიწყო და მაყურებლის წინაშე პირველად წარდგნენ ახალი ლეგიონერები. ჩემი ჭკუით, ჩვენს კალათბურთს ყველაზე კარგად ალლო შსს-ს გუნდის ამერიკელმა წევრმა **ტროი კოტონმა** აუღო. არა, თამაში არაფერ შუაშია (თუმცა არც აქ აკლებს), პირველივე ინტერვიუში განაცხადა, ყველაზე მეტად ხინკალი, ქაბაბი და ხაჭაპური მომეწონაო. გაგიმარჯოს ღმერთმა, ძმაო. იმ ტოტალიზატორში ჩვენს ჩემპიონატზე ფულს რომ მოვიგებ, შენც უნდა დაგპატიჟო სახინკლეში (როგორც აღვნიშნე, მე მაინც ცოტას ვჭამ).

**ისევ** ფეხბურთს დავუბრუნდები და განახლებულ ჩემპიონთა ლიგაზეც ვიტყვი ორიოდ სიტყვას. ბევრი მეტ-ნაკლებად საინტერესო რამ მოხდა ამ ტურში, მაგრამ რამდენიმეს გამოვყოფ. ლონდონის "არსენალმა" მორიგი შეხვედრა მოიგო დიდი ანგარიშით და სამ თამაშში უკვე 14 გოლი აქვს გატანილი. ვერ გავიგე რა, ეს გუნდი ჩემპიონთა ლიგაზე თამაშობს ევროპის საუკეთესო კლუბებთან თუ ცხვარზე და ოციანზე უბნის გუნდებთან?

მივმართავ მათ, ვინც "ინტერი"-"ტოტენჰემის" მატჩს ვერ უყურა და მხოლოდ მიმოხილვა ნახა - არა, 15-ჯერ არ გაუმეორებიათ **გარეთ ბეილის** გოლი, 3 გოლი გაიტანა და 5-5-ჯერ გაიმეორეს. ისე, გოლების ერთმანეთისთვის ასე დამსგავსებასაც რაღაც ნიჭი უნდა. ამ ჰეთ-თრიკის წყალობით "ტოტენჰემმა", მართალია, თამაში მაინც ვერ გადაარჩინა, მაგრამ აშკარაა, რომ მაინც იხეირა, რადგან გარეთ ბეილის ფასი საკმაოდ გაიზრდება. არადა, მისი ყიდვა სწორედ "ინტერს" სურდა და, მგონი, 20 მილიონსაც იხდიდა.

რაულმა კი მორიგი დუბლი შეასრულა და ევროტურნირების საუკეთესო ბომბარდირი გახდა 70 გატანილი გოლით. "შალკეში" კი არა, ეს კაცი "აისბერგშიც" რომ გადაიყვანო, მაინც გაიტანს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოური ფეხბურთი

ევროთასების წინ

# ათენის, სტამბოლისა და სალონიკის დერბები

## ბრაგადან ბრაზილიელი ყმაწვილი გააგდეს: 21 წლის და უკვე ლოთი?!

### ჰოლანდია

**მერაბ ჟორდანიამ** ჰოლანდიურ კარიერაში პირველი მწვრთნელი გაათავისუფლა **ტეო ბოსი** ქართველმა პრეზიდენტმა ცუდი შედეგის გამო დაითხოვა. „უტრეხტთან“ „ვიტესს“ ბოსის ასისტენტი გაიყვანს, ჟორდანია კი ახალ მწვრთნელს ეძებს. ტურის ცენტრალურ მატჩში ჯერაც დაუმარცხებელი „პსვ ეინდჰოვენი“ „ფეიენოორდს“ მასპინძლობს. 2002 წლიდან ეს გუნდები 19-ჯერ შეხვდნენ ერთმანეთს: 9 მატჩი პსვ-მ მოიგო, 6 - „ფეიენოორდმა“.

### ბელგია

ჟუპილერლიგაში კვირის მატჩს გამოვყოფთ: ლიდერი „სტანდარდი“ მე-2 ადგილოსან „გენტს“ მასპინძლობს.

### პორტუგალია

„ბრაგამ“ გახურებულ სეზონში გაუშვა გუნდიდან მცველი **ედუარდო და სილვა ნასიმენტო**. მიზეზი არ გაინტერესებთ? ნიჭიერი მცველი ალკოჰოლიზმის გამო გააძევეს კლუბიდან, თან კლუბის პრესტიჟის შელახვისთვის აქეთ ედავებიან თანხას.

### რუსეთი

კვირას ტურის ცენტრალურ მატჩში ცსკა ჩემპიონ „რუბინს“ მასპინძლობს. სავარაუდოდ, ამათი დაპირისპირებით „ზენიტი“ ისარგებლებს და უფრო გაიმყარებს საჩემპიონო პოზიციებს. ამასობაში მოსკოვის „დინამოს“ ნახევარმცველმა **დმიტრი ხოხლოვმა** საფეხბურთო კარიერის დასრულება გამოაცხადა, სეზონი ჩამთავრდება და ხოხლოვიც შეეშვება სპორტს. „უმაღლეს დონეზე თამაში აღარ შემიძლია და არც გულშემატკივრის მოტყუება“, - განაცხადა მან.

### უკრაინა

ჩემპიონთა ლიგაში სამარცხვინო ნაგების შემდეგ უკრაინის ჩემპიონი „ვორსკლასთან“ საშინაო მატჩში სულს მოითქვამს. ჩვენ უფრო კიევურ დაპირისპირებას გამოვყოფთ: „არსენალი“ **ხუანდე რამოსის** „დნიპროს“ მასპინძლობს. ესპანელი სპეციალისტის დებიუტმა წინა ტურში უილბლოდ ჩაიარა, თავად კი **უჩა ლობჟანიძის** თამაშით დარჩა უკმაყოფილო. ვნახოთ, თუ ენდობა რამოსი ქართველს „არსენალთან“ მატჩში.

### თურქეთი

**შოთა არველაძის** „ქაისერი“ „ბეშიქთაშს“ მასპინძლობს, ეს ქართველი მწვრთნელის მესამე სერიოზული გამოცდაა სეზონში. ტურის ცენტრალური დაპირისპირება კი უთუოდ დიდ რეზონანსს გამოიწვევს თურქეთში - „ფენერბაჰჩე“ „გალათასარაის“ წინააღმდეგ! „ლომები“ ახალი მწვრთნელით ეწვევიან „თურქეთის სახალხო გუნდს“, „გალათასარაის“ რუმინელი ლეგენდა **გეორგე ჰაჯი** უთავკაცებს, რომელმაც **ფრანკ რაიკაარდი** შეცვალა. ჰაჯი ჯერ თამაშობდა აქ, შემდეგ კი 2004-05 წლების სეზონში წვრთნიდა გუნდს.

### საბერძნეთი

საქართველოს ნაკრების ყოფილი მწვრთნელის გუნდი ნაკრების ახლანდელი მწვრთნელის ყოფილ გუნდს სტუმრობს - „არისი“ ლიდერ „ოლიმპიაკოსს“ ეწვევა. წინა ტურში **ექტორ კუპერმა** ბერძნულ კარიერაში უმძიმესი დარტყმა იგემა, როცა შინ **მანოლო ხიმენესის** აეკ-თან 0:4 წააგო.

საბერძნეთში ტურის მთავარი მატჩი ათენური დერბია - კვირას „ოაკაზე“ აეკ „პანათინაიკოსს“ მასპინძლობს. მანოლო ხიმენესი პირველად გაიყვანს გუნდს მშობლიურ არენაზე. ტურში სალონიკური დერბიცაა, პაოკ-იც და „პანიონიოსიც“, მოულოდნელად, აუტსაიდერთა შორის არიან. პაოკ-მა ახლახან მთავარი მწვრთნელი **პავლოს დერმიცაკისი** მოხსნა.



ფენერბაჰჩეს და გალათასარაის ბოლო დაპირისპირება

### ჰოლანდია

ერედივიზიე. X ტურის წინ

**ბრედა-როდა 1:2**

გოლები: 1:0 კოლკა (36), 1:1 ჯოუმი (59), 1:2 ჰემპტე (78)

**დღეს**

| | |
|---|---|
| დე გრააფსხაპი-ჰერაკლესი | 20:45 |
| ნიიმეგენი-გრონინგენი | 21:45 |
| ჰერენვეენი-ვენლო | 22:45 |

**ხვალ**

| | |
|---|---|
| ექსელსიორი-აიაქსი | 14:30 |
| ალკმაარი-ვილემი | 16:30 |
| პსვ-ფეიენოორდი | 16:30 |
| ტვენტე-დენ ჰააგი | 16:30 |
| ვიტესი-უტრეხტი | 18:30 |

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პსვ | 9 | 6 | 3 | 0 | 25-8 | 21 |
| 2. როდა | 10 | 6 | 3 | 1 | 19-12 | 21 |
| 3. აიაქსი | 9 | 6 | 2 | 1 | 24-9 | 20 |
| 4. ტვენტე | 9 | 5 | 4 | 0 | 16-5 | 19 |
| 5. გრონინგენი | 9 | 5 | 3 | 1 | 15-9 | 18 |
| 6. დენ ჰააგი | 9 | 4 | 3 | 2 | 18-17 | 15 |
| 7. ალკმაარი | 9 | 4 | 3 | 2 | 10-9 | 15 |
| 8. ბრედა | 10 | 4 | 2 | 4 | 12-13 | 13 |
| 9. უტრეხტი | 9 | 4 | 1 | 4 | 14-15 | 13 |
| 10. ჰერენვეენი | 9 | 2 | 4 | 3 | 12-13 | 10 |
| 11. ნიიმეგენი | 9 | 3 | 1 | 5 | 16-18 | 10 |
| 12. ექსელსიორი | 9 | 3 | 1 | 5 | 12-17 | 10 |
| 13. დე გრააფსხაპი | 9 | 2 | 3 | 4 | 12-21 | 9 |
| 14. ჰერაკლესი | 9 | 2 | 2 | 5 | 13-15 | 8 |
| 15. ფეიენოორდი | 9 | 2 | 2 | 5 | 12-14 | 8 |
| 16. ვიტესი | 9 | 2 | 2 | 5 | 9-18 | 8 |
| 17. ვენლო | 9 | 2 | 0 | 7 | 7-15 | 6 |
| 18. ვილემი | 9 | 0 | 1 | 8 | 8-26 | 1 |

**ბომბარდირები:** 9 - **ვან ვოლსვინკელი** (უტრეხტი); 7 - **სუარესი** (აიაქსი), **ელ ჰამდაუი** (აიაქსი), **ტოივონენი** (პსვ), **ბულიკინი** (დენ ჰააგი).

### ბელგია

ჟუპილერ ლიგა. XII ტურის წინ

**კორტრიიკი-გენკი 1:0**

გოლი: 1:0 როსინი (47)

**დღეს**

| | |
|---|---|
| სერკლ ბრიუგე-ვეპენი | 22:00 |
| ლიერსი-ვარეგემი | 22:00 |
| მეხელენი-ჟერმინალი | 22:00 |
| სტ. ტრუიდენი-შარლერუა | 22:00 |

**ხვალ**

| | |
|---|---|
| სტანდარდი-გენტი | 20:00 |
| ანდერლეხტი-ვესტერლო | 22:30 |
| ლოკერენი-ბრიუგე | 22:30 |

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გენკი | 12 | 9 | 2 | 1 | 35-11 | 29 |
| 2. გენტი | 11 | 7 | 1 | 3 | 22-17 | 22 |
| 3. ანდერლეხტი | 11 | 6 | 3 | 2 | 23-8 | 21 |
| 4. სტანდარდი | 11 | 6 | 2 | 3 | 22-14 | 20 |
| 5. ბრიუგე | 11 | 6 | 1 | 4 | 26-16 | 19 |
| 6. სერკლი | 11 | 5 | 4 | 2 | 15-14 | 19 |
| 7. მეხელენი | 11 | 5 | 4 | 2 | 13-13 | 19 |
| 8. კორტრიიკი | 12 | 6 | 1 | 5 | 13-13 | 19 |
| 9. ლოკერენი | 11 | 5 | 3 | 3 | 16-17 | 18 |
| 10. ვესტერლო | 11 | 4 | 3 | 4 | 12-12 | 15 |
| 11. ჟერმინალი | 11 | 3 | 3 | 5 | 9-14 | 12 |
| 12. ვარეგემი | 11 | 2 | 5 | 4 | 17-19 | 11 |
| 13. სტ. ტრუიდენი | 11 | 2 | 1 | 8 | 6-24 | 7 |
| 14. ლიერსი | 11 | 1 | 3 | 7 | 8-19 | 6 |
| 15. შარლერუა | 11 | 1 | 3 | 7 | 7-21 | 6 |
| 16. ვეპენი | 11 | 1 | 1 | 9 | 10-22 | 4 |

**ბომბარდირები:** 14 - **ვოსენი** (გენკი); 9 - **ვარგასი** (ბრიუგე); 6 - **ბუსუფა** (ანდერლეხტი), **კარსელა** (სტანდარდი).

### პორტუგალია

ლიგა საგრეში. VIII ტურის წინ

**დღეს**

| | |
|---|---|
| აკადემიკა-ნასიონალი | 20:00 |
| ფერეირა-ბეირა მარი | 21:00 |
| სეტუბალი-გიმარაეში | 22:15 |
| ბრაგა-ოლანენში | 00:15 |

**ხვალ**

| | |
|---|---|
| მარიტიმუ-ნავალი | 19:00 |
| სპორტინგი-რიუ ავე | 21:15 |
| პორტიმონენშე-ბენფიკა | 23:15 |

**ზეგ**

| | |
|---|---|
| პორტუ-ლეირია | 23:15 |

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პორტუ | 7 | 6 | 1 | 0 | 14-3 | 19 |
| 2. გიმარაეში | 7 | 3 | 3 | 1 | 8-6 | 12 |
| 3. ოლანენშე | 7 | 3 | 3 | 1 | 7-4 | 12 |
| 4. ბენფიკა | 7 | 4 | 0 | 3 | 10-6 | 12 |
| 5. ლეირია | 7 | 3 | 2 | 2 | 5-4 | 11 |
| 6. ბრაგა | 7 | 3 | 2 | 2 | 11-8 | 11 |
| 7. აკადემიკა | 7 | 3 | 2 | 2 | 13-9 | 11 |
| 8. ფერეირა | 7 | 2 | 4 | 1 | 8-7 | 10 |
| 9. ნასიონალი | 7 | 3 | 1 | 3 | 9-10 | 10 |
| 10. სპორტინგი | 7 | 2 | 3 | 2 | 6-6 | 9 |
| 11. სეტუბალი | 7 | 2 | 3 | 2 | 3-6 | 9 |
| 12. პორტიმონენშე | 7 | 2 | 1 | 4 | 8-12 | 7 |
| 13. ბეირა მარი | 7 | 1 | 4 | 2 | 4-7 | 7 |
| 14. ნავალი | 7 | 1 | 1 | 5 | 4-12 | 4 |
| 15. მარიტიმუ | 7 | 0 | 3 | 4 | 2-6 | 3 |
| 16. რიუ ავე | 7 | 0 | 3 | 4 | 3-9 | 3 |

**ბომბარდირები:** 6 - **ჰალკი** (პორტუ); 4 - **სოუგუ** (აკადემიკა); 3 - **ფიდალგო** (აკადემიკა), **ვარელა** (პორტუ), **ტოსკანო** (გიმარაეში), **კარდოსო** (ბენფიკა).

### რუსეთი

პრემიერლიგა. XXV ტურის წინ

**დღეს**

| | |
|---|---|
| სიბირი-სპარტაკი | 11:45 |
| ალანია-დინამო | 14:00 |
| ნალჩიკი-ტომი | 16:15 |
| სატურნი-ტერეკი | 18:30 |

**ხვალ**

| | |
|---|---|
| ამკარი-ლოკომოტივი | 12:00 |
| ცსკა-რუბინი | 14:10 |
| ანჟი-ზენიტი | 16:30 |
| როსტოვი-კრილია სოვეტოვი | 18:45 |

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ზენიტი | 22 | 17 | 5 | 0 | 42-10 | 56 |
| 2. რუბინი | 24 | 14 | 8 | 2 | 30-11 | 50 |
| 3. ცსკა | 22 | 15 | 3 | 4 | 39-15 | 48 |
| 4. სპარტაკი | 23 | 11 | 6 | 6 | 37-27 | 39 |
| 5. ნალჩიკი | 24 | 10 | 6 | 8 | 32-28 | 36 |
| 6. ლოკომოტივი | 24 | 10 | 6 | 8 | 28-26 | 36 |
| 7. როსტოვი | 24 | 10 | 3 | 11 | 22-29 | 33 |
| 8. დინამო | 23 | 8 | 8 | 7 | 30-25 | 32 |
| 9. ტერეკი | 24 | 8 | 7 | 9 | 24-24 | 31 |
| 10. ტომი | 24 | 7 | 6 | 11 | 28-38 | 27 |
| 11. სატურნი | 24 | 6 | 7 | 11 | 20-31 | 25 |
| 12. ანჟი | 24 | 6 | 5 | 13 | 18-31 | 23 |
| 13. ალანია | 24 | 6 | 5 | 13 | 21-35 | 23 |
| 14. კრილია | 24 | 5 | 8 | 11 | 22-33 | 23 |
| 15. ამკარი | 24 | 6 | 4 | 14 | 16-29 | 22 |
| 16. სიბირი | 24 | 4 | 5 | 15 | 29-46 | 17 |

**ბომბარდირები:** 16 - **ველიტონი** (სპარტაკი); 13 - **ალიევი** (ლოკომოტივი); 11 - **კორნილენკო** (ტომი); 10 - **კერჟაკოვი** (ზენიტი).

### უკრაინა

პრემიერლიგა. XIV ტურის წინ

**ობოლონი-ტავრია 2:1**

გოლები: 0:1 იდაჰორი (61), 1:1 კუჩერენკო (86-პენ), 2:1 კუძიკი (90)

გაძევება: ოსტაპენკო (90. ობოლონი), გომენიუკი (90. ტავრია)

**დღეს**

| | |
|---|---|
| ზარია-კრივბასი | 14:00 |
| სევასტოპოლი-მეტალურგი ზ. | 15:00 |
| არსენალი-დნიპრო | 17:00 |
| შახტარი-ვორსკლა | 17:00 |

**ხვალ**

| | |
|---|---|
| ილიჩივეცი-მეტალისტი | 15:00 |
| ვოლინი-დინამო | 18:00 |
| კარპატი-მეტალურგი დ. | 21:00 |

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შახტარი | 13 | 11 | 1 | 1 | 25-5 | 34 |
| 2. დინამო | 13 | 9 | 2 | 2 | 20-12 | 29 |
| 3. მეტალისტი | 13 | 8 | 1 | 4 | 22-12 | 25 |
| 4. დნიპრო | 13 | 7 | 3 | 3 | 21-8 | 24 |
| 5. კარპატი | 13 | 6 | 2 | 5 | 15-13 | 20 |
| 6. არსენალი | 13 | 6 | 2 | 5 | 16-14 | 20 |
| 7. მეტალურგი დ. | 13 | 5 | 3 | 5 | 16-17 | 18 |
| 8. ვორსკლა | 13 | 5 | 3 | 5 | 15-14 | 18 |
| 9. კრივბასი | 13 | 3 | 7 | 3 | 13-16 | 16 |
| 10. ტავრია | 14 | 4 | 3 | 7 | 21-23 | 15 |
| 11. ვოლინი | 13 | 4 | 3 | 6 | 10-16 | 15 |
| 12. ობოლონი | 14 | 4 | 3 | 7 | 11-20 | 15 |
| 13. ილიჩივეცი | 13 | 3 | 5 | 5 | 19-23 | 14 |
| 14. ზარია | 13 | 2 | 6 | 5 | 14-19 | 12 |
| 15. სევასტოპოლი | 13 | 2 | 5 | 6 | 10-21 | 11 |
| 16. მეტალურგი ზ. | 13 | 0 | 3 | 10 | 4-19 | 3 |

**ბომბარდირები:** 9 - **იდაჰორი** (ტავრია); 7 - **სელეზნევი** (დნიპრო); 6 - **შევჩენკო** (დინამო), **დევიჩი** (მეტალისტი), **ანტონოვი** (ილიჩივეცი), **შაცკიხი** (არსენალი).

### თურქეთი

სუპერლიგა. IX ტურის წინ

**კარაბიუკი-ესკიშეჰირი 1:2**

გოლები: 0:1 კოშკუნი (11), 0:2 კარადენიზი (39), 1:2 ემენიკე (52)

**სივასი-ბუკა 1:1**

გოლები: 0:1 ტაშკირანი (12), 1:1 ერისი (51)

**დღეს**

| | |
|---|---|
| ბუიუქშეჰირი-გაზიანთეპი | 16:30 |
| ანთალია-კონია | 20:00 |
| ტრაბზონი-გენჩლერბირლიგი | 20:00 |

**ხვალ**

| | |
|---|---|
| ანკარაგიუჯუ-ბურსა | 15:30 |
| მანისა-კასიმფაშა | 16:30 |
| ფენერბაჰჩე-გალათასარაი | 20:00 |

**ზეგ**

| | |
|---|---|
| ქაისერი-ბეშიქთაში | 21:00 |

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბურსა | 7 | 5 | 2 | 0 | 10-3 | 20 |
| 2. ტრაბზონი | 8 | 5 | 2 | 1 | 20-6 | 17 |
| 3. ქაისერი | 8 | 5 | 2 | 1 | 13-4 | 17 |
| 4. ფენერბაჰჩე | 8 | 5 | 1 | 2 | 24-11 | 16 |
| 5. კარაბიუკი | 9 | 4 | 2 | 3 | 15-14 | 14 |
| 6. ანთალია | 8 | 4 | 2 | 2 | 12-12 | 14 |
| 7. ბეშიქთაში | 8 | 4 | 1 | 3 | 14-9 | 13 |
| 8. ანკარაგიუჯუ | 8 | 4 | 1 | 3 | 15-11 | 13 |
| 9. გალათასარაი | 8 | 4 | 0 | 4 | 12-12 | 12 |
| 10. გაზიანთეპი | 7 | 2 | 4 | 1 | 6-4 | 10 |
| 11. ბუიუქშეჰირი | 8 | 3 | 1 | 4 | 8-9 | 10 |
| 12. ესკიშეჰირი | 9 | 2 | 3 | 4 | 7-10 | 9 |
| 13. მანისა | 8 | 3 | 0 | 5 | 13-16 | 9 |
| 14. გენჩლერ. | 8 | 2 | 2 | 4 | 6-13 | 8 |
| 15. ბუკა | 9 | 1 | 4 | 4 | 5-8 | 7 |
| 16. სივასი | 9 | 1 | 4 | 4 | 8-20 | 7 |
| 17. კონია | 8 | 1 | 3 | 4 | 9-16 | 6 |
| 18. კასიმფაშა | 8 | 0 | 2 | 6 | 5-24 | 2 |

**ბომბარდირები:** 7 - **ნიანგი** (ფენერბაჰჩე); 6 - **ბობო** (ბეშიქთაში), **ბაროში** (გალათასარაი), **ტიტა** (ანთალია); 5 - **ჩერნატი** (კარაბიუკი), **სიმპსონი** (მანისა).

### საბერძნეთი

სუპერლიგა. VII ტურის წინ

**დღეს**

| | |
|---|---|
| ატრომიტოსი-ქსანთი | 18:15 |
| ასტერასი-ირაკლისი | 20:30 |
| ვოლოსი-ლარისა | 20:30 |

**ხვალ**

| | |
|---|---|
| კავალა-ერგოტელისი | 17:00 |
| პანსერაიკოსი-კერკირა | 17:00 |
| პაოკ-პანიონიოსი | 17:00 |
| ოლიმპიაკოსი-არისი | 21:30 |
| აეკ-პანათინაიკოსი | 22:00 |

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ოლიმპიაკოსი | 6 | 5 | 0 | 1 | 13-3 | 15 |
| 2. პანათინაიკოსი | 6 | 4 | 2 | 0 | 11-5 | 14 |
| 3. აეკ | 6 | 3 | 1 | 2 | 11-7 | 10 |
| 4. არისი | 6 | 3 | 0 | 3 | 3-6 | 9 |
| 5. კავალა | 6 | 2 | 3 | 1 | 6-5 | 9 |
| 6. ასტერასი | 6 | 2 | 3 | 1 | 6-6 | 9 |
| 7. კერკირა | 6 | 2 | 3 | 1 | 7-6 | 9 |
| 8. ირაკლისი | 6 | 2 | 3 | 1 | 5-4 | 9 |
| 9. ერგოტელისი | 6 | 3 | 0 | 3 | 4-6 | 9 |
| 10. ვოლოსი | 6 | 2 | 2 | 2 | 8-8 | 8 |
| 11. ატრომიტოსი | 6 | 1 | 3 | 2 | 7-9 | 6 |
| 12. ქსანთი | 6 | 1 | 2 | 3 | 3-7 | 5 |
| 13. ლარისა | 6 | 1 | 2 | 3 | 2-5 | 5 |
| 14. პაოკ | 6 | 1 | 2 | 3 | 4-6 | 5 |
| 15. პანიონიოსი | 6 | 1 | 1 | 4 | 4-7 | 4 |
| 16. პანსერაიკოსი | 6 | 1 | 1 | 4 | 5-9 | 4 |

**ბომბარდირები:** 5 - **სისე** (პანათინაიკოსი); 4 - **ჯებური** (აეკ), **ეპშტაინი** (კერკირა); 3 - **ბრეშკა** (ვოლოსი), **პერონე** (ატრომიტოსი), **ნაჩო სკოკო** (აეკ), **ონვუაჩი** (კავალა).

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

იტალია. სერია A. VIII ტურის წინ

# მძიმე ევროზატალიების შემდეგ...

| დღეს | |
|---|---|
| ფიორენტინა-ბარი | 22.45 |
| **ხვალ** | |
| პარმა-რომა | 14.30 |
| ბოლონია-იუვენტუსი | 17.00 |
| კიევო-ჩეზენა | 17.00 |
| ჯენოა-კატანია | 17.00 |
| ლაციო-კალიარი | 17.00 |
| ლეჩე-ბრეშა | 17.00 |
| უდინეზე-პალერმო | 17.00 |
| ინტერი-სამპდორია | 17.00 |
| **ზეგ** | |
| ნაპოლი-მილანი | 22.45 |

იტალიურმა გუნდებმა კიდევ ერთხელ მოიჭრეს თავი ევროპულ ასპარეზზე და თუ ასე გაგრძელდა, ჩემპიონთა ლიგის საგზურს ყველა შემთხვევაში გერმანიის ბუნდესლიგას გადაულოცავენ. ევროპის უპრესტიჟულეს საკლუბო ტურნირში „მილანი" „რეალთან" დამარცხდა და თანაც, უშანსოდ. „რომამ" სულაც „ბაზელს" გაატანა სამი ქულა „ოლიმპიკოდან", „ინტერმა" კი კაცნაკლულ „ტოტენჰემთან" კინაღამ ოთხბურთიანი უპირატესობა გაანიავა. ევროპის ლიგაში სასტიკი მარცხი განიცადა „პალერმომ", რომელიც საკუთარ კედლებში მოსკოვის ცსკა-სთან 0:3 განადგურდა. წააგო „სამპდორიამაც", თანაც არც თუ ძლიერ „მეტალისტთან". „იუვემ" „ზალცბურგს" ვერ მოუგო, „ნაპოლიმ" კი უმძიმეს კრიზისში მყოფ „ლივერპულს". მოკლედ, ისეთი შედეგებია, უარესს კაცი ვერც კი წარმოიდგენდა...

მერვე ტურის მატჩები სამ დღეზეა გადანაწილებული, რაც „ნაპოლი"-"ლივერპულის" გუშინწინდელი მატჩით გახლავთ განპირობებული. ლეგაკალჩომ გაითვალისწინა ნეაპოლელთა თხოვნა და თამაში კვირის ნაცვლად, ორშაბათს გაიმართება. გამომდინარე იქიდან, რომ შუა კვირაში ევროპაექრობები არ იგეგმება, დღეს მხოლოდ ერთი თამაში შედგება, ჩვენ კი კვირის მატჩებზე გადავიდეთ და თავდაპირველად, „იუვენტუსის" ბოლონიაში სტუმრობაზე ვთქვათ.

**ჯანლუიჯი ბუფონის** და **ზდენეკ გრიგერას** ტრავმებს თუ არ ჩავთვლით, „იუვე" ოპტიმალური შემადგენლობით ხვდება მოახლოებულ პაექრობას. **ლუიჯი დელ ნერი** ტრადიციულ, 4-4-2 ტაქტიკას ამზადებს - შეტევის წინა ხაზზე, **ფაბიო კვალიარელასთან** ერთად, ალბათ **კარვალიო ამაურის** ვიხილავთ. ასეთ პროგნოზს აკეთებს „გაძეტა დელო სპორტი", თუმცა აუცილებლად უნდა დავძინოთ, რომ ბოლო დროს ავტორიტეტული გამოცემა ამ საკითხში ყოველთვის ცდება. როგორც წესი, სავარაუდო შემადგენლობაში ამაურის გვარი ფიგურირებს, რეალურად კი სასტარტოში **ალესანდრო დელ პიერო** ასპარეზობს. ვნახოთ, ამჯერად მაინც თუ გამართლდება „გაძეტას" ვერსია. გასულ ტურში „ბიანკონერიმ" „ლეჩეს" გადაუარბინა და დელ ნერი იმედოვნებს, რომ წარმატებული სვლა გაგრძელდება: *„გუნდი კარგ ფიზიკურ კონდიციაშია და მჯერა, რომ „ბოლონიასთან" სასურველ შედეგს მივაღწევთ. მეტოქე სახლშიც და გასვლაზეც ეკნიდან თამაშობს და პრაქტიკულად დარწმუნებული ვარ, რომ კონტრშეტევებზე იასპარეზებს. ამისთვის მზად უნდა ვიყოთ და შევეცადოთ, რომ ზონები კარგად გადავკეტოთ".*

სავარაუდო შემადგენლობები

**ბოლონია (4-1-4-1):** ვივიანო - გარიჩი, პორტანოვა, ბრიტოსი, რუბინი - რადოვანოვიჩი - ბუშე, მუდინგაი, ეკდალი, პაპონი - დი ვაიო.

**იუვენტუსი (4-4-2):** სტორარი - მოტა, ბონუჩი, კიელინი, დე ჩელიე - კრასიჩი, ფელიპე მელო, აკვილანი, მარკიზიო - ამაური, კვალიარელა.

საინტერესო მატჩი გაიმართება „ჯუზეპე მეაცაზე", სადაც „ინტერი" „სამპდორიას" უმასპინძლებს. ბოლო წლებში გენუელებს მაღალი მიზნებისთვის მებრძოლი გუნდი ჰყავთ და წესით, მრისხანე მეტოქეს მედგარი წინააღმდეგობა უნდა გაუწიონ. რაც მთავარია, სრულ მზადყოფნაში არიან **ანტონიო კასანო** და **ჯამპაოლო პაცინი**, რომლებიც უკვე ეროვნულ ნაკრებშიც წყვილში თამაშობენ. „სამპას" ათი ქულა აქვს და სატურნირო ცხრილში მეშვიდე ადგილზეა - ასე რომ, გენუელებს ამბიციების ნაკლებობა არც წელს აწუხებთ.

„ინტერი" ერთადერთი იტალიური გუნდია, რომელმაც შუა კვირაში ევროპაექრობა მოიგო, მაგრამ მიუხედავად ამისა, კრიტიკის ობიექტი გახდა. „ნერაძური" „ტოტენჰემს" ოთხი ბურთის უგებდა, მეტოქე კაცნაკლული თამაშობდა და მიუხედავად ამისა, მილანურ გრანდს სამი ბურთი გაუქვითა. ბუნებრივია, ეს ძალიან არ მოეწონა **მასიმო მორატის**, რომელმაც პრესასთან საუბარში შემდეგი განაცხადა: *„მოვდუნდით და კაცნაკლული მეტოქისგან სამი გოლი მივიღეთ. „ინტერის" დარ გუნდს ასეთი რამ არ უნდა ემართებოდეს და იმედი მაქვს, მომავალში აღარ განმეორდება. როდესაც ოთხი ბურთის სხვაობით იგებ, გამარჯვება კითხვის ნიშნის ქვეშ არ უნდა დააყენო. მთავარია, სწორი დასკვნები გამოვიტანოთ ამ ყველაფრიდან და ხარვეზები გამოვასწოროთ. ნებისმიერ შემთხვევაში „სამპდორიასთან" მხოლოდ სამი ქულისთვის უნდა ვიბრძოლოთ".*

კვლავაც ტრავმირებულია **დიეგო მილიტო** და „სამპდორიასთან" ვერ ითამაშებს. სამაგიეროდ, **ესტებან კამბიასო** გამოჯანმრთელდა და საყრდენი ნახევარმცველის პოზიციას დაიკავებს. მის მხარდამხარ **ხავიერ ძანეტის** ვიხილავთ, შეტევაში კი შემდეგი ოთხეული გაირჯება: **კოუტინიო, ვესლი სნეიდერი, გორან პანდევი** და **სამუელ ეტოო.**

სავარაუდო შემადგენლობები

**ინტერი (4-2-3-1):** ჟულიო სეზარი - მაიკონი, ლუსიო, სამუელი, კივუ - ძანეტი, კამბიასო - პანდევი, სნეიდერი, კოუტინიო - ეტოო.

**სამპდორია (4-4-2):** კურჩი - ძაური, გასტალდელო, ვოლტა, ციგლერი - მარილუნგო, პალომბო, პოლი, გუბერტი - კასანო, პაცინი.

დროა, „ლაციოს" უფრო მეტი ყურადღება მივაქციოთ, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, გუნდი სატურნირო ცხრილს სათავეში უდგას და საკმაოდ მაღალი ხარისხის ფეხბურთს თამაშობს. **ედუარდო რეიამ** შესანიშნავად მომზადა გუნდი და აგერ უკვე მერამდენე შეხვედრაა, დამაჯერებელ გამარჯვებას აღწევს. „ბიანკოჩელესტეს" ტიფოზები მორიგ სამ ქულას ელოდებიან და სრულიად ლოგიკურადაც, რადგან მეტოქედ არც თუ დიდი ამბიციების მქონე „კალიარი" ჰყავთ. მართალია, სარდინიულმა გუნდმა რამდენიმე სენსაცია შემოგვთავაზა, მაგრამ მიუხედავად ამისა, მრისხანე და დაუმარცხებელ მეტოქეთა კატეგორიაში ნამდვილად ვერ გავიყვანთ.

რეია ხშირად ცვლის ტაქტიკას და სწორედ ეს არის ყველაზე საინტერესო - „ლაციოს" თავკაცს გამარჯვებული შემადგენლობის შეცვლაც სჩვევია და მიუხედავად ამისა, მოგებას მოგება მოსდევს. ამჯერად, სავარაუდოდ, 4-3-1-2 სქემას აირჩევს და შეტევის წინა ხაზზე **სერჯო ფლოკარისთან** ერთად **ტომაზო როკის** გაამწესებს. სულ უფრო და უფრო იშვიათად ხვდება ძირითად შემადგენლობაში **მაურო სარატე**, არადა, გასულ სეზონში გუნდის უდავო ლიდერი გახლდათ. „ლაციო" აუცილებლად მთელი გუნდით შეუტევს და ვნახოთ, რა გამოვა ამ საქმისგან.

სავარაუდო შემადგენლობები

**ლაციო (4-3-1-2):** მუსლერა - ლიხტშტაინერი, ბიავა, დიასი, რადუ - ბროკი, მათუზალემი, მაური - ერნანესი - როკი, ფლოკარი.

**კალიარი (4-3-1-2):** აგაცი - პერიკო, კანინი, ასტორი, არიაუდო - კონტი, ნაინგოლანი, ლაძარი - კოსუ - აკვაფრესკა, მატრი.

ურთულესი გასვლითი მატჩი ელის „მილანს", რომელსაც „ნაპოლისთან" მოუწევს ურთიერთობის გარკვევა. **მასიმილიანო ალეგრის რონალდინიოს** გარეშე მოუწევს ფონს გასვლა, რადგან ბრაზილიელმა ფეხი იტკინა და რამდენიმე დღის განმავლობაში მკურნალობა მოუწევს. გამომდინარე აქედან, ძირითად შემადგენლობაში ველოდებით **რობინიოს**, რომელმაც გასულ ტურში თავისი პირველი გოლი გაიტანა „მილანის" ამუნიციით. მწყობრში არიან **ზლატან იბრაჰიმოვიჩი** და **ალექსანდრე პატო** - შესაბამისად, თავთავიანთ პოზიციას დაიკავებენ. ძირითადში მოიაზრება **კლარენს ზეედორფიც**, არადა, „რეალთან" განცდილი მარცხის შემდეგ, ალეგრიმ მკაფიოდ განაცხადა: ამდენ შემტევ ფეხბურთელს სასტარტოში აღარ დავაყენებო. ვნახოთ, გამართლდება თუ არა „გაძეტას" ცოტა არ იყოს და საეჭვო პროგნოზი.

**პაოლო კანავაროს** დისკვალიფიკაციას თუ არ ჩავთვლით, „ნაპოლი" ოპტიმალური შემადგენლობით იასპარეზებს. **ვალტერ მაძარი** ალბათ სამ ნომინალურ მცველს დააყენებს, ხუთ ნახევარმცველს და სამ შემტევს. უფრო უკნიდან **მარეკ ჰამშიკი** და **ესეკილ ლავეცი** გაირჯებიან, წინა ხაზზე კი **ედისონ კავანი** იმოქმედებს. მაძარის თქმით, მისი გუნდი შეუტევს და შეეცდება მეტოქე პირველივე წუთებში გატეხოს - ანუ, გათქვა, სწრაფ გოლზე ვითამაშებთო. როგორც წესი, მწვრთნელები ასეთ გულახდილ განცხადებებს არ აკეთებენ და ვფიქრობთ, ეს უფრო მეტოქისთვის თავგზის არევის მცდელობაა. ნებისმიერ შემთხვევაში, წინ ძალიან საინტერესო პაექრობა გველის.

სავარაუდო შემადგენლობები

**ნაპოლი (3-4-2-1):** დე სანქტისი - კამპანიარო, კრიბარი, არონიკა - მაჯო, პაცოენცა, გარგანო, დოსენა - ჰამშიკი, ლავეცი - კავანი.

**მილანი (4-3-3):** აბიატი - ძამბროტა, ნესტა, ბონერა, ანტონინი - გატუზო, პირლო, ზეედორფი - პატო, იბრაჰიმოვიჩი, რობინიო.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლაციო | 7 | 5 | 1 | 1 | 10-5 | 16 |
| 2. მილანი | 7 | 4 | 2 | 1 | 11-5 | 14 |
| 3. ინტერი | 7 | 4 | 2 | 1 | 9-3 | 14 |
| 4. ნაპოლი | 7 | 3 | 3 | 1 | 13-9 | 12 |
| 5. იუვენტუსი | 7 | 3 | 2 | 2 | 16-9 | 11 |
| 6. პალერმო | 7 | 3 | 2 | 2 | 14-10 | 11 |
| 7. სამპდორია | 7 | 2 | 4 | 1 | 9-7 | 10 |
| 8. კიევო | 7 | 3 | 1 | 3 | 9-8 | 10 |
| 9. კატანია | 7 | 2 | 3 | 2 | 8-7 | 9 |
| 10. ბრეშა | 7 | 3 | 0 | 4 | 7-9 | 9 |
| 11. ჯენოა | 7 | 2 | 2 | 3 | 7-9 | 8 |
| 12. ჩეზენა | 7 | 2 | 2 | 3 | 5-8 | 8 |
| 13. რომა | 7 | 2 | 2 | 3 | 7-12 | 8 |
| 14. ბარი | 7 | 2 | 2 | 3 | 6-11 | 8 |
| 15. ლეჩე | 7 | 2 | 2 | 3 | 5-12 | 8 |
| 16. კალიარი | 7 | 1 | 4 | 2 | 7-6 | 7 |
| 17. ბოლონია | 7 | 1 | 4 | 2 | 8-12 | 7 |
| 18. უდინეზე | 7 | 2 | 1 | 4 | 4-9 | 7 |
| 19. პარმა | 7 | 1 | 3 | 3 | 6-8 | 6 |
| 20. ფიორენტინა | 7 | 1 | 2 | 4 | 7-9 | 5 |



ტურის ცენტრალური მატჩი: ინტერი-სამპდორია

**ლაშა წიკლაური**

ესპანეთი. ლა ლიგა. VIII ტურის წინ




ვისენტე დელ ბოსკე ოვიედოში დაჯილდოებისას

# პორტუგალი: ნეტა რონალდოს დაასვენონ

| დღეს | |
|---|---|
| სარაგოსა-ბარსელონა | 20:00 |
| რეალი-რასინგი | 22:00 |
| ვალენსია-მალიორკა | 00:00 |
| **ხვალ** | |
| ალმერია-ერკულესი | 19:00 |
| ესპანიოლი-ლევანტე | 19:00 |
| ხეტაფე-სპორტინგი | 19:00 |
| ოსასუნა-მალაგა | 19:00 |
| სევილია-ბილბაო | 21:00 |
| ვილიარეალი-ბილბაო | 23:00 |
| **ზეგ** | |
| რეალ სოსიედ.-დეპორტივო | 23:00 |

ესპანური პრიმერადივიზიონის მეხუთედი მიილია და სკეპტიკოსების ვარაუდი არ გამართლდა - ლა ლიგამ ორი ბედაურის რბოლა საგაზაფხულოდ შემოინახა, ახლა კი თავს სხვებიც იჩენენ. შარშანდელი უთუოდ აღარ გამეორდება, როცა კლუბის ისტორიაში ყველაზე მეტი ქულის მომპოვებელი მწვრთნელი (**მანუელ პელეგრინი**) გაათავისუფლეს. ჩემპიონობის მთავარი ფავორიტები შაბათს თამაშობენ, თუმცა საინტერესო მატჩები კვირასაც გველის.

სანამ უშუალოდ ტურის მატჩებზე გადავალთ, გეტყვით, რომ გუშინ ოვიედოში ასტურიის პრინცის პრემია ესპანეთის ეროვნული ნაკრების წევრებმა და მათმა მწვრთნელებმა მიიღეს. ისინი თავად პრინცმა **ფელიპემ** და პრინცესა **ლეტისიამ** დააჯილდოვეს.

„ბარსელონა", სადაც ახალი დირექტორატი სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაეკიდა ძველს, არაგონში მიემგზავრება. **ხოსეპ გვარდიოლა** კვლავ ასვენებს **ჩავის**, რომელსაც ბოლომდე არ მორჩენია ტრავმა და ტკივილიც ხანდახან აწუხებს. გუშინ დილით ჩავის პრეტენზიული კოჭის გამო მთელი კონსილიუმი შედგა, მწვრთნელებისა და ექიმების საერთო დასკვნით, სჯობს, ჩავის ამ უქმეებზე დასვენების საშუალება მისცენ. შეგახსენებთ, რომ „კოპენჰაგენთან" ჩემპიონთა ლიგის მატჩში ჩავიმ სულ 20 წუთი ითამაშა. კლუბის ხელმძღვანელობამ ჩავის ნება დართო და ის ოვიედოში გაემგზავრა პრესტიჟული პრემიის მისაღებად.

ოთხშაბათის მატჩის წინ მოულოდნელად შეუძლოდ გახდა **ვიქტორ ვალდესი**, ამიტომაც მან „კოპენჰაგენთან" თამაში გამოტოვა. ვალდესი მოწამლული იყო, ის თავს უკეთ გრძნობს და ალბათ ითამაშებს კიდეც. აი, **გაბრიელ მილიტოს** კი „სარაგოსასთან" თამაშის შანსი არა აქვს.

„ბარსელონა" „ლა რომალედას" „სარაგოსასთვის" ურთულეს დროს ეწვევა, არაგონელებს ჯერ მატჩი არ მოუგიათ სეზონში და ბოლო ადგილზე იმყოფებიან. გუნდის გულშემატკივრები ერთნაირად გაბრაზებულები არიან ფეხბურთელებზე, მწვრთნელზე და პრეზიდენტზე. ასე რომ, არ გამოვრიცხავთ, მორიგი მარცხის შემთხვევაში არაგონულმა პუბლიკამ გუნდს ობსტრუქცია მოუწყოს. **ხოსე აურელიო გაის** „სარაგოსული" კარიერა ბეწვზე კიდია.

სავარაუდო შემადგენლობები

**სარაგოსა (4-2-3-1):** დობლასი - დიოგო, ლანსარო, კონტინი, პონსიო - გაბი, პინტერი - ლაფიტა, ანდერი, ბერტოლო - სინამა პონგოლე.

**ბარსელონა (4-3-3):** ვალდესი - დ. ალვეში, პუიოლი, პიკე, მაქსველი - მასკერანო, ბუსკეტსი, კეიტა - მესი, ვილია, ინიესტა.

სანტანდერის „რასინგის" მწვრთნელი **მიგელ ანხელ პორტუგალი** ალალი კაცი ყოფილა - მან მატჩის წინა პრესკონფერენციაზე განაცხადა: *„დღეისათვის „რეალს" წინააღმდეგობას ძნელად თუ გაუწევ. გუნდმა საკუთარი ძალების ირწმუნა და დაცვასა და თავდასხმაში ერთნაირად ძლიერია. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მაფიქრებს მათი ლიდერი კრიშტიანო რონალდო, რომელიც მესისთან ერთად მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელია. კარგი იქნებოდა, „რეალის" მწვრთნელებს მისთვის დასვენების საშუალება მიეცათ. ყველაზე მეტად მეტოქის სწრაფი გოლის მეშინია".* მაინც არა გვგონია, **ჟოზე მოურინიომ** რონალდოს დასვენების საშუალება მისცეს, ამით ხომ „რასინგის" ამოცანა გაიოლდება.

სავარაუდო შემადგენლობები

**რეალი (4-2-3-1):** კასილიასი - არბელოა, პეპე, რ. კარვალიო, მარსელო - ხედირა, ჩაბი ალონსო - რონალდო, იოზილი, დი მარია - იგუაინი.

**რასინგი (4-4-2):** ტონიო - ფრანსისი, ტორეხონი, ენრიკე, სისმა - კოლსა, ლასენი, კენედი, მუნიტისი - ნაუელპანი, როზენბერგი.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეალი | 7 | 5 | 2 | 0 | 16-3 | 17 |
| 2. ბარსელონა | 7 | 5 | 1 | 1 | 12-6 | 16 |
| 3. ვილიარეალი | 7 | 5 | 1 | 1 | 14-6 | 16 |
| 4. ვალენსია | 7 | 5 | 1 | 1 | 12-6 | 16 |
| 5. ატლეტიკო | 7 | 4 | 1 | 2 | 12-7 | 13 |
| 6. ესპანიოლი | 7 | 4 | 0 | 3 | 6-9 | 12 |
| 7. სევილია | 7 | 3 | 2 | 2 | 10-8 | 11 |
| 8. ხეტაფე | 7 | 3 | 1 | 3 | 11-10 | 10 |
| 9. ბილბაო | 7 | 3 | 1 | 3 | 11-10 | 10 |
| 10. სპორტინგი | 7 | 2 | 2 | 3 | 8-11 | 8 |
| 11. ლევანტე | 7 | 2 | 2 | 3 | 7-12 | 8 |
| 12. ერკულესი | 7 | 2 | 2 | 3 | 7-8 | 8 |
| 13. მალიორკა | 7 | 2 | 2 | 3 | 5-7 | 8 |
| 14. მალაგა | 7 | 2 | 1 | 4 | 13-16 | 7 |
| 15. სოსიედადი | 7 | 2 | 1 | 4 | 7-11 | 7 |
| 16. რასინგი | 7 | 2 | 1 | 4 | 4-8 | 7 |
| 17. ალმერია | 7 | 1 | 3 | 3 | 5-6 | 6 |
| 18. ოსასუნა | 7 | 1 | 3 | 3 | 4-6 | 6 |
| 19. დეპორტივო | 7 | 0 | 4 | 3 | 3-11 | 4 |
| 20. სარაგოსა | 7 | 0 | 3 | 4 | 6-12 | 3 |

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

● ინგლისი. პრემიერლიგა IX ტურის წინ



ლივერპულის თავკაცი როი ჰოჯსონი ჩემოდნებზე ზის

# ხვალ ჰოჯსონის ბედი გადაწყდება

| დღეს | |
|---|---|
| ტოტენჰემი-ევერტონი | 15:45 |
| ბირმინგემი-ბლექპული | 18:00 |
| ჩელსი-ვულვზი | 18:00 |
| სანდერლენდი-ასტონ ვილა | 18:00 |
| ვესტ ბრომვიჩი-ფულემი | 18:00 |
| უიგანი-ბოლტონი | 18:00 |
| ვესტ ჰემი-ნიუკასლი | 20:30 |
| **ხვალ** | |
| სტოკი-მანჩესტერი | 16:30 |
| ლივერპული-ბლექბერნი | 18:00 |
| სიტი-არსენალი | 19:00 |

**უეინ რუნიმ** "მანჩესტერში" დარჩენა გადაწყვიტა და მასთან ერთად იბრძოლებს მიმდინარე პრემიერლიგაში პირველი გასვლითი გამარჯვებისთვის, როი ჰოჯსონისთვის შეიძლება, ხვალინდელი მატჩი ბოლო აღმოჩნდეს ლივერპულულ კარიერაში. რაც მთავარია, ხვალვე იმართება ტურის უმთავრესი მატჩი "მანჩესტერ სიტისა" და "არსენალს" შორის - აი, ესაა პრემიერლიგის მეცხრე ტურის სამი მთავარი ინტრიგა. თუმცა მანამდე დღევანდელი შეხვედრებია, სადაც ასევე ველით მოვლენათა საინტერესო განვითარებას.

ტურს "ტოტენჰემისა" და "ევერტონის" დაპირისპირება გახსნის. ლონდონელები ტრავმირებული კაპიტნის, **ლედლი კინგის** გარეშე ითამაშებენ, ლივერპულელებს კი **სტივენ პიენაარი** და **მარუან ფელაინი** დააკლდებიან. "დეზების" თავკაცი ჰარი რედნაპი აცხადებს, რომ "ინტერთან" გადახდილი მძიმე ბრძოლის მიუხედავად, მისი შეგირდების კონდიციები შესაშურია.

"ჩელსი" "ვულვზთან" საშინაო პაექრობაში რალა თქმა უნდა, უპირობო ფავორიტია. "არისტოკრატთა" შეტევას სავარაუდოდ, გააძლიერებს **დიდიე დროგბა,** რომელიც ტრავმისგან უკვე განიკურნა.

"ფულემსა" და "სანდერლენდს" განვლილ რვა ტურში 6-6 ფრე აქვთ ნათამაშები და საინტერესოა, გაგრძელდება თუ არა მათი "მშვიდობიანი" სერია.

"არსენალთან" შეხვედრას მოუთმენლად ელის "მეთოფეთა" ყოფილი და "ქალაქელთა" ამჟამინდელი ფორვარდი **ემანუელ ადებაიორი**. ტოგოელი რომ ჩინებულ ფორმაშია, ამას მის მიერ ევროპის ლიგაზე პოლონურ "ლეხთან" შესრულებული ჰეთ-თრიქიც მოწმობს.

*"შორს ვარ იმ აზრისგან, რომ "არსენალის" კარშიც სამ გოლს გავიტან, მაგრამ ცდას არ დავაკლებ და ვნახოთ, რა გამომივა. "არსენალთან" საუკეთესო მოგონებები მაკავშირებს, მაგრამ ახლა ჩემი გული "სიტის" ეკუთვნის და მისი გამარჯვებებისთვის ძალ-ღონეს არ დავიშურებ"*, - ამბობს ადებაიორი.

**როი ჰოჯსონი** კი ფარ-ხმლის დაყრას არ აპირებს და "ლივერპულიდან" სავარაუდო დათხოვნა არ აშინებს: *"გუნდში ყველაფერი რიგზეა. "ბლექბერნის" წინააღმდეგ რიგით შეხვედრას ჩავატარებთ, მაგრამ ისიც კარგად გვესმის, რომ ამ მატჩში სასწორზე ძალიან ბევრი რამ იდება. მიმდინარე სეზონში უკვე ბევრი უსიამოვნება გამოვიარეთ და დროა, წარუმატებელი სერია გამარჯვებებით შევცვალოთ. მჯერა საკუთარი თავისაც და ჩემი ფეხბურთელებისაც"*.

მოკლედ, ხვალინდელი დღე ბევრ კითხვას გასცემს პასუხს...

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩელსი | 8 | 6 | 1 | 1 | 23-2 | 19 |
| 2. მანჩესტერ სიტი | 8 | 5 | 2 | 1 | 12-5 | 17 |
| 3. არსენალი | 8 | 4 | 2 | 2 | 18-10 | 14 |
| 4. მანჩესტერი | 8 | 3 | 5 | 0 | 18-11 | 14 |
| 5. ტოტენჰემი | 8 | 4 | 2 | 2 | 10-7 | 14 |
| 6. ვესტ ბრომვიჩი | 8 | 3 | 3 | 2 | 11-14 | 12 |
| 7. ბოლტონი | 8 | 2 | 5 | 1 | 12-12 | 11 |
| 8. ასტონ ვილა | 8 | 3 | 2 | 3 | 9-12 | 11 |
| 9. სტოკი | 8 | 3 | 1 | 4 | 9-11 | 10 |
| 10. ბლექპული | 8 | 3 | 1 | 4 | 13-18 | 10 |
| 11. ევერტონი | 8 | 2 | 3 | 3 | 8-7 | 9 |
| 12. ფულემი | 8 | 1 | 6 | 1 | 9-9 | 9 |
| 13. სანდერლენდი | 8 | 1 | 6 | 1 | 7-7 | 9 |
| 14. ბლექბერნი | 8 | 2 | 3 | 3 | 7-8 | 9 |
| 15. უიგანი | 8 | 2 | 3 | 3 | 6-15 | 9 |
| 16. ნიუკასლი | 8 | 2 | 2 | 4 | 12-12 | 8 |
| 17. ბირმინგემი | 8 | 1 | 4 | 3 | 8-12 | 7 |
| 18. ვულვზი | 8 | 1 | 3 | 4 | 8-13 | 6 |
| 19. ლივერპული | 8 | 1 | 3 | 4 | 7-13 | 6 |
| 20. ვესტ ჰემი | 8 | 1 | 3 | 4 | 6-15 | 6 |

**ლევან ჯანეზაშვილი**

● მანჩესტერ იუნაიტედი

# რუნი რჩება!

## ახალი კონტრაქტი 2015 წლამდე და უეინი ფერგიუსონსაც შეურიგდაო...

გუშინ **უეინ რუნის** კარიერის სავარაუდო გაგრძელებები განვიხილეთ. თითქოს მისი "მანჩესტერიდან" წასვლა გადაწყვეტილი იყო, მაგრამ ბოლო მომენტში რუნიმ გადაწყვეტილება შეცვალა და გამოაცხადა, რომ თავის ამჟამინდელ კლუბთან ახალ კონტრაქტს გააფორმებს.

რუნის წარმომადგენლებსა და "მანიუს" ხელმძღვანელობას შორის მოლაპარაკებებმა რამდენიმე საათს გასტანა, რის შედეგადაც გაირკვა, რომ უეინი "მანჩესტერთან" ახალ კონტრაქტს გააფორმებს, რომელიც 2015 წლის ივნისამდე იქნება გათვლილი.

შეგახსენებთ, ბოლო დღეებში რუნიმ გარკვევით თქვა, რომ კლუბის შეცვლას აპირებდა. ნათელი იყო, რომ "მანჩესტერიდან" წასვლა მას ფინანსური მოტივით უნდოდა, ახლა კი იმიტომ რჩება, რომ გაუმჯობესებული ხელშეკრულება შესთავაზეს.

როგორც ჩანს, მან **სერ ალექს ფერგიუსონთან** ურთიერთობაც მოაგვარა, რის გარეშეც "ოლდ ტრეფორდზე" დარჩენის შანსი არ ჰქონდა. ფერგიუსონი აცხადებს, რომ რუნი ბოლო დღეებში ატეხილ აჟიოტაჟს ძალიან ნანობს. *"მან ბოდიში მომიხადა მეც და თანაგუნდელებსაც და იმავეს გაიმეორებს გულშემატკივართა წინაშეც"*, - ამბობს ფერგიუსონი.

რუნის გადაწყვეტილებამ გაახარა **რიო ფერდინანდიც**: *"არასოდეს მეპარებოდა ეჭვი იმაში, რომ უეინი "იუნაიტედში" ძალიან ბევრ სეზონს გაატარებდა. მისი სხვა გუნდის მაისურით ხილვა ვერც კი წარმომედგინა"*.

**ლევან ჯანეზაშვილი**

● უეფას რეიტინგი

# ბუნდესლიგა მესამეა!

## ...და თუ ასე გაგრძელდა, სერია A-ს ჩემპიონთა ლიგაში მეოთხე ადგილს აუცილებლად წაართმევს

ბუნდესლიგას სერია A-სთვის ჩემპიონთა ლიგაში მეოთხე ადგილის წართმევა წინა სეზონშიც შეეძლო და თანაც, ბოლო მომენტამდე. საკმარისი იყო, „ბაიერნს" ჩემპიონთა ლიგის ფინალში მილანის „ინტერთან" მინიმუმ ძირითადი დრო მაინც დაემთავრებინა ფრედ, რომ ამ სეზონიდან, გერმანიაში ჩემპიონთა ლიგაში მოსახვედრად უკვე ოთხი გუნდი იბრძოლებდა, მაგრამ „ინტერმა" „ბაიერნი" ძირითად დროში დაამარცხა და ბუნდესლიგას სერია A-სთვის გასწრების საშუალება არ მისცა.

ახალი სეზონი თითქმის სამი თვეა, რაც დაიწყო და დღევანდელი მდგომარეობით, უეფას ბოლო ხუთი წლის რეიტინგში გერმანიის ჩემპიონატი იტალიის პირველობას უკვე უსწრებს და თანაც იმდენად (ხუთი ქულით), რომ თუ იტალიურმა კლუბებმა ძალიან არ მოინდომეს, გაისად სერია A-დან ჩემპიონთა ლიგაში უკვე სამი გუნდი გავა, გერმანიიდან კი ოთხი.

უეფას ბოლო ხუთი წლის რეიტინგს უკვე 30-წლიანი ისტორია აქვს და ის იმისათვის დგება, რომ განაწილდეს, რომელ ქვეყანას რამდენი კლუბი ეყოლება ევროტურნირებზე. ჩემპიონთა ლიგაში თუ ევროპის ლიგაში მოასპარეზე კლუბები თითოეული ქულისთვის, გამარჯვებისთვის თუ მომდევნო ეტაპზე გასვლისთვის სპეციალურ ქულებს აგროვებენ, რის შემდეგაც დგება რეიტინგი, რომლის აქტუალურ ვერსიას ქვემოთ გაეცნობით:

**გოტფრიდ ლენცი**

| ადგ.(შარშან) | ქვეყანა | 06/07 | 07/08 | 08/09 | 09/10 | 10/11 | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. (1.) | ინგლისი | 16.625 | 17.875 | 15.000 | 17.928 | 7.357 | 74.785 |
| 2. (2.) | ესპანეთი | 19.000 | 13.875 | 13.312 | 17.928 | 6.071 | 70.186 |
| 3. (4.) | გერმანია | 9.500 | 13.500 | 12.687 | 18.083 | 7.500 | 61.270 |
| 4. (3.) | იტალია | 11.928 | 10.250 | 11.375 | 15.428 | 5.714 | 54.695 |
| 5. (5.) | საფრანგეთი | 10.000 | 6.928 | 11.000 | 15.000 | 5.416 | 48.344 |
| 6. (9.) | პორტუგალია | 8.083 | 7.928 | 6.785 | 10.000 | 7.200 | 39.996 |
| 7. (6.) | რუსეთი | 6.625 | 11.250 | 9.750 | 6.166 | 5.583 | 39.374 |
| 8. (7.) | უკრაინა | 6.500 | 4.875 | 16.625 | 5.800 | 4.250 | 38.050 |
| 9. (10.) | ჰოლანდია | 8.214 | 5.000 | 6.333 | 9.416 | 5.666 | 34.629 |
| 10. (11.) | თურქეთი | 6.100 | 9.750 | 7.000 | 7.600 | 3.400 | 33.850 |

● ამბები

## დემიკელისი ალბათ იანვარში წავა

**მარტინ დემიკელისი** წლების მანძილზე მიუნხენის „ბაიერნის" ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელი იყო, ახლა კი საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ არგენტინელ მცველს ზამთარში რეკორდმაისტერის დატოვება მოუწევს. თვითონ ფეხბურთელი ძალიან მძიმე ვითარებაზე (მასსა და მთავარ მწვრთნელ **ლუის ვან გაალს** შორის) საუბრობს და არ მალავს, რომ „ბაიერნიდან" წასვლაზე სერიოზულად ფიქრობს.

**დანიელ ვან ბუიტენის** დაშავების შემდეგ, ძირითად შემადგენლობაში წესით მას უნდა ეთამაშა, მაგრამ ვან გაალმა, რომელიც დემიკელისზე აგვისტოდანაა გაბრაზებული, სასტარტოში ნომინალური საყრდენი ნახევარმცველი **ანატოლი ტიმოშჩუკი** დაცვაში დააყენა, დემიკელისი კი სათადარიგოთა სკამზე დატოვა. და როცა ჩვენმა გერმანელმა კოლეგებმა ვან გაალს ჰკითხეს, რატომ ათამაშეთ ტიმოშჩუკი დაცვაშიო, ჰოლანდიელმა სპეციალისტმა უპასუხა, სხვა ალტერნატივა არ მქონდაო. *„მარტინ დემიკელისი ცენტრალური მცველია, მაგრამ ამ ეტაპზე თავის საქმეს არც ისე კარგად აკეთებს,"* - დასძინა ვან გაალმა.

მიმომხილველთა ვარაუდით, ვან გაალი დემიკელისს აღარ ენდობა. ამიტომაცაა, რომ ლუისმა მარტინს საყრდენი ტიმოშჩუკი ამჯობინა. თვითონ მარტინი ამ ეტაპზე მხოლოდ იმას ამბობს, რომ ვან გაალთან სერიოზული პრობლემები აქვს და რომ წასვლაზე ფიქრობს.

## ცვანციგერი მესამედ!

გერმანიის საფეხბურთო კავშირის ბუნდესტაგმა დოქტორი **თეო ცვანციგერი** პრეზიდენტად მესამედ აირჩია, რაც იმას ნიშნავს, რომ 65 წლის ცვანციგერი გერმანული ფეხბურთის მმართველად 2013 წლამდე იმუშავებს. ცვანციგერი პრეზიდენტობის ერთადერთი კანდიდატი იყო და მის წინააღმდეგ ხმა არც ერთ ამომრჩეველს არ მიუცია. თეო ცვანციგერი გერმანიის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტი 2004 წლიდანაა. 2006 წლამდე DFB-ის საპატიო პრეზიდენტ **გერჰარდ მაიერ-ფორფელდერთან** ერთად ხელმძღვანელობდა, 2006 წლიდან ერთპიროვნული პრეზიდენტია. კენჭისყრის შედეგი: 255 მომხრე, არც ერთი წინააღმდეგი.

*„სანამ კანდიდატურის წამოყენებას გადავწყვეტდი, ბევრი ვიფიქრე. ბოლო დროს ბევრი პრობლემა შემექმნა და სიმართლე გითხრათ, პენსიაში გასვლაზე სერიოზულად ვფიქრობდი, მაგრამ მუშაობის გაგრძელების სურვილი უფრო დიდი იყო. ოჯახის წევრებთან კონსულტაციის შემდეგ კი საბოლოოდ გადავწყვიტე, რომ კანდიდატურა წამომეყენებინა. შემწევს იმის უნარი, რომ კიდევ სამი წელი ვიმუშავო,"* - განაცხადა ცვანციგერმა კენჭისყრის დასრულების შემდეგ.

**გოტფრიდ ლენცი**

**გოტფრიდ ლენცი**

● დანიშვნა




იტალიის ახალგაზრდულ ნაკრებს ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავს: გუშინ გადაწყდა, რომ თანამდებობიდან გათავისუფლებულ **პიერლუიჯი კაზირაგის** ტურინის „იუვენტუსის" ყოფილი დამრიგებელი, ლეგენდარული იტალიელი მცველი **ჩირო ფერარა** შეცვლის. მართალია, ფერარამ „იუვენტუსში" ვერაფერს მიაღწია და ტურინული გრანდიდან გაშვების შემდეგ მას სამწვრთნელო კარიერაში დიდს აღარაფერს უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ ფედერკალჩოში გაიხსენეს, რომ ჩირო 2006 წლის მუნდიალზე **მარჩელო ლიპის** ასისტენტი იყო და იტალიის ნაკრების მსოფლიოს ჩემპიონობაში თავისი წვლილი შეიტანა. მოკლედ, ფერარას საფეხბურთო იტალიამ კიდევ ერთი შანსი მისცა.

ჩირო ფერარამ კონტრაქტი 2013 წლამდე გააფორმა. აღსანიშნავია, რომ მისი ასისტენტი ცნობილი იტალიელი მეკარე **ანჯელო პერუცი** იქნება, რომელიც ასევე იყო 2006 წლის მუნდიალზე, ოღონდ მეკარეების თავკაცის რანგში. იტალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ჯანკარლო აბეტემ** ფერარა ტექნიკური კოორდინატორისა და ბავშვთა ფეხბურთის კურატორის, ასევე ცნობილი ექსფეხბურთელის, **დემეტრიო ალბერტინის** რჩევით დანიშნა. ფერარას ახალ თანამდებობაზე ორშაბათს წარადგენენ.

**გოტფრიდ ლენცი**

● გერმანია. ბუნდესლიგა. IX ტურის წინ

# ლიდერობას შენარჩუნება უნდა!

## ხვალ ბორუსიას ვესტფალენშტადიონზე ჰოფენჰაიმი გამოცდის

**გუშინ**

**ჰამბურგი-ბაიერნი 0:0**

**ჰამბურგი (4-1-2-1-2):** ფ. როსტი (42. დრობნი) - ბენჯამინი, ვესტერმანი, მატიისენი, იანსენი - რინკონი - პიტროიპა, ზე რობერტო - ტროხოვსკი - გერერო (62. პეტრიჩი), ვან ნისტელროი (71. ჩუპო-მოტინგი).

**ბაიერნი (4-2-3-1):** ბუტი - ლამი, ტიმოშჩუკი, ბადშტუბერი, პრანიჩი - ოტლი, შვაინშტაიგერი - ჰამით ალთინთოფი, კროოსი, თ. მიულერი - გომესი (86. ოლიჩი).

**გაფრთხილება:** 1-2

**მაყურებელი:** 57 000

**დღეს**

| | |
|---|---|
| აინტრახტი-შალკე | 17:30 |
| ბორუსია (მ)-ვერდერი | 17:30 |
| ფრაიბურგი-კაიზერსლაუტ. | 17:30 |
| ჰანოვერი-კიოლნი | 17:30 |
| ნიურნბერგი-ვოლფსბურგი | 17:30 |

**ხვალ**

| | |
|---|---|
| ბორუსია (დ)-ჰოფენჰაიმი | 17:30 |
| ლევერკუზენი-მაინცი | 19:30 |
| შტუტგარტი-ზტ. პაული | 19:30 |

თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ „ლევერკუზენისა“ და „მაინცის“ ან დორტმუნდის „ბორუსიასა“ და „ჰოფენჰაიმის“ დაპირისპირებას არასდროს გამოუწვევია იმხელა ინტერესი, როგორსაც დღეს და ხვალ გასამართი, ბუნდესლიგის მე-9 ტურში იწვევს. ამას დაუმატეთ გუშინდელი მატჩი „ნამდვილ“ ფავორიტებს შორის (ჰამბურგი-ბაიერნი) და ასევე შეხვედრები შავ დღეში მყოფი ამბიციური კლუბების მონაწილეობით („შალკე“ ფრანკფურტში ჩადის, „შტუტგარტი“ „ზტ. პაულის“ მასპინძლობს) და მიხვდებით, რაოდენ საინტერესოა ბუნდესლიგის მორიგი ტური.

### შალკე ფრანკფურტში

„შალკე“ ჩემპიონთა ლიგაში კიდევ ერთხელ დანაყრდა (3:1 ჰაპოელთან) და გელზენკირხენული კლუბის გულშემატკივრებს კიდევ ერთხელ მიეცათ იმის იმედი, რომ მათი საყვარელი გუნდი, ბოლოს და ბოლოს, ბუნდესლიგაშიც ისე ათამაშდება, როგორც ეკადრება. **ფელიქს მაგათის** გუნდის მეტოქე ამჯერად მისი ყოფილი კლუბი „აინტრახტია“ - „შალკე“ ფრანკფურტში ჩადის. „აინტრახტს“ ზედიზედ სამი თამაში აქვს მოგებული, რის გამოც გუნდში სრული ჰარმონიაა. მთავარმა მწვრთნელმა **მიხაელ სკიბემ** კი ამაყად თქვა, ამ სეზონში ჩვენი მიზანი მინიმუმ 50 ქულის დაგროვებააო. გაგახსენებთ, წინა სეზონში „აინტრახტმა“ 46 ქულას მოუყარა თავი და მეათე ადგილი დაიკავა. შესაბამისად, მიზნად 50 ქულის მოპოვების დასახვა რევოლუციური განცხადება ნამდვილად არ არის.

### ვერდერი ვიზეს გარეშე

„შალკესთან“ ერთად ჩემპიონთა ლიგაში „ვერდერმაც“ ითამაშა, ოღონდ „მუსიკოსებს“ „ტვენტესთან“ ფრე (1:1) მხოლოდ ნაწილობრივ წარმატებაში ჩაეთვალათ. თუმცა საერთო ჯამში, ამ მატჩმა ბრემენულ კლუბს კარგი არაფერი მოუტანა, პირიქით, მეკარე **ტიმ ვიზემ** ტრავმა მიიღო და დღეს მიონხენგლადბახის „ბორუსიასთან“ მისი ასპარეზობა ფაქტობრივად გამორიცხულია. რა გასაკვირია, რომ „მუსიკოსების“ მთავარი მწვრთნელი **თომას შააფი** ყველაფრით უკმაყოფილოა და ამბობს, სწორად არაფერს ვაკეთებთ, სულ შეცდომებს ვუშვებთო. ბუნდესლიგაში უკვე რვა ტურია გასული, „ვერდერი“ კი მე-11 ადგილზეა, რაც ამ გუნდისთვის ყოვლად მიუღებელია. შესაბამისად, შააფი შეგირდებს მიონხენგლადბახიდან სამი ქულის წაღებას სთხოვს. „გლადბახი“ კი ამ სეზონში კონტრასტების, ამოუცნობი, არაპროგნოზირებადი გუნდია. ერთადერთი, რაც ნათელი და ასპროცენტიანია, დღეს მიონხენგლადბახელებს საკადრო პრობლემები აქვთ, რადგან წინა ტურში ორი წამყვანი ფეხბურთელი გაუძევეს. მწვრთნელი **მიხაელ ფრონტცეკი არანგოს, შახტენსა** და დაცვის ბურჯ **ბრუვერსს** ვერ გამოიყენებს.

### თათბირი კიოლნში

შაბათს მოთამაშე სხვა გუნდებიდან ყველაზე ცუდად საქმე „კაიზერსლაუტერნს“ და „კიოლნს“ აქვთ, რომლებიც წინა ტურში „აინტრახტთან“ და შესაბამისად, დორტმუნდის „ბორუსიასთან“ დამარცხდნენ. კიოლნში კი უკვე სულაც განგაშის ზარებს შემოჰკრეს - „თხების“ მთავარი მწვრთნელი **ზვონიმირ სოლდო** ჩემოდნებზე ზის. ამბობენ, მას თურქეთიდან გამოგდებული **თომას დოლი** შეცვლისო. ხუთშაბათს „კიოლნში“ კრიზისული თათბირი მოეწყო, რომელსაც თვით კლუბის პრეზიდენტი **ვოლფგანგ ოვერატიც** დაესწრო. ფეხბურთელებს პრეზიდენტთან საუბარმა მოტივაცია შემატა. **იუსუფ მოჰამადი** ამბობს, ოვერატი თვითონ ფეხბურთელი იყო და ზუსტად იცის, რაც გვჭირდება, კარგი იქნება, ყოველი თამაშის წინ გასახდელში რომ შემოდიოდესო. „თხებს“ ჰანოვერში უწევთ გასვლითი მატჩი - გუნდთან, რომელმაც სეზონის შესანიშნავად დაწყების შემდეგ, ზედიზედ ორი თამაში წააგო (0:1 „ზტ. პაულისთან“ და 0:3 „ბაიერნთან“).

### ეშმაკებიც წნეხის ქვეშ არიან

„კაიზერსლაუტერნმა“ სეზონი ორი გამარჯვებით დაიწყო, რაც საკმარისი გახლდათ საიმისოდ, რომ ქალაქი ეიფორიას მოეცვა, მაგრამ მას მერე ექვსი ტური გავიდა და „წითელ ეშმაკებს“ ერთი თამაშიც კი აღარ მოუგიათ (1 ფრე, 5 მარცხი). ბოლო დროს კი „ლაუტერნმა“ გოლების გაშვებას ძალიან მოუხშირა: 0:5 „დორტმუნდში“, 0:3 „აინტრახტთან“. მოკლედ, პფალცელები დარწმუნდნენ, რომ ეიფორიიდან ჯოჯოხეთამდე ერთი ნაბიჯია, თუმცა „კიოლნისგან“ განსხვავებით, „კაიზერსლაუტერნში“ ქაოსს ჯერჯერობით არ დაუსადგურებია. ბოსმა **შტეფან კუნტცმა** მთავარი მწვრთნელი **მარკო კურცი** დაიცვა, ეს უკანასკნელი კი ამბობს, შექმნილი ვითარება სასიამოვნო ნამდვილად არ არის, მაგრამ ჩვენ თავიდანვე ვიცოდით, რომ გადარჩენისთვის მოგვიწევდა ბრძოლა, პირადად მე ჩემპიონობაზე ან ჩემპიონთა ლიგაზე იმ ორი გამარჯვების შემდეგაც არ მიფიქრია, პირველ და მეორე ტურში რომ მოვიპოვეთო.

### დიეგოს აპატიეს

„შალკესა“ და „შტუტგარტის“ დამარცხების შემდეგ (2:1), „ნიურნბერგის“ გულშემატკივრებს იმედი მიეცათ, რომ მათი საყვარელი გუნდი წელს მაინც იქნებოდა მშვიდად და სეზონის ბოლომდე გასავარდნი ზონის სიახლოვეს არ იტრიალებდა (გასულ სეზონში ფრანკები მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითებას გადათამაშების მოგებით ძლივს გადაურჩნენ), მაგრამ როგორც ხშირად ხდება ხოლმე, მერე ფეხბურთელებმა ყველაფერი ჩააფლავეს (2:3 „ზანკტ პაულისთან“). დღეს კი „ნიურნბერგს“ ასევე ამყავებულ „ვოლფსბურგთან“ ექნება საქმე. „ვოლფსბურგის“ ლიდერი **დიეგო** წინა ტურში (ლევერკუზენთან 2:3) ცუდად მოიქცა (არასპორტული საქციელი **ვიდალთან** ორთაბრძოლისას), მაგრამ გერმანიის საფეხბურთო ლიგამ ბრაზილიელი არ დასაჯა. არადა, დიეგო **ლუკას პოდოლსკის** ბიძაშვილი ნამდვილად ვერ იქნება...

### საით, მაინც?

ევროპის ლიგაზე მოასპარეზე ბუნდესლიგელები კი ხვალ ითამაშებენ. უდიდეს ინტერესს იწვევს გალიდერებული „დორტმუნდისა“ და „ჰოფენჰაიმის“ მატჩი - განსაკუთრებით იმიტომ, რომ „ჰოფემ“ წინა ტურში, „გლადბახთან“ ისევ ისეთი გრანდიოზული ფეხბურთი ითამაშა, როგორსაც 2008 წელს, ელიტაში ალზევების პირველ სეზონში თამაშობდა. „ჰოფეს“ თავკაც **რალფ რანგნიკს** კარგ ფორმაში ჰყავს ფლანგის ფორვარდები **მლაპა და ბა,** რომლებიც ხვალ „ბორუსიასთვის“ პრობლემების შექმნას შეეცდებიან. დორტმუნდმა ევროპის ლიგაზე პსჟ-ს ვერ მოუგო (1:1), მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ ბუნდესლიგისთვის ძალები დაზოგა, რადგან BVB-მ საუკეთესო შემადგენლობით ითამაშა და ფრანგულ კლუბთან მატჩში დიდი ძალები დახარჯა.

„ლევერკუზენი“ „მაინცს“ მასპინძლობს და ეს „მაინცისთვის“ პირველი მატჩია სენსაციური სტარტისა და პირველი წაგების შემდეგ. მიუხედავად „ჰამბურგთან“ განცდილი მარცხისა, **თომას ტუხელის** შეგირდები დეპრესიაში არ ჩავარდნილან, მაგრამ საქმეს მაინც სხვანაირად, ოდნავ ფრთხილად მიუდგებიან. ტუხელი შეგირდებს პირველ რიგში ტაქტიკურ დისციპლინას სთხოვს.

მძიმე მდგომარეობაში მყოფ „შტუტგარტს“ „ზანკტ პაულისთან“ მოუწევს საქმის დაჭერა. „პაული“ კი ის გუნდია, რომელმაც ამ სეზონში უკვე სამი გასვლითი თამაშის მოგება შეძლო.

**გოტფრიდ ლენცი**




ასე ზეიმობდნენ დორტმუნდელები ერთი კვირის წინ გალიდერებას. მარცხნიდან: მარიო გიოტცე, მარსელ შმელცერი, კევინ გროსკროიტცი, ნური შაჰინი, სვენ ბენდერი და ლუკას ბარიოსი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბორუსია (დ) | 8 | 7 | 0 | 1 | 20-6 | 21 |
| 2. მაინცი | 8 | 7 | 0 | 1 | 18-8 | 21 |
| 3. ლევერკუზენი | 8 | 4 | 3 | 1 | 18-14 | 15 |
| 4. ჰამბურგი | 9 | 4 | 3 | 2 | 13-11 | 15 |
| 5. ჰოფენჰაიმი | 8 | 4 | 2 | 2 | 16-12 | 14 |
| 6. ზტ. პაული | 8 | 4 | 1 | 3 | 11-10 | 13 |
| 7. ჰანოვერი | 8 | 4 | 1 | 3 | 11-11 | 13 |
| 8. აინტრახტი | 8 | 4 | 0 | 4 | 14-9 | 12 |
| 9. ბაიერნი | 9 | 3 | 3 | 3 | 8-8 | 12 |
| 10. ფრაიბურგი | 8 | 4 | 0 | 4 | 12-13 | 12 |
| 11. ვერდერი | 8 | 3 | 2 | 3 | 13-17 | 11 |
| 12. ვოლფსბურგი | 8 | 3 | 1 | 4 | 14-14 | 10 |
| 13. ნიურნბერგი | 8 | 2 | 3 | 3 | 9-11 | 9 |
| 14. კაიზერსლაუტ. | 8 | 2 | 1 | 5 | 9-16 | 7 |
| 15. ბორუსია (მ) | 8 | 1 | 3 | 4 | 13-23 | 6 |
| 16. შალკე | 8 | 1 | 2 | 5 | 10-16 | 5 |
| 17. კიოლნი | 8 | 1 | 2 | 5 | 8-15 | 5 |
| 18. შტუტგარტი | 8 | 1 | 1 | 6 | 14-17 | 4 |




33 წლის რაული თავს ისე გრძნობს, როგორც 28 წლის ასაკში

● ინტერვიუ. რაული

# მაგათმა ხუთი წელი დამაკლო!

## ინძაგი უკვე ჩამოწერილია, ამ რეკორდის დამხობა მხოლოდ რონალდოს და მესის შეუძლიათ

ჩემპიონთა ლიგაში „ჰაპოელთან“ შესრულებული დუბლით რაული ევროტურნირების ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირი გახდა, გაასწრო რა ფილიპო ინძაგის ორი გოლით - 33 წლის ესპანელს ევროტურნირებზე 70 გოლი აქვს გატანილი, აქედან, 68 ჩემპიონთა ლიგაში. ტრიუმფალური მატჩის მეორე დღეს რაულს „ბილდის“ კორესპონდენტი გაესაუბრა.

**- ამ რეკორდის მეშვეობით ფეხბურთის ისტორიაში უკვდავი გახდით?**

- როგორც იქნა, გოლების გატანა დავიწყე და ცხადია, ბედნიერი ვარ იმით, რომ ინძაგის გავასწარი, მაგრამ ჩემს რეკორდზე უფრო მნიშვნელოვანი ის არის, რომ „შალკემ“ მოიგო და მერვედფინალში გასვლის შანსი გაიუმჯობესა. თანაც, მართლა ძალიან კარგად ვითამაშეთ. რაც შეეხება ჩემს მიღწევას, ხომ იცით, ნებისმიერი რეკორდის დამხობა შესაძლებელია.

**- როგორ ფიქრობთ, ვის შეუძლია თქვენი რეკორდის გაუმჯობესება?**

- პირველ რიგში ისევ ინძაგის, მაგრამ პიპო უკვე 37 წლისაა და ისე ვერ გააუმჯობესებს, რომ მიღწევის გამეორება შეუძლებელი გახდეს. ახალგაზრდა ფეხბურთელებიდან კი საუკეთესო შანსები კრიშტიანო რონალდოს და ლიონელ მესის აქვთ, რომლებიც კიდევ ძალიან დიდხანს ითამაშებენ უმაღლეს დონეზე. ვფიქრობ, რომ ერთხელაც რონალდო ან მესი ჩემს რეკორდს დაამხობენ.

**- „შალკე“ ჩემპიონთა ლიგაში საკმაოდ კარგად თამაშობს და მერვედფინალისკენ იყურება, გერმანიის ჩემპიონატში კი საქმეები ძალიან ცუდად მიგდით - გუნდი მე-16 ადგილზეა. ხომ არ შიშობთ, რომ „შალკე“ მეორე ბუნდესლიგაში გავარდება?**

- არა, ამის ნამდვილად არ მეშინია, რადგან ზუსტად ვიცი, ადრე თუ გვიან, ყველაფერი გამოსწორდება. ვიცოდი, რომ თავიდან ძალიან გაგვიჭირდებოდა, რადგან გუნდში ბევრი ახალი ფეხბურთელია. ნელ-ნელა შევთამაშდით და პროგრესს გავაგრძელებთ. სეზონი ძალიან ცუდად დავიწყეთ და მას მერე ბევრი რამ გაუმჯობესდა.

**- „შალკეს“ ფანებმა გრანდიოზული ტაშით დაგაჯილდოვეს იმის გამოც, რომ ერთ-ერთ მომენტში „ჰაპოელის“ ფეხბურთელს ფეხებში ჩაუვარდით...**

- მე მხოლოდ გოლების გატანა როდი მევალება. გუნდური მოთამაშე ვარ და არც ართმევაზე თამაში მეზარება. მიხარია, რომ ქომაგები ჩემს მონდომებას ძალიან აფასებენ.

**- 33 წლის ასაკის კვალობაზე ძალიან კარგ ფიზიკურ ფორმაში ჩანხართ...**

- ჰო, თავს გაცილებით ახალგაზრდად ვგრძნობ, ჩემი თავი მინიმუმ ხუთი წლით ახალგაზრდა მგონია. ზაფხულში ფელიქს მაგათი ძალიან მაგრად რომ მავარჯიშებდა, მაშინ ვფიქრობდი, რომ მოვკვდებოდი, მაგრამ ახლა ვატყობ, დატვირთვები ძალიან მნიშვნელოვანი იყო. ის ფაქტი, რომ ფიზიკურად თავს ძალიან კარგად ვგრძნობ, მაგათის დამსახურებაა. მან ხუთი წლით გამაახალგაზრდავა.

**- მაგათმა არაერთხელ აღნიშნა, უბედნიერესი მწვრთნელი ვიქნები, თუკი რაული ჩემს ხელში რენესანსს განიცდის და გენიალურ კარიერას ტიტულებს კიდევ შემატებსო. როგორი ურთიერთობა გაქვთ ფელიქსთან?**

- ბედნიერი ვარ, რომ ასეთ მწვრთნელთან ვმუშაობ. ჩემ გამო ნურაფერზე ინერვიულებს, მართალია, დასაწყისი არ გამომივიდა ისეთი, როგორსაც პირადად ვნატრობდი და როგორსაც ხალხი ელოდა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ყველაფერი კარგად იქნება. ხომ იცით, რაც ცუდად იწყება, თითქმის ყოველთვის კარგად მთავრდება ხოლმე.

**- მაგრამ სავარაუდოა, რომ გერმანიის ჩემპიონები წელს ველარ გახდებით...**

- საკმარისია, ზედიზედ რამდენიმე თამაში მოვიგოთ, რაც სავსებით რეალურია, რომ ყველაფერი თავიდან დაიწყება. სეზონი გრძელია, ჯერ მხოლოდ რვა ტურია გასული და დამერწმუნეთ, ყველაფერი შეიძლება მოხდეს. მთავარია, ცხრილის ქვედა ნაწილს თავი დავაღწიოთ და რეალურ მიზნებზე საუბარი მხოლოდ ამის მერე იქნება შესაძლებელი.

**გოტფრიდ ლენცი**

# ქართული სპორტი

ძიუდო. მსოფლიოს გუნდური პირველობა

## ნაკრებს ზვიად ხანჯალიაშვილი დაემატა



ოქტომბრის ბოლო ორი დღე ჩვენი ძიუდოისტებისთვის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ტურნირით იქნება დატვირთული - ანთალიაში მსოფლიოს გუნდური პირველობა ტარდება, რომელშიც ჩვენი ფედერაციის ხელმძღვანელთა დიდი მცდელობით დაგვიშვეს. „ლელოსთან" გუშინდელ ინტერვიუში საქართველოს ნაკრების ახალმა თავკაცმა **სოსო ლიპარტელიანმა** დაასახელა იქ წასაყვანი შემადგენლობა: **ამირან პაპინაშვილი** (66), **ნუგზარ ტატალაშვილი** (73), **ლევან ნიკლაური, ხვიჩა ხუციშვილი** (81), **ვალერი ლიპარტელიანი** (90), **ლაშა გუჯეჯიანი** (+90), გუშინ კი მწვრთნელი ფედერაციის პრესსამსახურის მეშვეობით დაგვიკავშირდა და გვაცნობა, რომ ამ გუნდს კიდევ ერთი მძიმეწონოსანი - **ზვიად ხანჯალიაშვილი** დაამატა.

შეგახსენებთ, რომ ეს გუნდური შეჯიბრება „გუნდი გუნდზე" პრინციპით ტარდება, ასპარეზობა კი შვიდის ნაცვლად ხუთ წონით კატეგორიაში იმართება. ნებადართულია ორი სათადარიგოს წაყვანა, მათი შერჩევა კი ნებაყოფლობითია, თუმცა თავის დროზე ორგანიზატორებმა ეს ისე ჩაიფიქრეს, რომ მათგან ერთი ზედა, მეორე კი მჩატე წონების წარმომადგენელი ყოფილიყო. ისინი მწვრთნელთა კომპეტენციაში არ ერევიან და ეს საკითხი მთლიანად მათ მიანდეს გადასაწყვეტად, მაგრამ შეეცადნენ, გუნდების ხელმძღვანელებისთვის ლავირების საშუალება მიეცათ - კონკრეტულ შეხვედრაში შეუძლიათ მონაწილის შეცვლა მეტოქის სიძლიერის, საჭიდაო სტილისა და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით. ჩვეულებისამებრ, ამ წესს მწვრთნელთა უმეტესობა ამგვარადაც იყენებს, მაგრამ სოსო ლიპარტელიანი სხვაგვარად მოიქცა - ერთი სათადარიგო ხომ ზედა წონებში ჰყავდა, მეორეც მძიმეწონოსანი შეარჩია. ცხადია, ეს კარგი ცხოვრებით არაა გამოწვეული - ტურნირში დაშვებულ ორი მჩატე წონაში ვინც ჰყავდა ხეირიანი, ისედაც მიჰყავს, სხვებმა კი ამ ეტაპზე სათადარიგო მონაწილედაც ვერ მოაწონეს თავი.

ჯერჯერობით ისევ უცნობია ჩვენი მეტოქეების ვინაობა ანთალიაში. არც თურქეთის, არც ძიუდოს ევროპული ან მსოფლიო ფედერაციების საიტებზე ამ ტურნირზე ახალი არაფერი წერია, ძველი ინფორმაცია კი ისეთია, სადაც საქართველო სარეზერვოებშიც არაა მოხსენიებული. თუმცა ეს მათი პრობლემაა, ჩვენები კი ტურნირში ნამდვილად გამოვლენ. ისინი ლიპარტელიანისა და თურქეთიდან მწვრთნელად დაბრუნებული **ირაკლი უზნაძის** თავკაცობით 28 ოქტომბრის ღამეს გაემგზავრებიან ანთალიაში.

**ირაკლი თავაძე**

თავისუფალი ჭიდაობა

## 5 000-დოლარიანი ჯილდოსთვის

დღეს ერევანში სერჟ სარგსიანის სახელობის ტურნირი დაიწყება, რომელშიც საქართველოს ნაკრები გაფართოებული შემადგენლობით, დაახლოებით 23 სპორტსმენით გამოვა. თაობათა ცვლის მიჯნაზე მდგარ თუ ორწლიანი წარუმატებლობით გატანჯულ ნაკრებში შესაცვლელ-გადასახალისებელი ზომაზე მეტია. ამიტომ არცაა გასაკვირი, მწვრთნელები ამხელა გუნდით რომ წავიდნენ. თანაც, ჩვენი სათადარიგო სპორტსმენები შეჯიბრებებით განებივრებულნი არ არიან და ეს მათთვის სტარტია. მით უფრო, ერევნული ტურნირი ძლიერიც უნდა გამოვიდეს - გამარჯვებული ჯილდოდ 5 ათას დოლარს მიიღებს. ცხადია, ეს დიდი ფულია, თუმცა ამ რეგიონშიც და, საერთოდ, მსოფლიოშიც ლიდერობას კარგა ხანს შეინარჩუნებს ორი კვირის წინ ჩეჩნეთის დედაქალაქ გროზნოში გამართული პრეზიდენტ **რამზან კადიროვის** სახელობის შეჯიბრება **ადლენ ვარაევის** თასზე - გამარჯვებულები 20 ათასი დოლარით დააჯილდოვეს! ბუნებრივია, იმ ტურნირმა ინტერესიც დიდი გამოიწვია და, ალბათ, უმეტესობამ ახლავე დაიწყო მზადება საგაისოდ გამოსასვლელად. ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა **რაფაელ მარტინეტიმაც** განაცხადა, ტურნირი იმდენად კარგად ჩაატარეთ, გაისად მშვიდად ჩამოვალ აქო, მაგრამ რამდენიმე დღის წინ ჩეჩნეთის პარლამენტში მომხდარი ტერაქტის შემდეგ ვეჭვობთ, მართლა ასე წყნარად ჩავიდეს, ან თვით კადიროვს შერჩეს შეჯიბრების გამართვის თავი.

რაც შეეხება სარგსიანის სახელობის შეჯიბრებას, ჩვენი ახალგაზრდული თუ უფროსთა ნაკრებების ლიდერებიდან იქ **ბესარიონ გოჩაშვილი, ვლადიმერ ხინჩეგაშვილი** (ორივე - 55), **მალხაზ ზარქუა, მალხაზ ქურდიანი** (60), **შალვა მუზიაშვილი, კობა კაკალაძე** (66), **დავით ხუციშვილი, მალხაზ მუზიაშვილი, გელა სალირაშვილი** (74), **ბექა ჭელიძე, არჩილ ქიტიაშვილი** (84), **ელიზბარ ოდიკაძე** (96), **დავით მოძმანაშვილი, გიორგი საკანდელიძე, გიორგი ნიკურაძე** (120) იჭიდავებენ. ტრავმებისა თუ სხვა მიზეზთა გამო ამჯერად არ იქნებიან **ოთარ თუშიშვილი** (66), **გიორგი გოგშელიძე** (96) და **ლევან ბერიანიძე** (120).

**ირაკლი თავაძე**

ჩოგბურთი

## შაფათავამ ტიტული დათმო

ლეილა მესხის ჩოგბურთის აკადემიის კორტებზე დასასრულს უახლოვდება საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი. ქალებში უკვე გამოვლინდნენ ფინალისტები. გუშინ ნახევარფინალში **ეკა გორგოძემ** ორ სეტში სძლია ქვეყნის 2009 წლის ჩემპიონ **სოფიო შაფათავას** - 6:3, 6:1. დღეს იგი გადამწყვეტ პაექრობაში **თათია მიქაძეს** დაუპირისპირდება, რომელმაც **დიანა დავითაია** დაამარცხა - 6:1, 6:3.

ვაჟებმა მეოთხედფინალური ორთაბრძოლები გამართეს. საქართველოს ჩემპიონმა **გიორგი ცივაძემ სერგო სიხარულიძეს** მოუგო - 6:2, 6:1. დანარჩენი შეხვედრები: **ნოდარ ითონიშვილი-მიხეილ ხმიადაშვილი** 6:0, 6:3, **გიორგი ჯავახიშვილი-დემეტრე თაქთაქიშვილი** 6:3, 6:4, **ზურაბ ზედანია-ლუკა ფილფანი** 7:5, 6:4.

**ვაჟა დანელია**

## მარცხი კუკთან

ამერიკის ქალაქ კალაბასასში გრძელდება „ჩელენჯერის" სერიის ტურნირი, რომლის საპრიზო ფონდი 50 ათასი დოლარია. ზედიზედ 4 მატჩის მოგების შემდეგ **ნიკოლოზ ბასილაშვილი** (737) მერვედფინალში დამარცხდა. საქართველოს პირველმა ჩოგანმა ამერიკელ **ლესტერ კუკთან** (198) წააგო - 2:6, 5:7. ბასილაშვილმა 10 სარეიტინგო ქულა და 860 დოლარი მიიღო. ეს ქულები ჩვენებურს რეიტინგში 100-150 ადგილით წასწევს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

მსოფლიოს ახალგაზრდული პირველობა

## პირველი მედალი მსოფლიოდან

პირველი დღის მსგავსად, მაროკოულ აგადირში, ახალგაზრდა ძიუდოისტთა მსოფლიოს ჩემპიონატის მეორე დღესაც მედლისთვის ისევ ერთმა ჩვენებურმა იჭიდავა. ამჯერადაც - ბრინჯაოსთვის, ოღონდ პირველი ცდისგან განსხვავებით, მეორე ცდა წარმატებული გამოდგა - **ზებედა რეხვიაშვილმა** (73) მედალი მოიპოვა. ეს ჯილდო ახალგაზრდულ ნაკრებში პირველია რეხვიაშვილისთვისაც და გუნდის ახალდანიშნულ თავკაც **გიორგი გუგავასთვისაც**.

ჭაბუკებში ევროპის 2007 წლის და იმავე წელს გამართული ევროპის ბავშვთა ოლიმპიური ფესტივალის ჩემპიონი, რუსთაველი რეხვიაშვილი ახალი თაობის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეულად ნიჭიერი წარმომადგენელია. ოქროს გარეშე დარჩენის მიუხედავად აგადირშიც გაამართლა - ექვსი შეხვედრიდან ოთხი იპონით მოიგო, ერთადერთი ორთაბრძოლა კი მართლაც ძლიერ ფალავანთან, იაპონელ მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონ **იუკი ნიშიამასთან** დათმო - ვაზარ-იუკოთი. მანამდე კვიპროსელ **კლეოვოულოს ლუკაიდესს**, ბერძენ **რომან მოუსტოპოულოსს** და უნგრელ **ანდრეს ვერეს**, შეიძლება ითქვას, გადაურბინა, იმდენად უპრობლემოდ დააიპონა. არადა, ჩვენებურმა მთელი ტურნირი გადახვეული ბეჭით ჩაატარა. ეტყობა, ეს ის ადრინდელი ტრავმაა, ჯერ კიდევ ზაფხულის დასაწყისში რომ მიიღო. მაშინ ის დამალა და ჩეხეთის ტურნირზე ისე იჭიდავა, რადგან ის ევროპის პირველობისთვის შესარჩევი შეჯიბრება იყო. მეოთხეიპონი რეხვიაშვილმა დამამშვიდებლის პირველ შეხვედრაში მოიპოვა ყაზახ **სერიკბოლ ნურალინთან** დრამატულ შეხვედრაში - თავიდან ჩვენებური ვაზარით დაწინაურდა, მაგრამ ფიზიკურად აშკარად უჭირდა, დაიღალა და ხშირად წვებოდა ტატამზე. ყაზახი ფიზიკურად ბევრად უკეთ იყო მომზადებული და ბოლო წუთზე ანგარიში გაქვითა, მაგრამ დამთავრებამდე 6 წამით ადრე ჩვენებურმა მეორე ვაზარი მიითვალა. ბრინჯაოსთვის შეხვედრაში რეხვიაშვილმა გაფრთხილებებით მოუგო ტუნისელ **ჰამზა ბარჰოუმის**. უნდა ითქვას, რომ ის ღირსეული მეტოქე გამოდგა და ერთხელ ჩვენებური ბეწვზეც გადაურჩა, შეხვედრის დამთავრების შემდეგ კი ზებედამ ზეაწეული ცერა თითით ანიშნა, მაგარი ხარო.

პირველი დღის მსგავსად, გუშინ მოჭიდავე ქართული კვარტეტის დანარჩენი სამი მონაწილე ადრეულად დაემშვიდობა ტურნირს. გუგავას გუნდმა პირველი დანაკლისი სტარტზევე განიცადა - ამ ასაკში მსოფლიოს შარშანდელი პირველობის ბრინჯაოს პრიზიორი **ლაშა ზურაბიანი** მომავალ ჩემპიონთან, გერმანელ **ალექსანდერ ვიცზერზაკთან** მინიმალური სხვაობით დამარცხდა. სხვათა შორის, ამ წონის ფინალში გერმანელები გავიდნენ - ვიცზერზაკმა **ჰანეს კონრადი** დაამარცხა, ვინაც ნახევარფინალში ზემოხსენებული იაპონელი ნიშიამა დაჯაბნა.

პირველ წრეშივე წააგო **ლაშა შავდათუაშვილმაც** (66), ოღონდ ის ზურაბიანზე გვიან გავიდა საჭიდაოდ. ამან სულ მთლად იპონით დათმო ორთაბრძოლა ტუნისელ **ჰოუცემ ხალფაუისთან**. ამ წონაში შედარებით უკეთ **ლაშა ლომიძე** გამოვიდა, რომელმაც ორი შეხვედრა მოიგო, მაგრამ შედარებით სუსტი საჭიდაო სკოლის წარმომადგენლებთან. მოლოდინისამებრ, ჩვენებურმა ლიბანელი **ვისან ჰაიეკი** და კვიპროსელი **სოტირის ჩარალამბოუსი** მალევე დააიპონა, მონგოლ **კერლენ განბოლდს** იუკო აართვა, მაგრამ ვაზარი დაკარგა და წააგო.

დღეს და ხვალ აგადირის ტატამზე კიდევ ცხრა ქართველი იჭიდავებს. აქედან ერთი - გოგონათა ტურნირში, **შორენა შარაძე** (63) პირველ წრეში ავსტრიელ **სტევის კელის** ხვდება. ვაჟებში დღეს იჭიადვებს ჩვენი გუნდის მთავარი იმედი, ევროპის წლევანდელი ჩემპიონი **ავთანდილ ჭრიკიშვილი** (81) - პირველ წრეში ამერიკელ **დარეკ ვოიციკს** ხვდება. ამავე წონაში ჭაბუკებში ევროპის 2008 წლის ჩემპიონი **გიორგი მერმანიშვილი** ასევე თავიდან ჩაებმება ტურნირში - უზბეკ **დავრონბეკ სატოროვს** ეჭიდავება.

90-ში ახალგაზრდებში მსოფლიოს შარშანდელი ვიცე-ჩემპიონი **არჩილ შინჯიკაშვილი** თავიდან ისვენებს, მეორე წრეში კი ყაზახ **აიტუარ აბდულოვს** ხვდება, ამ ასაკში ევროპის წლევანდელი ვიცე-ჩემპიონი **გიორგი ნოზაძე** კი ასპარეზობაში თავიდანვე ჩაებმება საკმაოდ გამოცდილ ესტონელ **გრიგორი მინასკინთან** შეხვედრით, რომელიც ასევე ევროპის ვიცე-ჩემპიონია ამ ასაკში, ოღონდ შარშანდელი.

100-ში **ონისე ბულაძე** ისვენებს თავიდან, მერე კი ბულგარელ **დანიელ დიჩევს** დაეჭიდება, **გიორგი კობერიძე** კი პირველივე წრეში ჭიდაობს ლიბანელ **ტარეკ ფაჰმისთან**.

მძიმეში **ლევან მათიაშვილი** ტურნირში მეორე წრიდან ჩაებმება რუმინელ **დანიელ ნატეასთან** შეხვედრით, **უშანგი კოკაური** კი დასაწყისშივე ჭიდაობს მასპინძელ **ჰოსნი რაფარისთან**.

### კვარცხლბეკი

#### ვაჟები

**66 კგ.** 1. კენტო შიმიზუ (იაპონია), 2. ნაირუზბეკ მაილაშევი (ყაზახეთი), 3. იუკი ჰაშიგუჩი (იაპონია), რიფატ პაკმატულაევი (უზბეკეთი).

**73 კგ.** 1. ალექსანდერ ვიცზერზაკი, 2. ჰანეს კონრადი (ორივე - გერმანია), 3. **ზებედა რეხვიაშვილი (საქართველო)**, ასლან ლაპინაგოვი (რუსეთი).

#### გოგოები

**52 კგ.** 1. ანზუ იამამოტო (იაპონია), 2. ელეუდის ვალემტიმი (ბრაზილია), 3. პრისცილა გნეტო (საფრანგეთი), ტუგბა ზეჰირი (თურქეთი).

**57 კგ.** 1. ჰელენა რეცევე 2. რახელე პლასი (ორივე - საფრანგეთი), 3. ეველინა ილიევა (ბულგარეთი), ტერუმი კანეკო (იაპონია).

**ირაკლი თავაძე**

ფიგურული სრიალი



## გედევანიშვილის ცუდი სტარტი

ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორ **ელენე გედევანიშვილს** სეზონის სტარტი ჩაუვარდა - გრან პრის სერიის პირველ ტურნირზე, NHK ტროფიზე ჩვენმა თანამემამულემ მოკლე პროგრამაში ძალიან ცუდად იასპარეზა. ტროფის საპრიზო ფონდი 180 ათასი ამერიკული დოლარია. ქალთა შორის 12 სპორტსმენი გავიდა ნაგოიას ყინულზე, 20 წლის ქართველი მე-7 ნომერი იყო. ველარც ვიხსენებთ, როდის ჰქონდა ასეთი დაბალი შეფასება გედევანიშვილს მოკლე პროგრამაში - მსაჯებისგან 44,51 ქულა მიიღო (ელენეს რეკორდი 61,92 ქულაა). ის იაპონელი მაყურებლის წინაშე ახალი პროგრამით წარდგა, მოკლე პროგრამა კინოფილმ „ჩიკაგოს" საუნდტრეკზე შეასრულა. პროგრამულ კომპონენტებში ქართველმა 25,86 ქულა მიიღო, რაც ნორმალური შედეგია, მაგრამ ტექნიკურ კომპონენტებში 18,65 ქულა ძლივს დააგროვა და ამ მაჩვენებლით ბოლოსწინა ადგილზე გავიდა.

საერთო ჯამში ელენე მოკლე პროგრამის შემდეგ მე-9 ადგილზეა. იმედს მხოლოდ ის გარემოება გვიტოვებს, რომ ვერც მისმა კონკურენტებმა იყოჩაღეს. საკმარისია აღვნიშნოთ, რომ შეჯიბრების პირველი დღის შემდეგ დაწინაურებულ **კაროლინა კოსტნერს** 57,27 ქულა აქვს, რაც ლიდერისთვის ძალიან ცოტაა. მეორე ადგილზეა 15 წლის იაპონელი **კანაკო მურაკამი**. მსოფლიოს ახალგაზრდულმა ჩემპიონმა 56,10 ქულა მოაგროვა. მესამე ადგილზე ამერიკელი **რეიჩელ ფლეტია** (53,69 ქულა), რომელიც მცირედით უსწრებს თანამემამულე **ეშლი ვაგნერს** (52,93) და ფინელ **კიირა კორპის** (52,60).

შეიძლება ითქვას, რომ სეზონის სტარტი ჩააგდო მსოფლიოს ჩემპიონმა **მაო ოსადამ**, რომელმაც 47,95 ქულას ძლივს მოუყარა თავი და ელენეს წინაა. დღეს ქალთა შეჯიბრება თავისუფალი პროგრამით დასრულდება. ელენე, რომელიც „ოპერის მოჩვენების" მუსიკის ჰანგებზე შეასრულებს პროგრამას, ყინულზე მეოთხე გავა. ტურნირს ფლეტი, მურაკამი და კოსტნერი დაასრულებენ.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

სიახლე მედიაში

## ჟურნალი მონიტორზე



ჩვენს ეპოქაში იშვიათად თუ რაიმე სიახლე ჩაითვლება სასწაულად და ეს, უწინარესად, ტექნიკური პროგრესის დამსახურებაა. რამ უნდა გააკვირვოს ბეჭდური სიტყვის ტრადიციების მემკვიდრეები, — თითქოს მოსახდენი უკვე მოხდა, — ტელევიზიამ და ინტერნეტმა დაიპყრო ადამიანების ცნობიერება, თავისი „ინტელექტის" სამოსელი მოახურა და ბეჭდური მედია განზე გასწია. ვითომ ასეა? ნუ ვიდავებთ! მოდი, ის ვთქვათ, როგორ შეიძლება მედიის ამ ორი მიმართულების შერწყმა. აი, ამის მცდელობა, ვიტყოდი, წარმატებული, უკვე ფაქტია და მისი შემოქმედნი არიან გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის (რექტორი, პროფესორი **მამუკა თავხელიძე**) ტელეჟურნალისტიკის სპეციალობის სტუდენტები.

ვინც **პაატა ნაცვლიშვილს** იცნობს, დაგვეთანხმება, რომ ფართო დიაპაზონის ამ შემოქმედს მხოლოდ ჟურნალისტიკაში როდი უთქვამს „სეფე სიტყვა", ის მრავალმხრივი მოღვაწეა, სიახლეთა დაუოკებელი და უხმაუროდ მშფოთვარე მაძიებელი. ამიტომ არ იყო გასაკვირი, რომ ხსენებულ უნივერსიტეტში სწორედ პაატა ნაცვლიშვილის შემოქმედებით სახელოსნოში მომწიფდა არა ჩვეულებრივი (ეს რა გასაკვირია), არამედ სწორედ რომ არაჩვეულებრივი სიახლეებით გაძეძგილი სტუდენტური სასწავლო ჟურნალი „ობოობა" (ორი „ო" კორექტურად არ ჩათვალოთ, ასეა სწორედ) - სახელი ინტერნეტთანაა წილნაყარი, მიმხვედრი მიხვდება ჩანაფიქრს. დიახ, ეს არის სტუდენტური, მართლაც უნიკალური გამოცემა მედიათა მიჯნაზე და ამით ყველაფერია ნათქვამი, როგორც ქალბატონმა **თამარ ცაგარეიშვილმა** ჟურნალის პრეზენტაციაზე შენიშნა, ხიდია მედიის გზაგასაყარს შორის. ტექნიკურად ჟურნალი ისეა გაფორმებული, როგორც ვებგვერდები.

სპორტი მედიაში როგორაა დღეს დაფასებული, ყველამ იცის — საყოველთაო ინტერესს იწვევს და იმიტომ. „ობოობა" რამდენიმე მიმზიდველ „ელექტრონულ-ბეჭდურ" წერილს სთავაზობს სპორტულ თემაზე მკითხველს. მისი ავტორები და სხვებიც, ახლო მომავალში, შესაძლოა, „ლელოს" ფურცლებზეც ვიხილოთ ნიჭით დაღდასმულ ასეთივე ნოვაციებს თუ შემოგვთავაზებენ.

ბოლოს, მოკლედ ვიტყვით, შეგირდებმა ოსტატის სახელოსნოში ბრწყინვალე ნიმუში შექმნეს, რომელიც ბევრს შეშურდება. შეშურდება? — მაშასადამე, კარგია!

**თენგიზ თომაშვილი**

კალათბურთი. დუდუ დადიანის მემორიალი

# შსს ელის... სოხუმი თუ რუსთავი?

**22 ოქტომბერი. თბილისი.**
შსს-ს აკადემიის დარბაზი

| ქუთაისი-შსს | 79:82 |
|---|---|

24:22, 10:15, 20:21, 25:24

**ქუთაისი:** ბ. ბერიშვილი (12ქ, 11ვ), გ. ბარბაქაძე (34ქ), ქორიძე, ბოლქვაძე (20ქ), კოლუაშვილი (10ქ), დიდია (3ქ).

**შსს:** ი. ბერიშვილი (19ქ, 7ვ), ლეჟავა (5ქ, 7მ), კოტონი (15ქ), მარკოიშვილი (19ქ), იმნაძე (8ქ, 11მ); დ. ბერიშვილი, ლაფანაშვილი (9ქ), ნიკოლაძე (3ქ), შერმადინი, ტომარაძე (2ქ), სუხიშვილი.

მაჯები: ზ. მაჩალაძე, მ. კუპატაძე

| თსუ-სტუ | 88:86 |
|---|---|

19:15, 34:17, 15:27, 20:27

**თსუ:** ხიზანიშვილი (4ქ), ფანჩულიძე (24ქ), გაფრინდაშვილი (1ქ), ლონდარიძე (13ქ, 10მ), კორკოტაძე (5ქ), ლოსაბერიძე (2ქ), ყველაშვილი, მათიაშვილი (32ქ, 17მ), დეკანოიძე, შარაბიძე (7ქ).

**სტუ:** ანთაძე (18ქ), გურაბანიძე, ვ. ბერუაშვილი (15ქ), ჩიკვილაძე (17ქ), ლომოური (17ქ), გასიტაშვილი, მაჩალაძე, თევზაძე, კობიძე (5ქ), ჯანგველაძე (6ქ), ახალკაცი (8ქ), ლაშქარაძე

მსაჯები: ზ. მაჩალაძე, დ. სადღობელაშვილი

| სოხუმი-აგრარული | 79:76 |
|---|---|

12:18, 21:7, 24:27, 22:24

**სოხუმი:** ფარლალავა (23ქ), კვეტენაძე (4ქ), შანიძე, სორდია (13ქ), კანკია, კოპალიანი (2ქ), კ. დამუსი (13ქ, 13მ), რ. დამუსი (17ქ, 21მ), ფერიაშვილი.

**აგრარული:** ტეტელაშვილი (6ქ), ნანიტაშვილი (25ქ), კანდელაკი, სიგუა (3ქ), ჩაჩანიძე (13ქ), ხანიაშვილი (8ქ), გემაზაშვილი, ჯავახიშვილი (2ქ), მუმლაძე (19ქ)

მსაჯები: მ. კუპატაძე, დ. ბერეკაშვილი

| A ჯგუფი | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. ენერჯი | 2 | 2 | 0 | 4 |
| 2. სოხუმი | 2 | 2 | 0 | 4 |
| 3. დინამო | 2 | 0 | 2 | 2 |
| 4. აგრარული | 2 | 0 | 2 | 2 |

| B ჯგუფი | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. შსს | 4 | 4 | 0 | 8 |
| 2. ქუთაისი | 3 | 2 | 1 | 5 |
| 3. თსუ | 3 | 2 | 1 | 5 |
| 4. სამედიცინო | 3 | 0 | 3 | 3 |
| 5. სტუ | 3 | 0 | 3 | 3 |

**დღეს**

| | |
|---|---|
| 11:00 | აგრარული-დინამო |
| 13:00 | ენერჯი-სოხუმი |
| 15:00 | ქუთაისი-თსუ |
| 17:00 | სამედიცინო-სტუ |

**ფინალი. 24 ოქტომბერი. 15:00**

გაირკვა დუდუ დადიანის მემორიალის პირველი ფინალისტის ვინაობა - შსს-მ ჯგუფში მეოთხე შეხვედრაც მოიგო და კვირას საჩემპიონო მატჩში ითამაშებს.

ძალოვნებმა ქუთაისს ბოლო წამებზე აჯობეს: გადამწყვეტი აღმოჩნდა **ირაკლი ბერიშვილის** მიერ საფინალო სირენამდე 23 წამით ადრე ჩაგდებული ურთულესი შორი სროლა, რომელმაც საბოლოო ანგარიში დააფიქსირა - 82:79. ქუთათურებს გათანაბრების შანსი ჰქონდათ, მაგრამ **ბუბა ბერიშვილმა**, რომელმც მანამდე 3 სამიანი გამოიყენა, ამჯერად ააცილა.

ამ შეხვედრაში სამქულიენების წვიმა ვიხილეთ. ორივე გუნდმა ჯამში 32 შორეული სროლა ჩააგდო, საიდანაც 18 ფინალში გასულ შსს-ზე მოდის. ამ გუნდის კალათბურთელებმა - **ლექსო ლაფანაშვილმა, ტროი კოტონმა** და **ირაკლი ბერიშვილმა** ბოლო მეოთხედში ჯამში 6 სამიანი ჩააგდეს.

გამოსარჩევია ქუთაისი რიგებში მოთამაშე **გიგი ბარბაქაძის** სტატისტიკა, რომელმაც 34 ქულიდან 27 ქულა სამქულიანებით მოაგროვა.

გუშინვე „აგრარულმა" გააზრებული თამაშით დიდი წინააღმდეგობა გაუწია „სოხუმს", ხოლო სტუ-მ - თსუ-ს. თუმცა, ბოლო წუთებზე ორივე დამარცხდა.

დღეს, „სოხუმი"-"ენერჯის" მატჩი მეორე ფინალისტს გამოარკვევს.




# ატლანტა მაიამის გადაახტა

სეზონის დასაწყისში NBA-ს გუნდებს შორის ყველაზე მეტად „მაიამი" გაძლიერდა - გუნდში **ლებრონ ჯეიმსი** და **კრის ბოში** გადავიდნენ, რომლებსაც „ჰიტში" **დუეინ უეიდი** დახვდათ. შესაბამისად, „მაიამი" ჩემპიონობის ერთ-ერთ მთავარ ფავორიტად იქცა. ასეთი გუნდის ძლევა რეგულარული ჩემპიონატის დაწყების შემდეგ შეიძლება ბევრს ოცნებად ექცეს...

თუმცა „ატლანტამ" საგამოფენო მატჩში ეს შეძლო - „ჰიტი" სარკისებური ანგარიშით 98:89 დაამარცხა. მატჩის წინ **ზაზა ფაჩულიამ** გაზეთ „ატლანტა კონსტიტუშენს" უთხრა:

- დარწმუნებული ვარ, ჩვენი ხუთი მატჩის შემდეგ ყველას ერთი კითხვა გაუჩნდებოდა - რატომ გვიჭირს გამარჯვება (4 წაგება, 1 მოგება). მჯერა, რომ არავის სიამოვნებს „ჰოქსის" წაგებები. პირველ რიგში ჩვენ, კალათბურთელებს.

ჰოდა, ჯორჯიელებმა დაამტკიცეს, რომ NBA-ში არავისზე ნაკლები გუნდი არ ჰყავთ. მაიამელებთან შეხვედრის გადამწყვეტი მომენტი დამაჯერებლად ჩაატარეს და დამსახურებულადაც გაიმარჯვეს. მოგებულთა შორის კაპიტანი **ჯო ჯონსონი** გამოირჩა - 27 ქულა ჩააგდო. ფაჩულიამ მოედანზე 17 წუთი გაატარა, 4-დან 2 ორქულიანი, 2-დან 1 საჯარიმო გამოიყენა და 5 ქულას 6 მოხსნა მიამატა.

„ატლანტა" მორიგ მატჩს დღეს, გამთენიისას „შარლოტ ბობქეთსთან" გამართავდა.

| ატლანტა-მაიამი | 98:89 |
|---|---|

ზაზა ფაჩულია: 17 წუთი, 5 ქულა, 6 მოხსნა, 3 ფოლი, 1 შეცდომა

**I პერიოდი**

| | |
|---|---|
| 05:22 | ზაზამ ჰორფორდი შეცვალა |
| 03:01 | ფოლი: 1 |
| 02:38 | ორქულიანი: 2ძ (22:16) |
| 02:19 | მოხსნა: შეტ-0, დაც-1 |
| 01:30 | მოხსნა: შეტ-0, დაც-2 |
| 00:02 | ფოლი: 3 |

**II პერიოდი**

| | |
|---|---|
| 11:06 | საჯარიმოები: 2/1 (3ძ, 29:29) |
| 09:06 | ფოლი: 3 |
| 09:06 | შეცდომა: 1 |
| 09:06 | ჰორფორდმა ფაჩულია შეცვალა |
| 03:54 | ზაზამ სმითი შეცვალა |
| 03:24 | კოლინზმა ზაზა შეცვალა |

**III პერიოდი**

| | |
|---|---|
| 03:23 | ზაზამ ჰორფორდი შეცვალა |
| 01:58 | მოხსნა: შეტ-0, დაც-3 |
| 01:34 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 01:17 | მოხსნა: შეტ-0, დაც-4 |
| 00:52 | მოხსნა: შეტ-1, დაც-4 |
| 00:52 | ორქულიანი: 5ძ (72:67) |

**IV პერიოდი**

| | |
|---|---|
| 09:33 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 07:02 | მოხსნა: შეტ-1, დაც-5 |
| 06:48 | ჰორფორდმა ზაზა შეცვალა |

ქართველები და ევროპასკეტი

# ტანკი, რომელიც გზად ყველაფერს ანადგურებდა

**ევროპასკეტი-1953. მოსკოვი, სსრკ**

**I ეტაპი. C ჯგუფი**

სსრკ-ბელგია 59:31 (ქორქია: 7ქ, 2ფ.)
სსრკ-დანია 118:14 (ქორქია: 0ქ.)
სსრკ-უნგრეთი 64:54 (ქორქია: 24ქ, 5ფ.)

| გუნდი | თ | მ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. სსრკ | 3 | 3 | 0 | 241/99 | 6 |
| 2. უნგრეთი | 3 | 2 | 1 | 206/129 | 5 |
| 3. ბელგია | 3 | 1 | 2 | 122/151 | 4 |
| 4. დანია | 3 | 0 | 3 | 79/269 | 3 |

**ფინალური ეტაპი**

სსრკ-ჩეხოსლოვაკია 49:41 (ქორქია: 19ქ, 4ფ.)
სსრკ-საფრანგეთი 80:51 (ქორქია: 11ქ, 2ფ.)
სსრკ-უნგრეთი 29:24 (ქორქია: 5ქ, 1ფ.)
სსრკ-იტალია 88:54 (ქორქია: 8ქ, 1ფ.)
სსრკ-ეგვიპტე 66:27 (ქორქია: 17ქ, 1ფ.)
სსრკ-ისრაელი 75:25 (ქორქია: 12ქ, 2ფ.)
სსრკ-იუგოსლავია 57:43 (ქორქია: 6ქ, 5ფ.)

| გუნდი | თ | მ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. სსრკ | 7 | 7 | 0 | 444/265 | 14 |
| 2. ჩეხოსლოვ. | 7 | 4 | 3 | 387/332 | 11 |
| 3. საფრანგეთი | 7 | 4 | 3 | 391/374 | 11 |
| 4. უნგრეთი | 7 | 4 | 3 | 375/282 | 11 |
| 5. ისრაელი | 7 | 4 | 3 | 238/327 | 11 |
| 6. იუგოსლავია | 7 | 3 | 4 | 334/370 | 10 |
| 7. იტალია | 7 | 1 | 6 | 323/387 | 8 |
| 8. ეგვიპტე | 7 | 1 | 6 | 271/426 | 7 |

**ევროპასკეტი-1955. ბუდაპეშტი, უნგრეთი**

**I ეტაპი. C ჯგუფი**

სსრკ-ლუქსემბურგი 103:36 (ქორქია: 3ქ, 1ფ.)
სსრკ-რუმინეთი 79:63 (ქორქია: 0ქ.)
სსრკ-შვედეთი 103:31 (ქორქია: 22ქ, 3ფ.)
სსრკ-შვეიცარია 87:49 (ქორქია: 14ქ, 2ფ.)

| გუნდი | თ | მ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. სსრკ | 4 | 4 | 0 | 372/179 | 8 |
| 2. რუმინეთი | 4 | 3 | 1 | 280/210 | 7 |
| 3. შვეიცარია | 4 | 2 | 2 | 233/252 | 6 |
| 4. შვედეთი | 4 | 1 | 3 | 189/314 | 5 |
| 5. ლუქსემბურგი | 4 | 0 | 4 | 179/298 | 4 |

**ფინალური ეტაპი**

სსრკ-იტალია 54:48 (ქორქია: 1ფ.)
სსრკ-ბულგარეთი 82:62 (ქორქია: 10ქ, 4ფ.)
სსრკ-იუგოსლავია 75:52 (ქორქია: 2ქ, 2ფ.)
სსრკ-ჩეხოსლოვაკია 74:81 (ქორქია: 4ქ, 5ფ.)
სსრკ-რუმინეთი 84:66 (ქორქია: 18ქ, 3ფ.)
სსრკ-უნგრეთი 68:82 (ქორქია: 5ქ, 5ფ.)
სსრკ-პოლონეთი 101:76 (ქორქია: 0ქ.ვ

| გუნდი | თ | მ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. უნგრეთი | 7 | 6 | 1 | 514/427 | 13 |
| 2. ჩეხოსლოვ. | 7 | 5 | 2 | 533/447 | 12 |
| 3. სსრკ | 7 | 5 | 2 | 538/467 | 12 |
| 4. ბულგარეთი | 7 | 4 | 3 | 483/465 | 11 |
| 5. პოლონეთი | 7 | 3 | 4 | 461/516 | 10 |
| 6. იტალია | 7 | 2 | 5 | 434/510 | 9 |
| 7. რუმინეთი | 7 | 2 | 5 | 473/516 | 9 |
| 8. იუგოსლავია | 7 | 1 | 6 | 397/485 | 8 |

განვლილ შაბათს გამოვაქვეყნეთ ერთი თავი **ალექსანდრ გომელსკის** წიგნიდან „ცენტრები". ლეგენდარული მწვრთნელი ქართველ ვარსკვლავზე, **ოთარ ქორქიაზე** ლაპარაკობდა. დღეს, ქვეთავის მეორე ნაწილს შემოგთავაზებთ.

„ოთარ ქორქია გულიანი მოთამაშე გახლდათ, მისთვის ბურთის წართმევა ურთულესი საქმე იყო. ქორქიასთვის დაუშვებელი იყო ბურთის დაკარგვა, თუნდაც პასი ნაკლებად ზუსტი ყოფილიყო. სიმართლე უნდა ითქვას, იგი ზოგჯერ ბურთს ვერ იღებდა, თუმცა არასოდეს ნერვიულობდა. ყოველთვის ამბობდა - ყველაფერი წესრიგშია, დამნაშავე მე ვარო.

ლისოვი-ქორქია საოცარი დუეტი იყო - პატარა ვირტუოზი **ლისოვი** და დიდი ათლეტი ქორქია ერთმანეთს კარგად უგებდნენ. საინტერესო იყო მათი შესრულებით კონტრშეტევის ხილვა - ყოვლის შემძლე ოთარი ხელის ერთი მოქნევით იდეალურ პასს აძლევდა გარღვევაში ლისოვს. ეს უკანასკნელი ასეთ არცთუ ეშმაკურ იერიშს ხშირად ასრულებდა ზუსტი ტყორცნით. პოზიციური შეტევისას ლისოვი ოთარ ქორქიას ეძებდა და პოულობდა კიდეც. ფარქვეშიდან ჩაგდება ქორქიასთვის ჩვეულებრივი ამბავი იყო.

მახსენდება, 1948 წელს ჩვენი (ლენინგრადის ოფიცერთა სახლის გუნდის) მატჩი თბილისელებთან. ოთარი ტყორცნის „კრიუკით" შესრულებას აპირებდა (რაც შესანიშნავად გამოსდიოდა)... მე დაბალი, მაგრამ სწრაფი ვიყავი, მივასწარი და ბურთი ხელიდან ავაცალე. მან ცარიელი ხელი მოიქნია და გაკვირვებულმა გულკეთილად მიმოიხედა, ეძებდა ადამიანს, რომელმაც თვით ოთარ ქორქიას აართვა ბურთი. როგორც მულტფილმში, მეც მომესმა მისი ხმა: Ну, пацани погоди! და ჩემკენ გამოიქცა. ოთარის ფიზიკური ძალა თბილისელებისა და საბჭოთა ნაკრების მთავარი პლუსი იყო. ქორქია ბევრ კალათბურთელზე მაღალი არ გახლდათ, **კულამის** სიმაღლისა იყო, **კონევზე, კრუუსზე, სილინშაზე** ცოტა მაღალი, მაგრამ ყველას ყოველთვის ეჩვენებოდა, რომ იგი სხვებზე მაღალი იყო - 190 სმ სიმაღლის ქორქია ერთი თავით მაღალი ჩანდა (როგორც ტრიბუნიდან, ასევე სათადარიგოთა სკამიდან) თავის კონკურენტებზე. ამის მიზეზი ქორქიას მასიური, ათლეტური აღნაგობა და თამაშის მანერა იყო: ტანკი, რომელიც თავისი გზიდან ყველაფერს ანადგურებდა. იგი ბუნებრივადაც დაჯილდოვებული იყო და საკუთარ თავზეც ბევრს მუშაობდა. სხვათა შორის, ოთარი მძლეოსნობაში ვარჯიშობდა - მისი ახალგაზრდული რეკორდი ბადროს ტყორცნაში, საბჭოეთში ათი წლის განმავლობაში ვერავინ დაამხო. ქორქიას ძლიერი ფეხები, მხრები და კისერი ჰქონდა, შესაბამისად მჭიდრო მეურვეობას არათუ არ ერიდებოდა, არამედ თავად ცდილობდა ასეთ წინააღმდეგობაში მოხვედრას, რათა საკუთარი უპირატესობა წარმოეჩინა. მთავარი იყო, ოთარიმდე ბურთის მიტანა, თორემ შემდეგ მისთვის სულ ერთი იყო, ერთ კალათბურთელს გასცდებოდა, თუ - სამს, მაინც ჩააგდებდა.

საფრანგეთში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე ფინალში, ჩეხოსლოვაკიასთან შეხვედრაში შესვენებისას თანაგუნდელებს ქართული აქცენტით ეუბნებოდა - რამდენჯერაც ბურთს მომცემთ, იმდენჯერ ჩავაგდებო. აგდებდა კიდეც.

მასში შერწყმული იყო ცივსისხლიანობა, თავდაჯერება და ცხელი სამხრეთული ტემპერამენტი. არ მინახავს გაცხარებული, განერვიულებული ოთარ ქორქია. პირიქით, იგი ყოველთვის მშვიდად, ფლეგმატიკურად, როგორც დიდი და ძლიერი ადამიანები, დინჯად გადაადგილდებოდა მოედანზე, თუმცა მოულოდნელად ფეთქდებოდა. გამორჩეული სპორტსმენების თვისებაა მოდუნება და ენერგიის გადმოფრქვევა, როცა ეს საჭიროა. ამ თვისებისა იყო როგორც ქორქია, ასევე **ვსევოლოდ ბობროვი.**

ვიდრე საფინალო სირენა არ გაისმებოდა, ოთარისთვის მატჩი არ სრულდებოდა, მნიშვნელობა არ ჰქონდა, რა ანგარიში იყო ტაბლოზე. იგი პასს მუდმივად ითხოვდა, თუმცა ბურთის მიღების შემდეგ საკუთარი ინდივიდუალიზმით გუნდურ თამაშს არაფერს აკლებდა. საერთოდ კი მარტივად თამაშობდა, თუმცა პრიმიტიულად არა. მისთვის მთავარი გუნდი იყო, მაგრამ თუ შესაძლებლობა მიეცემოდა, თავადაც ისროდა. ტყორცნა დახვეწილი ჰქონდა.

თუ **უვაის ახტაევს** არ ჩავთვლით, ქორქიას სერიოზული მოწინააღმდეგე არ ჰყავდა. თუმცა არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ახტაევის გუნდს თბილისელები იოლად უმკლავდებოდნენ. 1955 წელს ოთარს პირველად მოუწია **იანის კრუმინშთან** დაპირისპირებამ. ქორქია გამოცდილი იყო, „დიდი იანი" კი — დამწყები. მათი ჭიდილი მოულოდნელად, ძალიან საინტერესო გამოდგა. თბილისის „დინამოში" ქორქიას გვერდით თამაშობდნენ **ინწკირველი, ჯორჯიკია, კილაძე**, ძმები **მესხები, კეკელიძე.** მოკლედ, ეს იყო, ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი კოლექტივი.

ჩვენთან, რიგაშიც კარგი გუნდი ყალიბდებოდა, იყვნენ კალათბურთელები, რომლებიც კრუმინშს სათანადოდ ეხმარებოდნენ. მისი და ქორქიას დაპირისპირებაში კრუმინშმა კარგად დაიწყო. თბილისელი ცენტრი ცდილობდა იანისის წინააღმდეგ ისევე ეთამაშა, როგორც მის წინააღმდეგ ირჯებოდნენ - არცთუ სუფთად, რაც ოთარ მიხაილოვიჩის თამაშს სულაც არ ჰგავდა. კრუმინში კი თავისას არ იშლიდა და ქულას ქულაზე აგდებდა. ეს იყო პირველი მატჩი, რომელშიც ქორქიას მეტოქის დაჭერა გაუჭირდა, თუმცა მან კიდევ რამდენიმე წელიწადი ითამაშა. ვეტერანი ოთარი კონტრშეტევებს თავად იწყებდა და ხშირად თვითონვე აგვირგვინებდა. გარე ეფექტებზე არასოდეს უთამაშია, მხოლოდ პროდუქტიულობაზე, გუნდზე, შედეგზე იყო ორიენტირებული. ორივე ხელით შესანიშნავად ისროდა, ხოლო „კრიუკი", ვფიქრობ, პირველად მან გამოიყენა.

ერთხელაც თათმანებით გამოვიდა. ყველას გაუკვირდა, რაში დასჭირდა თათმანები? - იმიტომ, რომ ხელები თამაშამდე თბილად შემენახა, - ახსნა ოთარმა. იგი ყოველთვის ახალს იგონებდა, ახალს ეძებდა. ტოკიოს ოლიმპიადის წინ იგი ახალგაზრდულ ნაკრებთან მწვრთნელად მუშაობდა. ვთხოვე გამოერკვია, როგორ მოქმედებს სიმაღლე კალათბურთელთა მზადებაზე. ოთარ მიხაილოვიჩმა საინტერესო გამოკვლევა მოიტანა, რაც შემდეგ მეხიკოს ოლიმპიადისთვის გამოვიყენეთ. ერთხელაც მოიგონა ვარჯიში წყალში. მას მიაჩნდა, რომ შტანგაზე ზედმეტი მუშაობა კალათბურთელისთვის საჭირო არ იყო. სამაგიეროდ გამოიგონა მუხლამდე წყალში ყოფნისას ნახტომში ტყორცნა. საინტერესო იდეა იყო, თუმცა მისი სარგებლიანობა ჯერაც დასამტკიცებელია.

ოთარი ცენტრების პრობლემაზე ყოველთვის ლაპარაკობდა. ჰელსინკის ოლიმპიადის (1952 წელს მას გიგანტ ამერიკელებთან მოუწია თამაშმა) შემდეგ მან კიდევ უფრო აქტიურად დაიწყო მტკიცება, რომ საჭიროა ტანმაღალი ბიჭების ძიება. ქორქიამ მხარი დაუჭირა საბჭოთა კალათბურთის ფედერაციის წამოწყებას, რომლის მიხედვითაც განაცხადში 12 კაცის შეყვანა შეიძლებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შემადგენლობაში 200 სმ-ზე მეტი სიმაღლის ორი კალათბურთელი იყო. თუ ასეთი ერთი იყო, განაცხადში 11 კაცი უნდა შეგეყვანა, თუ ორ მეტრს არც ერთი მოთამაშე არ აღწევდა, მაშინ განაცხადი 10 მოთამაშით უნდა შეგევსო.

ოთარ ქორქია ახალგაზრდობას ფაქიზად ექცეოდა. იგი ახალბედებს სათამაშო დროსაც საკმარისად აძლევდა და პირადი საუბრებით თვითრწმენასაც მატებდა. ოთარი თანაგუნდელებსაც ბევრ სასარგებლო რჩევას აძლევდა. სახელითა და მამის სახელით მას არა მხოლოდ მოსწავლეები, არამედ გუნდელებიც მიმართავდნენ... ეს იყო პატივისცემის ნიშანი დიდი ნიჭის და საოცარი სულის მქონე ადამიანისა."

**გვერდი მოამზადა**
**ვაჟა სიმონიშვილმა**

# ტაიმ-აუტი ლელოსთან ერთად

## სპორტი და მეცნიერება

# მთები თურმე ტვინს აზიანებს



ყოველ ასვლაზე ალპინისტის თავის ტვინი ზიანდება, ასეთი დაზიანებისგან კი შეიძლება გაუარესდეს მეხსიერება და სივრცეში გადაადგილების უნარი - თვლიან მეცნიერები.

მკვლევართა დასკვნები გამოქვეყნდა ნევროლოგიის ევროპულ ჟურნალში. ექსპერიმენტი ჩატარდა მსოფლიო კლასის 6 მთამსვლელზე. გაირკვა, რომ ტვინი საგრძნობლად იცვლება ლაშქრობის შემდეგ იმ შემთხვევაშიც კი, თუ ალპინისტს არანაირი ნევროლოგიური პრობლემა არ ჰქონია. ამას მეცნიერები ხსნიან ჟანგბადის ნაკლებობით. თუმცა რვა კვირის შემდეგ ექსპერიმენტის მონაწილე მთამსვლელთა განმეორებითი შემოწმებისას გამოვლინდა თავის ტვინის ორ ნაწილში ქსოვილების შემჭიდროვება და ცვლილება წინა მაჩვენებლებთან შედარებით. კვლევის ხელმძღვანელი **მარგარიტა დი პაოლა** ირწმუნება, რომ მიღებული შედეგები ვერ გახდება მწვერვალზე ასვლების აკრძალვის სერიოზული საფუძველი. მთავარია, შემოწმებულ მთამსვლელებს არ აღენიშნებათ არანაირი ნევროლოგიური ცვლილებები ექსპედიციის შემდეგ. ექიმი **მაიკ გროკოტი**, რომელიც კვლევაში მონაწილეობდა ევერესტზე, მიიჩნევს, რომ 8 ათას მეტრზე ამსვლელებისთვის არსებობს თავის ტვინის დაზიანების რისკი, მათ იციან ისიც, რომ თუნდაც ერთი წლის შემდეგ ყურადღების კონცენტრირების უნარი ჩვეულებრივი აღარ იქნება, როგორც მწვერვალზე ასვლამდე, მაგრამ ეს ვერ შეაჩერებს მთამსვლელებს. ფეხბურთი და სპორტის სხვა სახეობებიც საკმაოდ შეიცავენ რისკს, მაგრამ ამის გამო მათ არ აკლიათ მიმდევრები - დასძენს გროკოტი.






**1912 წელი. სტოკჰოლმი. V ოლიმპიური თამაშების აფიშა და მონეტა**

## თარიღი. 23-29 ოქტომბერი

**23.10.1940 წ.** დაიბადა **პელე** - ფეხბურთი.

**24.10.1873 წ.** დაიბადა **ჟიულ რიმე**. ფიფას ყოფილი პრეზიდენტი. გარდაიცვალა 1956 წ.

**25.10.1978 წ.** ბუენოს-აირესში (არგენტინა) გაიხსნა VIII საჭადრაკო ოლიმპიადა.

**26.10.1863 წ.** შეიქმნა ინგლისის საფეხბურთო ასოციაცია.

**27.10.1957 წ.** დაიბადა **გლენ ჰოდლი** - ფეხბურთი.

**28.10.1933 წ.** დაიბადა **გარინჩა** - ფეხბურთი.

**28.10.1951 წ.** ფორმულა-1-ში მსოფლიოს ჩემპიონი გახდა 40 წლის არგენტინელი **ხუან მანუელ ფანხიო.**

## იყო ასეთი შემთხვევა...

# ტანვარჯიში აკრძალეს

დღეს ძნელი წარმოსადგენია, სპორტის რომელიმე სახეობა ჯანმრთელობის ან სხვა რაიმე მოსაზრებით საზიანოდ გამოცხადდეს. მაგრამ დღეს მთელ მსოფლიოში აღიარებული სპორტის ისეთი სახეობაც კი, როგორიცაა ტანვარჯიში, ჯერ კიდევ 1820 წლის 2 იანვარს პრუსიაში გამოცხადდა: „... სახელმწიფოსთვის საზიანოდ". ამ სახეობაში ვარჯიშისა და შეჯიბრების გამართვისთვის ჯარიმა დაწესდა.

## ომი და სპორტსმენები

1918 წლის 5 ოქტომბერს დასავლეთის ფრონტზე დაიღუპა ერთ-ერთი ყველაზე სახელგანთქმული ფრანგი მფრინავი **როლან გაროსი**. მან 1913 წელს პირველმა გადაუფრინა ხმელთაშუა ზღვას. მოგვიანებით მისი სახელი მიენიჭა პარიზში იმ დროს მშენებარე კორტებს, თუმცა გაროსს ჩოგბურთი არასოდეს უთამაშია.

■ ■ ■

1918 წლის 9 ოქტომბერს დასავლეთის ფრონტზე დაიღუპა გერმანელი სამხედრო მფრინავი **ჰანს ბრაუნი** - ლონდონის 1908 წლის ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორი 800 მეტრზე და სტოკჰოლმის 1912 წლის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი 400 მეტრზე რბენაში.

## საინტერესო ამბები

■ ბელგრადის ერთ-ერთ ქუჩას მიენიჭა ფეხბურთის ფრანგი გულშემატკივრის ბრის ტატონის სახელი. სერბმა ფეხბურთის ფანებმა მას 2009 წლის 17 სექტემბერს სასიკვდილოდ სცემეს სერბეთის დედაქალაქის ცენტრში.

■ **გამოჩენილი იტალიელი პოეტი ფრანჩესკო პეტრარკა 1336 წელს ალპების მწვერვალ მონვენტუზე (1920მ) ასულა. ზოგიერთი მკვლევარი მას ალპინიზმის მამამთავრად მიიჩნევს.**

■ მსოფლიოს ჩემპიონი რომ გავხდი, ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ცას ხელით შევეხე (დიეგო მარადონა).

■ **მარათონული რბენის დაწესების თაოსანი იყო ფრანგი ფილოლოგი მიშელ ბრეალი. პირველი გამარჯვებული გახდა ბერძენი ფოსტალიონი სპიროს(სპირიდონ) ლუისი.**

■ საფეხბურთო ჩემპიონატი ვატიკანშიც ტარდება და მასში ეს გუნდები მონაწილეობენ: "ფოსტა", "გვარდიელები", "ბანკი", "ბიბლიოთეკა", "მუზეუმების ნაკრები".

■ **1896 წელს ოლიმპიადაზე ტანვარჯიშში შედიოდა ისეთი დისციპლინები, როგორიცაა: სიგრძეზე ხტომა, ჭოკით ხტომა, ბაგირზე ცოცვა, ბირთვის კვრა.**

■ საჭადრაკო ტერმინი "გამბიტი" იტალიური „დარე ილ გამბეტოსგან" წარმოიშვა, რაც ფეხის გამოდებას ნიშნავს.

## პირველი, პირველმა, პირველად

**პირველი** ოლიმპიელი ქალი, ვინც ჩოგბურთში და არა მხოლოდ ჩოგბურთში, საერთოდ ოლიმპიური ჩემპიონის ტიტული მოუპოვა ინგლისს, არის **შარლოტა (შირლი) კუპერი** (1870-1966);

**პირველმა რეინჰოლდ მესნერმა** დალაშქრა მწვერვალი ლჰოცზე (8511 მ) და გახდა პირველი ადამიანი, რომელმაც ჰიმალაის თხუთმეტივე მწვერვალი დაიპყრო.

**პირველად** საფეხბურთო კლუბი მსოფლიოში შეიქმნა შეფილდში (ინგლისი) 1857 წლის 21 ოქტომბერს. კლუბს ეწოდა ამავე ქალაქის სახელი - „შეფილდი".

## ვიქტორინა

**1. რამდენ წონით კატეგორიაში ასპარეზობდნენ ძალოსნები 1896 და 1904 წლების ოლიმპიადებში?**

ა - ხუთში
ბ - ექვსში
გ - არ იყო დაყოფა წონით კატეგორიებად

**2. ვინ იყო 1966 წლის მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის №1 ფეხბურთელი და ბომბარდირი?**

ა - ტოსტაო
ბ - ეუსებიო
გ - პელე

**3. რომელი წლიდან გამოდიან ოლიმპიურ სარბიელზე ქალები?**

ა - 1900 წლიდან
ბ - 1908 წლიდან
გ - 1912 წლიდან

**4. პირველად რომელ წელს ჩატარდა ოლიმპიური თამაშები ლონდონში?**

ა - 1904 წელს
ბ - 1908 წელს
გ - 1912 წელს

**5. რომელ წელს გამოჩნდა პირველად წამზომი წამის მეათედიანი დანაყოფით?**

ა - 1896 წელს
ბ - 1898 წელს
გ - 1900 წელს

პასუხები იხ. „ლელოს" მომდევნო ნომერში.

## ღვთისავარ ანთაძის კუთხე

### ფეხბურთი ახლო ხედით

# ფეხბურთელის ფორმა

ფეხბურთელის ფორმა ჩვეულებრივი სათამაშო ფორმაა: მაისურა, ტრუსი, გეტრები და ბუცები. ფეხბურთელის მაისურაზე აღნიშნული უნდა იყოს ციფრი, რომელიც მატჩის ოქმში ჩაწერილ ნუმერაციას შეესაბამება. გუნდის ყველა წევრს, გარდა მეკარისა, ერთნაირი ფორმა უნდა ჰქონდეს. მეკარე უნდა განსხვავდებოდეს თავისი ფორმით როგორც თანაგუნდელებისგან, ასევე მოწინააღმდეგეებისა და მსაჯისგან. მეტოქეთა ფორმები მკვეთრად უნდა განსხვავდებოდეს ერთმანეთისაგან. მსაჯი ვალდებულია, ფეხბურთელს მინდორზე შესვლამდე შეუმოწმოს სათამაშო ფორმა, გეტრები და ბუცები. ფეხბურთელს თამაშის დროს არ უნდა ჰქონდეს ისეთი ნივთი, რომელიც საფრთხეს შეუქმნის მას ან რომელიმე სხვა მოთამაშეს. მხედველობის სათვალით მოედანზე გასვლა აკრძალული არ არის. მეკარეს უფლება აქვს, ითამაშოს კეპიანი ქუდით. ფეხბურთელს ჩაცმულობა წესრიგში უნდა ჰქონდეს, აკრძალულია თამაში ამოჩაჩული მაისურით და ჩაჩაჩული გეტრებით.

## თავსატეხი „ანთა". მეექვსე ამოცანა

| ანთა | | | | | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| A | ■ | | | | | | | | 5-0 | 5 | I |
| B | | ■ | | | | | | | 3-1 | 5 | II |
| C | | | ■ | | | | | | 4-3 | 5 | III |
| D | | | | ■ | | | | | 2-11 | 0 | IV |

**წინა შაბათს გამოქვეყნებული ამოცანის პასუხი**

| ანთა | | | | | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| A | ■ | 2:0 | 0:0 | 2:0 | 3 | 2 | 1 | 0 | 4-0 | 7 | I |
| B | 0:2 | ■ | 2:0 | 1:0 | 3 | 2 | 0 | 1 | 3-2 | 6 | II |
| C | 0:0 | 0:2 | ■ | 2:2 | 3 | 0 | 2 | 1 | 2-4 | 2 | III |
| D | 0:2 | 0:1 | 2:2 | ■ | 3 | 0 | 1 | 2 | 2-5 | 1 | IV |

# კროსვორდი



**ჰორიზონტალურად:** 1. ფეხბურთში 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელი; 4. ამერიკელ ინდიელთა მიერ გამოგონებული გუნდური თამაში რეზინის ბურთით; 8. "მილანის" ფეხბურთელთა მეტსახელი; 10. დანიის საფეხბურთო ნაკრების მთავარი მწვრთნელი; 12. მოტოციკლეტებით რბოლა ნიდიან ტრეკზე; 14. ადამიანის ფეხის ნაწილი კოჭის ქვემოთ; 15. ლეგენდარული ბრაზილიელი თავდამსხმელი, ე. წ. "კრუჩონი" ბურთის გამომგონებელი; 17. ფეხბურთში VII მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძელი ქვეყანა; 19. თანამედროვე ბელორუსი ჩოგბურთელი მამაკაცი; 20. მძლეოსნობის ერთ-ერთი იარაღი; 21. რუსი ჩოგბურთელი ქალი; 22. "მილანის" ნახევარმცველი; 23. საქართველოს სამბისტთა ნაკრების ხელმძღვანელი; 25. რუსი ჰოკეისტი; 28. სპორტული შეჯიბრების სახეობა; 29. ყოფილი ბრაზილიელი ფეხბურთელი, თავდამსხმელი; 30. 2010 წლის მუნდიალის მონაწილე აფრიკული ქვეყანა; 31. ქართველი კალათბურთელი(სამედიცინო უნივერსიტეტი).

**ვერტიკალურად:** 1. ყოფილი ფრანგი ფეხბურთელი, ნახევარმცველი; 2. ყოფილი იტალიელი ფეხბურთელი, 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი; 3. ყოფილი ხორვატი ფეხბურთელი, ნახევარმცველი; 5. ერთგვარი ხტომი (გადაყირავებით) აკრობატიკაში; 6. გვერდზე ცურვის ხერხი; 7. ქართული ცხენოსნური სახეობა; 9. საფეხბურთო კლუბ "ჰამბურგის" ჰოლანდიელი თავდამსხმელი; 11. გერმანიის საფეხბურთო ნაკრების ნახევარმცველი; 13. ყოფილი კანადელი ჰოკეისტი და მწვრთნელი; 16. ფინელი ავტომრბოლელი, ფორმულა-1-ის პილოტი; 17. ჰელსინკის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი თბილისელი ძალოსანი; 18. იტალიის საფეხბურთო კლუბი სერია B-ში; 21. უიარაღოდ თავდაცვის იაპონური სისტემა; 24. მექსიკის საფეხბურთო ნაკრების მწვრთნელი 2010 წლის მუნდიალზე; 26. სლოვაკეთის საფეხბურთო ნაკრების მთავარი მწვრთნელი; 27. "ფიორენტინას" ფრანგი მეკარე.

**პასუხები იხილეთ „ლელოს" მომდევნო ნომერში**

**შეადგინა ლალი ჭიჭინაძემ**

გვერდი მომზადებულია თენგიზ თომაშვილის პროექტით

ჭადრაკი

## მდიდარს ართმევს, ღარიბს აძლევს...

გოლო დროს საქართველოს მოჭადრაკე ქალებს უცნაური რამ დასჩემდათ: შარშან ევროპის გუნდურ ჩემპიონატზე ასპარეზობის ფავორიტ რუსეთის ნაკრებს მოუგეს, მაგრამ საშუალო დონის აზერბაიჯანელ დიდოსტატებთან ქულა დაკარგეს და ჩემპიონატის ოქროს მედალიც. ამას წინათ ხანტი-მანსიისკში მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადაზე ჩინეთის უძლიერეს გუნდს სძლიეს, მაგრამ სერბებთან წააგეს, რითაც ვერცხლის მედლებს ვერ შესწვდნენ. არადა, ყველა დაფაზე ჩვენებურთა რეიტინგი და ოსტატობა ბევრად აღემატებოდა მეტოქისას. ერთმა გულშემატკივარმა მწარედ იხუმრა კიდეც: ჩვენი ქალთა გუნდი არსენასავით მდიდარს ართმევს და „ღარიბებს" ქულებს ურიგებსო.

გვეგონა, ამ უცნაურობას პლოვდივში ევროპის საკლუბო ჩემპიონატზე მაინც ავცდებოდით. სამწუხაროდ, ჩვენი ვარაუდი არ გამართლდა. შარშანდელმა ბრინჯაოს პრიზიორმა „სამაიამ" ზედიზედ სამი მატჩი მოიგო: სძლია ტურნირის რეიტინგფავორიტ მონაკოს „მონტე კარლოს", ბულგარეთის „ლოკომოტივს", ერევნის „მიკას" და დაუზავდა კრასნოტურინსკის AVS-ს. მეხუთე ტურში ვერაფერი გააწყო, რეიტინგებით თუ ვიმსჯელებთ, თანაბარი ძალის სანკტპეტერბურგელებთან და სასტიკი მარცხი იწვნია 0,5:3,5, გუშინ ბოლოსწინა ტურში კი საშუალო დონის „გიპროორეჩტრანსთან" დათმო (1,5:2,5) პაექრობა: როგორც მოსალოდნელი იყო, პირველ დაფაზე ევროპის ჩემპიონი **ნატალია ჟუკოვა** (უკრაინა, 2499) და ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონი **მაია ჩიბურდანიძე** (2500) დაზავდნენ, მეორე დაფაზე **ლელა ჯავახიშვილმა** (2451) თეთრებით მონღოლ **ბათჰუიაგ მონგონთუულს** (2412) აჯობა. წარმატების იმედი მომდევნო ორ დაფაზე ჩაგვეფუშა, სადაც ჩვენებურებს რეიტინგში, ოსტატობასა და ტიტულებში მეტოქეებთან დიდი უპირატესობა ჰქონდათ: **სალომე მელია** (2439) **ელენა ზაიაცს** (2407), ხოლო **ნინო ხურციძე** (2435), თანაც თეთრებით, **მარია ფომინიხს** (2305) დანებდა.

დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: AVS (რუსეთი)-„პეტერბურგი" (რუსეთი) 1:3, „მიკა" (ერევანი) — „მონტე-კარლო" (მონაკო) 1:3, „ლოკომოტივი" (ბულგარეთი)-„აშდოდი" (ისრაელი) 2:2, „ფიშერ კიეტი" (იტალია)-„ფოლკსბანკი" (გერმანია) 1:3, ბას ბელგრადი-„კომარნო" (სლოვაკეთი) 3,5:0,5, „ჰერცლია" (ისრაელი)-„ოსლო" (ნორვეგია) 3:1.

ამრიგად, 6 ტურის შემდეგ 9-9 ქულით „მონტე კარლო" (17,0) და „პეტერბურგი" (16) მეწინავეობენ. თითო ქულით ნაკლები აქვთ „გიპროორეჩტრანსს" (15,5) და AVS-ს (13), 7-7 ქულით მეხუთე-მეშვიდე ადგილებზე არიან „მიკა", „ლოკომოტივი" და სამაია".

დღეს ბოლო ტურში ერთმანეთს ხვდებიან: „მონტე კარლო"- AVS, „გიპროორეჩტრანსი"-„პეტერბურგი", „ლოკომოტივი"-„მიკა", „სამაია"-ბას ბელგრადი, „ფოლკსბანკი"-„ოსლო", „კომარნო"-„ჰერცლი", „აშდოდი"-„ფიშერ კიეტი". წარმატების შემთხვევაში ქართველ დიდოსტატებს ბრინჯაოს მოპოვების თეორიული შანსიღა შერჩათ.

## პალკიდიკი, დღე მესამე

საბერძნეთში 8-18 წლის მოჭადრაკეთა მსოფლიოს პირველობაზე გუშინ მესამე ტურის შეხვედრები გაიმართა. გაუწყებთ ქართველ გოგონათა და ვაჟთა შედეგებს:

**8-წლიანები:** ლუკა ობოლაძე-ფელიქს ბლოჰბერგერი (ავსტრია) 1:0, სეო ჟანბინი (კორეა)-თამარ ესაძე 0:1.

**10-წლიანები:** ჯეფრი სიონგი (აშშ)-აკაკი ახვლედიანი 1:0, ნატა ჯიბუტი-ლილი შიმონი (უნგრეთი) 1:0.

**12-წლიანები:** ნიკა ლვამბერია-იონათან ბაკალჩუკი (ისრაელი) 1:0, ნინო ხომერიკი-იულია ოსმაკი (უკრაინა) 0:1, მარიამ ჯავახიშვილი-სიმონა ლაკინსკა (მაკედონია) 1:0.

**14-წლიანები:** იოჰანეს კარო (გერმანია)-ირაკლი ბერაძე 0:1, იე თინგ ლეი (ჩინეთი)-ანა შამათავა 1:0.

**16-წლიანები:** ნიკა ვოლკოვი-თიბაულთ რიალი (ბელგია) 1:0, სალო ნეუჰაუსერი (საფრანგეთი)-მერი არაბიძე 0:1, ანია შულცი (გერმანია)-მარიამ დანელია 1:0, ნათია ჯალაბაძე-ლინდა ასტრომი (შვედეთი) 1:0, ნანი უნაფქოშვილი-ნატაშა მაბილე (ბელგია) 0.5:0.5.

**18-წლიანები:** გიორგი ნიკოლაშვილი-უპადია ანვეში (ინდოეთი) 0.5:0.5, სალაჰედინ ალნამი (ლიბია)-ბექა ფიფია 0.5:0.5, სუსანა სარგსიანი (სომხეთი)-ქეთი ნანალაშვილი 0:1.

ვაჟა დანელია

რაგბი. ლეგიონერები



ბურთით მამუკა გორგოძე, მარცხნივ გიორგი ჟღენტი

## პლეი ოფისთვის ბრძოლას სამი განაგრძობს

ევროპული საკლუბო თასების ორი ტურის გამო გამოწვეული შესვენების შემდეგ საფრანგეთის ჩემპიონატი მე-10 ტურის შეხვედრებით განახლდება. შეგახსენებთ, რომ ლიდერთა ექვსეულში არიან და პლეი ოფში მოსახვედრად იბრძვიან ქართველ მორაგბეთა გუნდები „მონპელიე", „ტულონი" და „კლერმონი".

ყველაზე ქართული ფრანგული გუნდი, **მამუკა გორგოძის, გიორგი ჟღენტის, გიორგი ჩხაიძის, გოდერძი შველიძისა** და **მიხეილ ნარიაშვილის** „მონპელიე" 27 ქულით მეორე ადგილზეა და ლიდერს, პარიზულ „მეტრო რასინგს" ერთი ქულით ჩამორჩება.

„მონპელიე" მე-10 ტურში შინ ეთამაშება „ბურგუენს", რომელიც 10 ქულით სატურნირო ცხრილში ბოლო ადგილზეა. ჩვენებურთა გუნდს წლეულს ბრწყინვალე სეზონი აქვს. მონპელიელებმა ჩემპიონატის ცხრა თამაშიდან ექვსი მოიგეს და ამას თითქმის სათადარიგო შემადგენლობით, „ემლინ ჩელენჯ კაპზე" ორი გამარჯვება მიუმატეს, რაც იმის დასტურია, რომ გუნდს დიდი პოტენციალი გააჩნია.

მონპელიელთა მწვრთნელებმა **ფაბიენ გალტიემ** და **ერიკ ბეშუმ** „ბურგუენთან" მატჩისთვის გუნდში დააბრუნეს ლიდერები - გორგოძე, **ფულენსე უედრაოგი, ჟულიენ ტომა** და **ფრანსუა ტრინ-დუკი,** რომლებიც ევროთასების მსვლელობისას ისვენებდნენ. „მონპელიეს" წინასამატჩო განაცხადში არიან ასევე შველიძე და ჟღენტი. ჩხაიძე შემადგენლობაში ისევ არ შეიყვანეს.

„მონპელიესგან" განსხვავებით, „ბურგუენს" წლეულს ისე უჭირს, როგორც არასდროს. გუნდის მთავარი პრობლემა ისაა, რომ ერთბაშად 16 მოთამაშე ჰყავს დაშავებული, რამაც მუდამ ლიდერებში მყოფი გუნდი ურთულეს მდგომარეობაში ჩააგდო.

შარშანდელ სეზონში „მონპელიემ" მეტოქე ორჯერ დაამარცხა: შინ - 34:27, სტუმრად - 23:20.

Planetrugby-ს აზრით, „მონპელიეს" უპირატესობა იმდენად დიდი იქნება, რომ თამაში ცალკარა გამოვა.

ურთულესი გამოცდა ელის სტუმრად „სტად ფრანსესთან" **დავით ქუბრიაშვილის** „ტულონს", რომელსაც „მონპელიეს" მსგავსად 27 ქულა აქვს და მეოთხე ადგილზეა.

პარიზულ გუნდს მეორე სეზონია, ფინანსური პრობლემები აქვს, რაც გუნდის შედეგებზეც აისახა. „სტად ფრანსემ", რომელიც ეროვნულ ჩემპიონატში 23 ქულით მე-9 ადგილზეა, ევროთასებზე ორი შთამბეჭდავი გამარჯვება მოიპოვა, რამაც მოთამაშეებს საბრძოლო შემართება და საკუთარი შესაძლებლობების რწმენა დაუბრუნა.

მართალია, „ტულონი" წლეულს წარმატებით ასპარეზობს და მის მულტიმილიონერ მფლობელ **მურად ბურჯელალს** „ჰაინეკენის" თასის მოგების ამბიციაც გაუჩნდა, მაგრამ ყოველივე ეს მეტწილად ინგლისელი მგეზავის **ჯონი ვილკინსონის** ბრწყინვალე თამაშის დამსახურებაა. ტულონელები, შარშანდლისგან განსხვავებით, სწორედ გამართული, გუნდური თამაშით ველარ გამოირჩევიან.

ჩვენებურის გუნდის მწვრთნელებმა უნდა სცადონ, ეს პრობლემა აღმოფხვრან, რადგან, ერთხელაც იქნება, კოკა წყალს აღარ მოიტანს. პარიზელებთან მატჩში ვერ ითამაშებენ ტრავმირებულები **პიერ მიონი, პოლ სასკი** და **ფოტუ აულუა,** „სტად ფრანსე" კი თითქმის ოპტიმალური შემადგენლობით ასპარეზებს. ქუბრიაშვილი სათადარიგოთა შორისაა.

შარშანდელ სეზონში „სტად ფრანსემ" ტულონში 22 ქულით მოიგო, შინ კი 18:21 წააგო.

Planetrugby-ს პროგნოზით, თანაბარი თამაში იქნება და მინიმალური სხვაობით „სტად ფრანსე" მოიგებს.

**დავით ზირაქაშვილის** „კლერმონს", რომელიც 24 ქულით მე-6 ადგილზეა, არანაკლები ბრძოლის გადატანა მოუწევს ბასკეთში **დიმიტრი იაშვილის** „ბიარიცთან". ბასკური გუნდი „ვულკანებს" ერთი ქულით ჩამორჩება და მე-7 ადგილზეა.

„ბიარიცი" ნელ-ნელა ძალებს იკრებს, რისი დასტურიც ხუთმატჩიანი წაუგებელი სერიაა. გუნდთან ერთად მძლავრობს ქართული წარმოშობის ცხრა ნომერი **იაშვილიც,** რომელიც ამ პოზიციაზე, კლერმონელ **მორგან პარასთან** ერთად, დღესდღეობით საფრანგეთის ნაკრების წევრობის ერთ-ერთი ყველაზე რეალური კანდიდატია.

„კლერმონის" ბოლო ორი სტუმრობა ბიარიცში წარუმატებელი გამოდგა. ჩემპიონები წლეულს ჩვეულ ფორმაში არ არიან და სტუმრად მხოლოდ ერთი გამარჯვება იზეიმეს, ისიც ერთ-ერთ აუტსაიდერ „ბურგუენთან".

ჩვენებურის გუნდს ტრავმების გამო **მარიო ლედესმა, მარიუს ჟუბერი** და **ტიი პაულუ** დააკლდებიან. სამაგიეროდ, ტრავმა მოიშუშეს და მწყობრში არიან **ჟულიენ ბონერი, ორელიან რუჟერი, ლიონელ ფორი** და **ალექსანდრ ლაპანდრი.**

სერიოზული დანაკლისი აქვს „ბიარიცსაც", მხარი დაიზიანა და „ვულკანებს" ვერ დაუპირისპირდება მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო რვა ნომერი **იმანოლ არინორდოკი.**

მიუხედავად ამისა, Planetrugby ფიქრობს, რომ მასპინძლები მინიმუმ ხუთი ქულის სხვაობით მოიგებენ.

საინტერესო იქნება სატურნირო ცხრილის მეორე ნახევრის ბინადრების, **აქვსენტი გიორგაძის** და **ანტონ ფეიქრიშვილის** „კასტრისა" და **ბექა შეყლაშვილის** „აჟენის" დაპირისპირება.

კასტრელები წლეულს სტაბილურები ვერ არიან, თუმცა ევროთასებზე მიღწეულმა წარმატებამ შესაძლოა გუნდის განწყობა შეცვალოს. მით უფრო, რომ ტრავმა მოიშუშა და შესაძლოა, გუნდის ძირითად შემადგენლობაში ვიხილოთ საქართველოს ნაკრების შერკინების კვაჭი აქვსენტი გიორგაძე. ფეიქრიშვილი ტრავმირებულია.

წლეულს პირველად ითამაშებს „აჟენის" ძირითად შემადგენლობაში შერკინების ბურჯი ბექა შეყლაშვილი. მისი გუნდი სატურნირო ცხრილში ბოლო ადგილზეა და დიდი ძალისხმევა დაჭირდება, ელიტაში ადგილი რომ შეინარჩუნოს.

Planetrugby ვარაუდობს, რომ „აჟენი" მეტოქეს სტუმრად თავს არ შეაკლავს და ძალებს მომავალ ტურში უშუალო კონკურენტ „ლა როშელთან" შინ თამაშისთვის შეინახავს. ამიტომ „კასტრი" მინიმუმ 12 ქულით მოიგებს.

სატურნირო ცხრილის მეორე ნახევარში, მე-11 ადგილზეა **დავით ხინჩაგიშვილისა** და **ვასილ კაკოვინის** „ბრივი", რომელიც სტუმრად ეთამაშება „ლა როშელს", რომელიც მე-12 ადგილზეა. ბრიველები დივიზონის დებიუტანტის დამარცხებით საგრძნობლად გაიუმჯობესებენ სატურნირო მდგომარეობას, თუმცა საკმაოდ გაუჭირდებათ.

ხინჩაგიშვილი სათადარიგოთა შორისაა, კაკოვინი განაცხადში არ არის.

Planetrugby-ს პროგნოზით, „ბრივი" მინიმუმ ექვსი ქულით მოიგებს.

### X ტური

**მეტრო რასინგი-ბაიონი, ტულუზი-პერპინიანი, ლა როშელი-ბრივი, მონპელიე-ბურგუენი, ბიარიცი-კლერმონი, კასტრის-აჟენი, სტად ფრანსე-ტულონი**

**სატურნირო მდგომარეობა: 1. მეტრო რასინგი - 28 ქულა, 2. მონპელიე - 27, 3. ტულუზი - 27, 4. ტულონი - 27, 5. პერპინიანი - 26, 6. კლერმონი - 24, 7. ბიარიცი - 23, 8. ბაიონი - 23, 9. სტად ფრანსე - 23, 10. კასტრი - 19, 11. ბრივი - 17, 12. ლა როშელი - 11, 13. ბურგუენი - 10, 14. აჟენი - 7.**

ბესიკ ჯანგავაძე

რაგბი. ITM-ის თასი

## ქენთერბერი და ვაიკატო პლეი ოფში

ITM-ის თასის რეგულარული გათამაშების ბოლო, XIII ტური ლიდერების, „ვაიკატოსა" და „ქენთერბერის" დაპირისპირებით გაიხსნა. ვაიკატოელებმა, რომლებიც აქამდე მესამე ადგილზე იყვნენ, პირველადგილოსანი მეტოქე შინ 26:6 დაამარცხეს და მეორე ადგილზე გადაინაცვლეს.

მასპინძლები უპირატესობას თავიდანვე დაეუფლნენ და პირველი ტაიმი მშრალი ანგარიშით - 16:0 მოიგეს. ერთი ლელო **ალექს ბრედლიმ** გაიტანა, გარდასახვა **რენატა ტრენტის** ანგარიშზეა, რასაც კიდევ სამი საჯარიმო მიუმატა.

შესვენების შემდეგ ქენთერბერელთა მგეზავმა **კოლინ სლეიდმა** ორი საჯარიმოთი სხვაობა ათ ქულამდე შეამცირა, თუმცა ვაიკატოელი ფულბეკის **ანესი სოსენის** ლელომ მატჩის ბედი საბოლოოდ გადაწყვიტა.

„ქენთერბერი" 45 ქულით პირველ ადგილს ინარჩუნებს, „ვაიკატო" მას ერთი ქულით ჩამორჩება. თუმცა მათი უკან მოტოვების შანსი აქვს „ოკლენდს", რომელიც ამჟამად 40 ქულით მე-3 ადგილზეა და შინ „ტასმანს" ეთამაშება. ტასმანელები ამჟამად მე-11 ადგილზე არიან და მოტივაცია არ გააჩნიათ.

პლეი ოფში მოსახვედრად „ოკლენდმა" აუცილებლად უნდა მოიგოს. როგორც ოკლენდელთა მთავარმა მწვრთნელმა **მარკ ანსკომბემ** თქვა:

„ჩათვალეთ, რომ „ტასმანთან" მატჩი მეოთხედფინალური შეხვედრაა. ძალიან გაგვიმართლა, შინ რომ ვთამაშობთ, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. მეტოქის დასამარცხებლად ყველაფერი უნდა ვილონოთ".

„ოკლენდს" ტრავმების გამო ექვსი წამყვანი მოთამაშე აკლია, თუმცა გუნდმა თითქმის მთელი სეზონი მათ გარეშეც ძალიან მაღალ დონეზე ჩაატარა.

მართალია, „ტასმანი" მე-11 ადგილზეა, მაგრამ გუნდმა ბოლო ორი შეხვედრა მოიგო და ეცდება, რეგულარული გათამაშება ამაღლებულ ნოტზე დაასრულოს.

Planetrugby-ს პროგნოზით, „ოკლენდი" პლეი ოფში გასვლის შანსს ხელიდან არ გაუშვებს და მეტოქეს მინიმუმ შვიდი ქულით მოუგებს.

პლეი ოფში ვერ მოხვდა „ბეი ოფ პლენტი", რომელიც ბოლო ტურში სტუმრად დამარცხდა უმოტივაციო, მეათეადგილოსან „ნორთლენდთან" - 24:36. პირველი ტაიმი გარდამავალი უპირატესობით წარიმართა, თუმცა მასპინძლებმა მაინც იძალეს და ტაიმი სამი ქულის სხვაობით მოიგეს - 17:14.

„ნორთლენდმა" გადამწყვეტ უპირატესობას ბოლო ოც წუთში მიაღწია, როცა ექვსწუთიანი შუალედებით მეტოქეს სამი ლელო გაუტანა.

პლეი ოფში მოხვედრის შანსს ინარჩუნებენ „ველინგტონი" და „ტარანაკი". ორივე რეგულარული გათამაშების ბოლო ტურის შეხვედრებს სტუმრად გამართავს.

„ველინგტონი", რომელსაც 38 ქულა აქვს და მე-4 ადგილზეა, სტუმრად ითამაშებს მეშვიდეადგილოსან „საუთლენდთან". სამხრეთელებს 34 ქულა აქვთ და პლეი ოფში მოხვედრის თეორიულ შანსს ინარჩუნებენ, ანუ „საუთლენდმა" მეტოქე ისე უნდა დაამარცხოს, რომ ოთხი ლელო გაუტანოს და ერთი საპრემიო ქულაც ირგუნოს. ამასთან, ყველამ, ვინც სატურნირო ცხრილში მის წინაა, უნდა წააგოს.

მოვლენათა ასეთი განვითარება ნაკლებად სავარაუდოა, რადგან „საუთლენდს" რთული დროება დაეწყო. ბოლო სამი თამაში წააგო და ტრავმის გამო მგეზავი **პირი ვიპუც** გამოაკლდა. თანაც, სტატისტიკაც „ველინგტონის" მხარესაა. „საუთლენდმა" მეტოქე ბოლოს 2002 წელს დაამარცხა შინ - 22:20.

პლეი ოფის კიდევ ერთი პრეტენდენტი „ტარანაკი", რომელიც 37 ქულით მე-6 ადგილზეა, სტუმრად ეთამაშება მეთორმეტეადგილოსან „ნორთ ჰარბორს". ტარანაკელებს აუცილებლად ხუთი ქულის აღება სჭირდებათ. საგულისხმოა, რომ „ტარანაკის" მეტოქე ისე არასდროს დაუმარცხებია, რომ საპრემიო ქულაც რგებოდა.

„პლეი ოფში გასვლის რეალური შანსი გვაქვს. საამისოდ „ნორთ ჰარბორთან" ხუთი ქულა უსიკვდილოდ უნდა ავილოთ. ჩვენ ამის გაკეთება შეგვიძლია, მთავარია, პოტენციალი ბოლომდე გამოვიყენეთ," - თქვა „ტარანაკის" მთავარი მწვრთნელის თანაშემწე **ლეო კროულიმ.**

### XIII ტური

**ნორთლენდი-ბეი ოფ პლენტი 36:24, ვაიკატო-ქენთერბერი 26:6, საუთლენდი-ველინგტონი, ნორთ ჰარბორი-ტარანაკი, ოტაგო-მანავატუ, მანუკაუ-ჰოუქს ბეი, ოკლენდი-ტასმანი.**

**სატურნირო მდგომარეობა: 1. ქენთერბერი - 45 ქულა, 2. ვაიკატო - 44, 3. ოკლენდი - 40, 4. ველინგტონი - 38, 5. ბეი ოფ პლენტი - 37, 6. ტარანაკი - 37, 7. საუთლენდი - 34, 8. მანუკაუ - 29, 9. ჰოუქს ბეი - 28, 10. ნორთლენდი - 28, 11. ტასმანი - 20, 12. ნორთ ჰარბორი - 19, 13. მანავატუ - 13, 14. ოტაგო - 10.**

**29 ოქტომბერი, ნახევარფინალი**

**5 ნოემბერი, ფინალი**

ბესიკ ჯანგავაძე



სიტივენი სივივატუს ლელო

sport.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური სპორტი

● კრივი

# კლიჩკო ქურდთან იჩხუბებს



დერეკ ჩისორა

სუპერმძიმე წონაში WBO-სა და IBF-ის ჩემპიონ **ვლადიმერ კლიჩკოს** მორიგი სატიტულო ბრძოლა 2010 წლის 11 დეკემბერს ელის. მისი მეტოქე ბრიტანელი **დერეკ ჩისორა** იქნება. მაგრამ ეს შეხვედრა შეიძლება არ შედგეს იმ მიზეზით, რომ ჩისორა ქურდობასა და ადამიანზე თავდასხმაშია ბრალდებული. მოკრივემ უკვე აღიარა დანაშაული და ექვსთვიანი პატიმრობა ემუქრება.

თუმცა ინტერნეტგამოცემა Fightnews წერს, რომ სავარაუდოდ, ჩისორა თავიდან აიცილებს ციხეს (ბრიტანელს, შესაძლოა, ფულადი ჯარიმა აკმარონ) და შეძლებს კლიჩკოსთან საჩემპიონო ბრძოლის გამართვას.

ინციდენტი, რის გამოც ჩისორას ქურდობასა და ადამიანზე თავდასხმაში წაუყენეს ბრალდება, 2010 წლის 28 მაისს მოხდა. ამასთან, არ აზუსტებენ რა გადახდა თავს ბრიტანელ მოკრივეს.

კლიჩკოსა და ჩისორას ბრძოლა გერმანიის ქალაქ მანჰაიმში გაიმართება.

● ამბები

**კალათბურთი**

## ხელფასები 33 პროცენტით შემცირდება?

ლიგის კლუბებთან ორდღიანი მოლაპარაკებების შემდეგ ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის კომისარმა **დევიდ სტერნმა** განაცხადა, რომ ახალ კოლექტიურ ხელშეკრულებაში NBA-ის ხელმძღვანელობას სახელფასო ბიუჯეტის ერთი მესამედით შემცირების იმედი აქვს.

ლიგასა და მოთამაშეების შორის მოქმედი კოლექტიური ხელშეკრულება 30 ივნისს იწურება და ჯერჯერობით სტერნი ვერ ხედავს მოლაპარაკებებში პროგრესს. არადა, NBA-ს მთელი რიგი პუნქტების გადახედვის იმედი აქვს. კერძოდ, კლუბების მფლობელები დიდ ფინანსურ ზარალში არიან. წინასწარი შეფასებით, ამ სეზონში მათი დანაკარგი 350 მილიონი დოლარი იქნება.

აღსანიშნავია, რომ დღეისთვის ხელფასებსა და სხვადასხვა ბონუსზე კლუბები 2.1 მილიარდ დოლარს ხარჯავენ და ამ თანხის 750-800 მილიონით შემცირება სურთ. სწორედ ამ საკითხში უთანხმოების გამო ემუქრება მომავალ ზაფხულს NBA-ს ლოკაუტი, რომელიც შეიძლება იმდენ ხანს გაგრძელდეს, რომ 2011-12 წლების სეზონიც გააუქმონ.

**ავტოსპორტი**

## მენსელს გუნდი აღარ ჰყავს

მსოფლიოს 1992 წლის ჩემპიონმა **ნაიჯელ მენსელმა** გააუქმა საკუთარი სარბოლო გუნდი - Beechdean Mansell, რომელსაც მისი ორი მფლობელის სახელი ერქვა. გათავისუფლებულია ყველა თანამშრომელი, მათ შორის მენეჯერი **ჰანს მილბაუერი**, მანქანა Ginetta-Zytek გასაყიდად გამოიტანეს.

გუნდი, რომლის წევრები იყვნენ ბრიტანელი პილოტის ვაჟები, ლე მანის სერიაში გამოდიოდა. მისი საუკეთესო შედეგი იყო ჰუნგარორინგზე LMP1-ში კლასში გამარჯვება, ხოლო „ლე მანის 24-საათიან რბოლაში" ბრიტანელები ნაადრევად გამოეთიშნენ ბრძოლას. იმ დროს საჭესთან 56 წლის ნაიჯელი იჯდა.

გუნდების ხელმძღვანელთა მხრიდან არანაირი კომენტარი არ გაკეთებულა.

**ჭადრაკი**

## თამაში 525 დაფაზე

ისრაელელმა დიდოსტატმა **ალიკ გერშონმა** გინესის რეკორდი დაამყარა ერთობლივი თამაშის სეანსში მონაწილეთა რაოდენობით.

მოჭადრაკე ერთდროულად 525 მეტოქეს ეთამაშებოდა, ამასთან, პარტიათა 94 პროცენტი მოიგო. ხუთშაბათს დაწყებული სეანსი მთელი ღამე გაგრძელდა. თამაში თელ-ავივში იცხაკ რაბინის მოედანზე მიმდინარეობდა და მას გინესის რეკორდების წიგნის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ, რომელთაც დააფიქსირეს ახალი რეკორდი.

წინა რეკორდი ირანელმა დიდოსტატმა **მორთეზე მაჰჯუბმა** დაამყარა, რომელიც გასული წლის აგვისტოში ერთდროულად 500 დაფაზე თამაშობდა.

**ჩოგბურთი**

## როჯერი ცხრაასიანია

სტოკჰოლმში მიმდინარე ტურნირზე კარიერაში მნიშვნელოვანი მომენტი დაუდგა მსოფლიოს მეორე ჩოგან **როჯერ ფედერერს**. შვეიცარიელმა მესამე წრეში ორ სეტში გაანადგურა ამერიკელი **ტეილორ დენტი** - 6:1, 6:2. ეს მატჩი იმით იყო მნიშვნელოვანი, რომ როჯერმა პროფესიულ დონეზე მე-900 მატჩი ჩაატარა. აქედან 727 შეხვედრა ფედერერის გამარჯვებით დასრულდა.

*„ტურში პირველი მატჩი 1998 წელს ჩავატარე, ახლა კი მეცხრაასედ გავედი კორტზე - ეს ფანტასტიკაა! მოგებებისა და წაგებების ბრწყინვალე სტატისტიკა მაქვს. უკეთეს კარიერას ვერც ვინატრებდი. სასიამოვნოა საიუბილეო თამაშის მოგება. რაც შეეხება მატჩს, ეს იყო კარგი ჩოგბურთის ერთი საათი. თამაში გამომივიდა და რაც მთავარია, თითქმის არ დამიშვია შეცდომა",* - თქვა მატჩის შემდეგ ფედერერმა.

## ნიუ ჰევენი მხოლოდ ქალებისთვისაა

ამიერიდან ნიუ ჰევენის ტურნირი მხოლოდ ქალებს შორის ჩატარდება. ეს შეჯიბრება წინ უძღვის ამერიკის ღია პირველობას და სწორედ ეს გახდა მამაკაცთა შეჯიბრის გაუქმების მიზეზი. ორგანიზატორები ყოველთვის ვერ ახერხებდნენ ცნობილი ჩოგბურთელების მიწვევას.

ნიუ ჰევენის ტურნირის ახალი სპონსორი გახდა იელის უნივერსიტეტი, რომელთანაც სამწლიანი კონტრაქტი გაფორმდა.

*„ეს ჩვენთვის უმნიშვნელოვანესი მოვლენაა, რადგან ნიუ ჰევენი კიდევ სამი წლით დარჩება პროფესიული ჩოგბურთის კალენდარში",* - განაცხადა ტურნირის დირექტორმა **ენ ვორკესტერმა**.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

● ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

# ეშმაკებს ბროდომ უშველა

აღმოსავლეთი კონფერენციის მოულოდნელი აუთსაიდერის „ნიუ ჯერსის" სამწვრთნელო შტაბი შეტევის ხაზში ოპტიმალური სამეულების ძებნაშია. „მონრეალთან" მატჩში **არნო** და **ლანგენბრუნერი** მესამე ტრიოში გადაისროლეს, პირველი სამეული კი **პარიზემ, ზაიაცმა** და **ზუბრუსმა** შეადგინეს. ამ სვლამ გაამართლა - სწორედ ამ ფორვარდების კომბინაციას მოჰყვა პარიზეს პირველი გოლი. თუმცა სხვა მხრივ „ეშმაკებს" პირველ პერიოდში თავი არ გამოუჩენიათ და უპირატესობას „მონრეალი" ფლობდა. მაგრამ იმ დღეს ბრწყინვალედ გამოიყურებოდა „ნიუ ჯერსის" ლეგენდარული მეკარე **მარტინ ბროდო** - ვეტერანმა სეზონში პირველი „შათაუტი" შეასრულა და დღის პირველი ვარსკვლავად დასახელდა.

მეორე პერიოდში თამაში გათანაბრდა, რაც „კანადიენსის" რიგებში ოთხი გაძევების ბრალი იყო. სტუმრები მეტ დროს მეტოქის ზონაში ატარებდნენ და ხშირად აწუხებდნენ მეკარე **პრაისს**. თუმცა ბროდოს მსგავსად, მასაც გამოსდიოდა თამაში. პერიოდი წესით 1:0 უნდა დასრულებულიყო, მაგრამ ბოლოს წამებზე „მონრეალს" არ გაუმართლა - არნოს დარტყმამ რიკოშეტის გამო შეიცვალა მიმართულება და მეკარემ რეაგირება ვერ მოასწრო. მესამე პერიოდში კი სტუმრების კონტრშეტევას მცველ **ტაორმინას** გოლი მოჰყვა და „მონრეალმა" წინააღმდეგობა შეწყვიტა.

სეზონში პირველი მატჩი ჩაატარა საკუთარ მოედანზე „ბოსტონმა" და იოლად დაამარცხა ფავორიტი „ვაშინგტონი". შეხვედრის მთავარი ვარსკვლავი გახდა მეკარე **ტიმ ტომასი**, რომელმაც საბოლოოდ დაისაკუთრა ძირითადი მეკარის სტატუსი. გარდა ამისა, ბოსტონელ გულშემატკივრებს ახარებს ახალბედა **ნათან ჰორტონის** თამაში - მის ანგარიშზე ხუთ მატჩში ოთხი გოლი მოდის. ცუდად არ გამოიყურება ლიგის დებიუტანტი **ჯორდან კარონი**, რომელიც უკვე ორი შაიბით იწონებს თავს. „დათვებმა" ზედიზედ მეოთხე მატჩი მოიგეს და ცხრილის ზემოთ მიიწევენ.

რთულ მდგომარეობაშია „რეინჯერსი", რომელმაც ერთბაშად სამი ლიდერი დაკარგა - **გაბორიკი, დრური** და **პროსპალი**. მიუხედავად ამისა, ნიუიორკელები სტუმრად გაუსწორდნენ „ტორონტოს", რომელიც ორი დღის წინ ლიდერობდა რეგულარულ ჩემპიონატს.

მეხუთე ცდიდან მოიგო პირველი გასვლითი შეხვედრა „ანაჰაიმმა". „იხვების" მატჩი „ფილადელფიასთან" შედეგიანად დაიწყო - მეტოქეებმა სწრაფად გაცვალეს შაიბები. თავიდან კარგი შორეული დარტყმა გამოუვიდა **ვიშნევსკის**, შემდეგ კი **ჰარტნელმა** ახლო მანძილიდან გაიტანა გოლი. სხვათა შორის, უნდა აღინიშნოს „ანაჰაიმის" მეკარის **კერტის მაკელჰინის** სადებიუტო მატჩი, რომელმაც **ჰილერი** შეცვალა. 27 წლის გოლკიპერი კარგად გამოიყურებოდა და მატჩის მეორე ვარსკვლავი გახდა. პირველ გმირად კი **გეტცლაფი** აღიარეს, რომელმაც საფინალო სირენამდე წუთითა და 46 წამით ადრე გაუტანა **ბობროვსკის**. არბიტრმა ვიდეორეფერის დახმარებას მიმართა და ბოლოს „დაქსის" კაპიტანს გოლი ჩაუთვალა.

ვიდეორეფერი გამოიყენეს „ტამპა ბეისა" და „აილენდერსის" მატჩის ოვერტაიმში. ძირითადი დრო 2:2 დასრულდა, დამატებით ხუთ წუთში კი თავი გამოიჩინა ნიუიორკელთა ფორვარდმა **მეტ მოულსონმა**. მისი დარტყმა **დენ ელისმა** დაიჭირა, მაგრამ თავისი ხელით შეიტანა შაიბა კარში. თამაში არ გაჩერებულა და მსაჯებს მომდევნო პაუზის ლოდინმა მოუწიათ მომენტის შესამოწმებლად. არბიტრები 10 წუთის განმავლობაში ბჭობდნენ და ბოლოს მაინც მიანიჭეს გამარჯვება „კუნძულელებს", რომლებისთვისაც ეს ოვერტაიმში მოგებული ზედიზედ მეორე შეხვედრა იყო. აღმოსავლეთ კონფერენციაში ამ გუნდის ლიდერობა ერთ-ერთი მთავარი მოულოდნელობაა.

დასავლეთში დამაჯერებლად გამოიყურება „დალასი", რომელმაც „ფლორიდა" გაანადგურა - 4:1. ამჯერად ჩააგდო თამაში გასული კვირის საუკეთესო მოთამაშე **ტომაშ ვოკოუნმა**. „პანტერების" ჩეხი მეკარე მესამე პერიოდში შეცვალეს. მის ნაცვლად გამოსულ **კლემენსენს** გოლი არ გაუშვია, მაგრამ ამან „ფლორიდას" ვერ უშველა.

ძალიან დაძაბული გამოვიდა „ნეშვილისა" და „პიტსბურგის" შეხვედრა, სადაც ასევე ოვერტაიმის ჩატარება გახდა საჭირო. „მტაცებლები" სამჯერ გავიდნენ წინ და „პინგვინებმა" სამივეჯერ შეძლეს ანგარიშის გათანაბრება. დამატებით დროში კი **კრის ლეტანგის** დარტყმამ სტუმრებს გამარჯვება მოუტანა. ლეტანგმა ამ გოლამდე ორი შედეგიანი პასით გამოიჩინა თავი. ასევე სამი ქულა მოიპოვა **სიდნი კროსბიმ** - ორი გოლი და ერთი პასი. „პიტსბურგი" თანდათან გამოვიდა სასტარტო კრიზისიდან და სტაბილურად მიიწევს ცხრილის ზემოთ.

ასევე მინიკრიზისი დაასრულა „სან ხოსემ", რომელმაც სტუმრად „კოლორადო" დაამარცხა. „ზვიგენებს" ძალიან დაეხმარა რიცხობრივი უპირატესობის კარგი რეალიზაცია. განსაკუთრებით მეორე პერიოდში, როცა **პაველსკიმ ჰიტლისა** და **მარლოს** პასებით ორჯერ აიღო **ანდერსონის** კარი.

კარგად გამოიყურება „მინესოტა", რომელიც ზედიზედ მეორე მატჩია იმარჯვებს. თანადივიზიონელი „ვანკუვერის" განადგურების შემდეგ, „ველურებმა" „ედმონტონსაც" მოუგეს - 4:2. „მინესოტას" წარმატება პირველ პერიოდში მისი ყველაზე შედეგიანი ფორვარდის - **კაილ ბროძიაკის** დუბლმა განაპირობა. „ედმონტონის" ფანები კვლავაც **ტეილორ ჰოლის** პირველი შაიბის მოლოდინში არიან. წლევანდელი დრაფტის პირველი ნომერი ძალიან სუსტად გამოიყურება და ჯერჯერობით მის ანგარიშზე ერთი საგოლე პასი მოდის.

ამ წაგების შემდეგ „ედმონტონმა" შარშანდელი სეზონიდან მისთვის კარგად ნაცნობი ბოლო ადგილი დაიკავა. ამას „ფინიქსის" „ლოს ანჯელესზე" გამარჯვებამაც შეუწყო ხელი. „კოიოტებმა" „კინგზის" სამმატჩიანი მოგებათა სერია შეწყვიტეს. მატჩის გმირი აღმოჩნდა ჰეთ-თრიკის ავტორი **ლი სტემპნიაკი, ედ ჟოვანოვსკიმ** კი სამი საგოლე პასი ჩაიწერა აქტივში.

**ბოსტონი-ვაშინგტონი 4:1**
1:0, 2:0, 1:1

**გოლები:** 1:0 რაიდერი-2 (პ. ბერჟერონი-1, სეგუინი-2), 2:0 კარონი-2 (პ. ბერჟერონი-2, ჰანვიკი-1), 3:0 ჰორტონი-4 (რეკი-3, ლუჩიჩი-3), 3:1 ჩიმერა-2, 4:1 ხარა-1 (ბოიჩუკი-3, ველერი-2).

**დეტროიტი-კალგარი 4:2**
1:2, 1:0, 2:0

**გოლები:** 0:1 ბეკლუნდი-1 (გლენკროსი-1, სერიჩი-2), 1:1 ზეტერბერგი-1 (დაციუკი-2, ჰოლმსტრიომი-1), 1:2 ბეკლუნდი-2 (ბ. მორისონი-5, გლენკროსი-2), 2:2 ლიდსტრიომი-1 (დაციუკი-3, ზეტერბერგი-5), 3:2 ფრანცენი-4 (ბერტუცი-6, ფილპულა-3), 4:2 ბერტუცი-2.

**ფილადელფია-ანაჰაიმი 2:3**
1:2, 1:0, 0:1

**გოლები:** 0:1 ვიშნევსკი-1 (პერი-4, გეტცლაფი-7), 1:1 ჰარტნელი-1 (ლეინო-4, მეზაროში-1), 1:2 ბლეიკი-1 (სელიანე-4, ლილია-1), 2:2 ჟირუ-3 (მ. კარლი-3, ქობურნი-1), 2:3 გეტცლაფი-3 (ბელეკსი-2, პერი-5).

**ტორონტო-რეინჯერსი 1:2**
0:2, 0:0, 1:0

**გოლები:** 0:1 ფედოტენკო-1 (სტეპანი-2), 0:2 ანისიმოვი-2 (როჟსივალი-2, კელეჰანი-3), 1:2 კ. არმსტრონგი-1 (მაკარტური-2, გრაბოვსკი-4).

**ფლორიდა-დალასი 1:4**
0:2, 0:2, 1:0

**გოლები:** 0:1 ოტი-1 (ბენი-1, გროსმანი-2), 0:2 უენდელი-1 (სკრასტინსი-1, ბენი-2), 0:3 ნილი-4 (ლ. ერიქსონი-2, რობიდასი-2), 0:4 უენდელი-2 (ბენი-3, დელეი-3), 1:4 უეისი-1 (ფროლიკი-1).

**მონრეალი-ნიუ ჯერსი 0:3**
0:1, 0:1, 0:1

**გოლები:** 0:1 პარიზე-2 (ზაიაცი-3, ზუბრუსი-2), 0:2 არნოტი-3 (ზუბრუსი-3, ლანგენბრუნერი-4), 0:3 ტაორმინა-2 (არნოტი-2).

**ტამპა ბეი-აილენდერსი 2:3 (ო)**
1:1, 1:1, 0:0, 0:1

**გოლები:** 0:1 გრაბნერი-2 (ნიდერაიტერი-1, უეიტი-5), 1:1 ბერგენჰაიმი-2 (პურსელი-5, ჰედმანი-4), 2:1 სენტ ლუისი-2 (სტემკოსი-6, ლუნდინი-1), 2:2 პარენტო-2 (ვიშნიევსკი-5, ტავარესი-2), 2:3 მოულსონი-4 (ნილსენი-4, მოტო-3).

**ნეშვილი-პიტსბურგი 3:4 (ო)**
1:0, 1:2, 1:1, 0:1

**გოლები:** 1:0 ლეგუანდი-2 (ტუტუ-2, ჯ. უორდი-2), 1:1 მალკინი-3 (კომრი-4, ლეტანგი-5), 2:1 ფრანსონი-1 (ბუიონი-1, ერატი-1), 2:2 კროსბი-5 (კუნიტცი-3, ჰათჩინსონი-1), 3:2 ჰორნკვისტი-3 (უილსონი-3, ერატი-2), 3:3 კროსბი-6 (მალკინი-5, ლეტანგი-6), 3:4 ლეტანგი-2 (კროსბი-5, ტაილერ კენედი-2).

**კოლორადო-სან ხოსე 2:4**
1:1, 0:2, 1:1

**გოლები:** 1:0 კასიმსკი-1 (კ. სტიუარტი-3), 1:1 ნიკოლი-1 (მეიერსი-1, მაკარტნი-1), 1:2 პაველსკი-1 (ჰიტლი-2, მარლო-3), 1:3 პაველსკი-2 (ჰიტლი-3, მარლო-4), 2:3 ჰეიდუკი-2 (კ. სტიუარტი-4, ლაილსი-9), 2:4 კუტური-2 (მიურეი-2, ბოილი-4).

**ედმონტონი-მინესოტა 2:4**
1:3, 0:0, 1:1

**გოლები:** 0:1 ბროძიაკი-1 (მტაუბიცი-1, ბერნსი-2), 0:2 ბროძიაკი-2 (ლატენდრესი-2, ბარკერი-3), 1:2 ჰემსკი-3 (ფოსტერი-1, რაიან უიტნი-4), 1:3 ლატენდრესი-3 (ჰავლატი-6, კულენი-6), 2:3 პორკოფი-3 (ებერლე-2, რაიან უიტნი-5), 2:4 ბერნსი-3 (მ. კოივუ-5).

**ფინიქსი-ლოს ანჯელესი 4:2**
2:0, 1:1, 1:1

**გოლები:** 1:0 სტემპნიაკი-1 (ჟოვანოვსკი-3, ა. ოკუანი-3), 2:0 სტემპნიაკი-2 (პიატი-1, ბელანჟე-2), 3:0 ებეტი-1 (მორისი-1, ჟოვანოვსკი-4), 3:1 სიმონდსი-1 (შენი-1), 3:2 სიმონდსი-2 (რიჩარდსონი-1), 4:2 სტემპნიაკი-3 (ბელანჟე-3, ჟოვანოვსკი-5).



ბროდომ პირველი მშრალი მატჩი ითამაშა

● კალათბურთი. NBA წინასასეზონო მატჩები

**კლივლენდი-მილუოკი 83:77**
20:16, 22:24, 16:19, 25:18

**კ:** სეშენსი (26), პარკერი (18+5 მოხსნა+4 პასი), ჰიქსონი (10), აიენგა (10+6 მოხსნა), ჯეიმისონი (7+7 მოხსნა) ვარეჟაო (6+4 მოხსნა).

**მ:** დუგლას-რობერტსი (16), ჯენინგსი (11+7 პასი), გუდენი (11+6 მოხსნა), დელფინო (10+4 მოხსნა+5 პასი), ბოიკინსი (9), ბოგუტი (8+6 მოხსნა).

**ატლანტა-მაიამი 98:89**
28:25, 18:26, 29:20, 23:18

**ა:** ჯონსონი (27+6 პასი+6 მოხსნა), ბიბი (13+5 პასი), ჰორფორდი (12+9 მოხსნა), სმიტი (11), კროუფორდი (11), უილიამსი (9+11 მოხსნა).

**მ:** ჯეიმსი (38+11 მოხსნა), ბოში (14+14 მოხსნა), ჰასლემი (10+8 მოხსნა), ჰაუსი (9+4 მოხსნა).

**ოკლაჰომა-ნიუ ორლეანი 101:86**
27:17, 26:21, 19:20, 29:28

**ო:** დურანტი (19+5 მოხსნა+8 პასი), უესტბრუკი (17+7 პასი), გრინი (14), კუკი (13), მეინორი (9+5 პასი).

**ნ-ო:** უესტი (24+4 მოხსნა), სმიტი (12+6 მოხსნა), პონდექსტერი (10+4 მოხსნა), მბენგა (9+6 მოხსნა), გრინი (8+6 პასი).

**სან ანტონიო-ჰიუსტონი 111:103**
19:28, 30:27, 24:22, 38:26

**ს-ა:** ბლეირი (17+8 მოხსნა), ჯეფერსონი (16), პარკერი (16), დანკანი (13+10 მოხსნა), ბონერი (11+4 მოხსნა), ჯინობილი (10).

**ჰ:** მარტინი (21), სკოლა (12+7 მოხსნა), ლი (10+4 პასი), პატერსონი (10+5 მოხსნა), ჰილი (9+5 მოხსნა), ბადინგერი (9).

**პორტლენდი-დენვერი 90:83**
20:22, 26:21, 19:16, 25:24

**პ:** როი (23), ოლდრიჯი (16+9 მოხსნა), მილერი (12+7 მოხსნა+7 პასი), ბატუმი (11), კემბი (8+17 მოხსნა).

**დ:** ენტონი (21+7 მოხსნა), აფლალო (14), ლოუსონი (11+7 პასი), სმიტი (9), უილიამსი (8+6 მოხსნა).

**ლეიკერსი-გ. სტეიტი 120:99**
30:25, 25:27, 31:24, 34:23

**ლ:** გასოლი (23+7 მოხსნა), ბლეიკი (18+7 პასი), ოდომი (16+12 მოხსნა), ბრაუნი (13+5 პასი), ბარნსი (10+4 პასი), არტესტი (10+5 პასი).

**გ-ს:** კარი (19+5 მოხსნა), ლი (17+6 მოხსნა), უილიამსი (14), ბ. რაიტი (14+4 პასი), დ. რაიტი (11+6 მოხსნა+6 პასი), ბიედრინსი (11+13 მოხსნა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კალათბურთი

### ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტური

# არასრულფასოვანი რეკორდი

ევროლიგის პირველი ტური დასრულდა და ტურნირის ოფიციალურმა ვებგვერდმა სასტარტო მატჩების რამდენიმე მნიშვნელოვანი მომენტი გამოარჩია.

რა თქმა უნდა, პირველ რიგში აღსანიშნავი იყო ცსკა-ს მცველის **ჯეი არ ჰოლდენის** მე-200 მატჩი ევროლიგაში. ასეთი შედეგი არც ერთ კალათბურთელს არ აქვს. ამერიკელი პირველ შეხვედრას ატარებდა გულზე მკურნალობის კურსის დასრულების შემდეგ და სრული საფუძველი ჰქონდა ეფიქრა, რომ მის იუბილეს არმიელები მოგებით აღნიშნავდნენ, მაგრამ მოსკოვში სენსაცია მოხდა - „მილანმა" 15 ქულით გაანადგურა ევროლიგის ერთ-ერთი ფავორიტი, რომელიც სულ ახლახან დაბრუნდა ამერიკიდან, სადაც NBA-ის კლუბებთან სამი საჩვენებელი მატჩი გამართა და „კლივლენდის" დამარცხება შეძლო.

■ ■ ■

ტურში სამი ორმაგი დუბლი დაფიქსირდა და ერთ-ერთის ავტორი გახდა „პროკომის" შემტევი მცველი **ჯეი არ გიდენსი**. პოლონურმა კლუბმა ამ ზაფხულს ლიდერი და მთავარი სნაიპერი **დევიდ ლოგანი** დაკარგა და სწორედ მის შემცვლელად მიიწვიეს ამერიკელი, რომლისთვისაც ეს პირველი სეზონია ევროპაში. გიდენსს არ გასჭირვებია ახალ პირობებთან აკლიმატიზაცია. „ხიმკის" წინააღმდეგ სადებიუტო შეხვედრაში მან შემტევი მცველისთვის უჩვეული ორმაგი დუბლი მიითვალა - 20 ქულა+10 მოხსნა. თუმცა ჯეი არი გმირი ვერ გახდა, რადგან გადამწყვეტ მომენტში შეცდომა დაუშვა და მისმა გუნდმა წააგო.

გიდენსს ძალიან საინტერესო კარიერა აქვს. მოედანსა და ცხოვრებაში რთული ხასიათით გამოირჩეოდა და ამან ერთხელ ცუდი სამსახური გაუწია. 2005 წლის მაისში, 20 წლის ასაკში ბარში იჩხუბა და მარჯვენა ფეხში დაჭრეს. კალათბურთელს 30 ნაკერი დაადეს და უთხრეს, რომ სამუდამოდ უნდა დაევიწყებინა კალათბურთი. გიდენსი NCAA-ის თამაშებს ჩამოაცილეს, მაგრამ არ დანებდა და 2008 წელს NBA-ის მაშინდელმა ჩემპიონმა - „ბოსტონმა" დრაფტის 30-ე ნომრად აირჩია. „სელტიქსში" მისი კარიერა არ აეწყო და ჯეი არი „ნიუ იორკში" გადაბარგდა. **მაიკ დ'ენტონი** ხანდახან საკმარის სათამაშო დროს აძლევდა, მაგრამ „ნიქსშიც" ვერ გამოიჩინა თავი. NBA-ში კარიერა დროებით შეწყდა და ახლა გიდენსი ევროპაში ცდილობს ადგილის დამკვიდრებას.

■ ■ ■

ტურის მატჩი ლიუბლიანაში გაიმართა - „ოლიმპია" „ეფეს პილსენის" წინააღმდეგ. აქ ევროლიგის რეგულარული სეზონის ისტორიაში მესამედ ითამაშეს ორი ოვერტაიმი. მატჩის გმირი გახდა **კევინ პინკი**, რომელმაც საკუთარ დაბადების დღეს (27 წლის გახდა) 23 ქულა დააგროვა. **იაგოდნიკის** აცილებული საჯარიმოს შემდეგ სწორედ პინკის მიერ შეტევაში მოხსნილმა ბურთმა გადაარჩინა „ოლიმპია" ძირითად დროში წაგებას. პირველ ოვერტაიმში მან ისევ იხსნა მასპინძლები, როცა სწრაფ გარღვევაში მოიპოვა ორი ქულა და ანგარიში გაათანაბრა.

კევინის შესახებ ბევრი არაფერია ცნობილი. ის ერთ-ერთი იმ ამერიკელთაგანია, რომელმაც NBA-ში ფეხი ვერ მოიკიდა და ევროპაში დაფუძნდა. „კლერმონი", „ტუროვი", „ბიელა", „კანტუ", „ჰაპოელი" (იერუსალიმი) - აი მისი კლუბების ჩამონათვალი. წლევანდელ ზაფხულს ამ სიას სლოვენიის „ოლიმპია" დაემატა.

■ ■ ■

რაც შეეხება პირველი ტურის MVP-ის ტიტულს, მისი მფლობელი გახდა თელ-ავივის „მაკაბის" ფორვარდი **ჩაკ ეიდსონი**.

30 წლის ამერიკელის გუნდმა სტუმრად წინააღმდეგობა ვერ გაუწია ესპანეთის „კახა ლაბორალს", მაგრამ თავად ეიდსონმა 14 ქულა, 7 მოხსნა, 8 პასი და 4 ჩაჭრა დააგროვა, რამაც სარგებლიანობის რეიტინგში 30 ქულა შეადგინა.

პირველ ტურში ეიდსონის კონკურენტები იყვნენ უკვე ნახსენები გიდენსი და პინკი, აგრეთვე **გილემ რუბიო**, **ჯოელ ფრილენდი** (ორივე - „უნიკახა"), **სან ემეტერიო** და **დევიდ ლოგანი** (ორივე - „კახა ლაბორალი").

#### A ჯგუფი

**ხიმკი-პროკომი 82:76**

18:14, 19:21, 26:20, 19:21

ხ: ლონგფორდი (17+6 მოხსნა), ფრიძონი (13), პლანინიჩი (12), ეზე (11+5 მოხსნა), ლოპესი (11), სავრასენკო (11+7 მოხსნა).

პ: გიდენსი (20+10 მოხსნა+3 ჩაჭრა), იუინგი (18+4 ჩაჭრა), ვარდა (17).

**ჟალგირისი-პარტიზანი 73:62**

19:17, 24:12, 19:16, 11:17

ჟ: პოჩიუსი (17), მილაკნისი (12+3 ჩაჭრა).

პ: კეჩმანი (13+6 მოხსნა+3 ჩაჭრა).

**კახა ლაბორალი-მაკაბი 94:78**

31:11, 26:21, 19:17, 18:29

კ-ლ: ლოგანი (25), ტელეტოვიჩი (16+8 მოხსნა), რანჩიკი (12), ბარაცი (11+5 მოხსნა), ოლესონი (11), სან ემეტერიო (10+11 მოხსნა+5 პასი).

მ: ეიდსონი (14+7 მოხსნა+4 ჩაჭრა), შორცანიდისი (9), ჰენდრიქსი (9), ბლუტენტალი (8), ბურშტეინი (8).

#### B ჯგუფი

**ოლიმპიაკოსი-რეალი 82:66**

17:17, 19:18, 26:21, 20:10

ო: სპანულისი (16+7 პასი), ბურუსისი (16+7 მოხსნა), ტეოდოშიჩი (15+7 პასი), ნესტეროვიჩი (11+7 მოხსნა).

რ: ლიული (18), სუარესი (12+5 მოხსნა), ტომიჩი (10+6 მოხსნა).

**რომა-ბამბერგი 83:65**

20:16, 19:20, 24:10, 20:19

რ: სმიტი (16), ვაშინგტონი (13+5 პასი), ვიტალი (11), ჯაკეტი (10+4 პასი), დაშიჩი (10+7 მოხსნა+3 ჩაჭრა).

ბ: ჰაინსი (20+7 მოხსნა), რობერტსი (14), იაკობსენი (12).

**უნიკახა-შარლერუა 84:73**

16:24, 26:20, 15:12, 27:17

უ: გ. რუბიო (22), ფრილენდი (18+8 მოხსნა), ტრიპკოვიჩი (14), როდრიგესი (9+4 პასი).

შ: გრინი (20), გომისი (15), რაიტი (11+10 მოხსნა).

#### C ჯგუფი

**ფენერბაჰჩე-ლ. რიტასი 86:69**

24:16, 16:11, 22:18, 24:24

ფ: ლავრინოვიჩი (19), ვიდმარი (17+5 მოხსნა), უკიჩი (11+7 პასი), სავაში (10), ონანი (10).

ლ-რ: ბიელიცა (15), ნიული (15), გეჩევიჩუსი (12+6 მოხსნა), ვალანჩიუნასი (10+10 მოხსნა).

**ბარსელონა-ციბონა 80:66**

17:12, 18:8, 21:21, 24:25

ბ: რ. რუბიო (14+6 მოხსნა+3 ჩაჭრა), ნავარო (14), ლაკოვიჩი (13), გრიმაუ (12), ვასკესი (10+7 მოხსნა).

ც: ბოგდანოვიჩი (28), რადოშევიჩი (15+9 მოხსნა+5 ჩაჭრა), სტიპჩევიჩი (12+7 პასი+5 მოხსნა).

**მონტეპასკი-მოლე 76:44**

22:12, 11:16, 22:12, 21:4

მ: ლავრინოვიჩი (13+6 მოხსნა), კარარეტო (13), მაკალები (12+5 პასი), მოსი (10).

შ: რობინსონი (9+6 მოხსნა).

#### D ჯგუფი

**ოლიმპია-ეფესი 95:90 (2ო)**

22:16, 8:13, 23:26, 8:8, 16:11

ო: პინკი (23+5 მოხსნა), იაგოდნიკი (21), გრეგორი (16+6 მოხსნა), ილიევსკი (16), შერმადინი (11).

ე: რაკოჩევიჩი (23), თუნჩერი (15), ტორნტონი (14+6 მოხსნა), გონლუმი (12+9 მოხსნა), ნახბარი (11+5 მოხსნა).

**ცსკა-მილანი 73:88**

17:26, 12:26, 25:20, 19:16

ც: გორდონი (15+5 მოხსნა+4 პასი), სოკოლოვი (13+8 მოხსნა), ვორონცევიჩი (11+5 მოხსნა).

მ: პეჩეროვი (23+5 მოხსნა), ფინლი (15+5 პასი), მანჩინელი (13), მაჩიულისი (11), ჯააბერი (11), როკა (10).

**ვალენსია-პანათინაიკოსი 56:72**

15:17, 12:25, 20:13, 9:17

ვ: მარტინესი (16), კლავერი (15+6 მოხსნა), კუკი (9+5 მოხსნა).

პ: ბატისტი (13), პერპეროგლუ (10), დიამანტიდისი (8+7 პასი+4 ჩაჭრა).

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

#### ევრო 2011. UNDER 19

| | |
|---|---|
| უელსი-ისლანდია | 1:1 |
| თურქეთი-ყაზახეთი | 5:1 |

#### ევრო 2011. UNDER 17

| | |
|---|---|
| პორტუგალია-აზერბაიჯანი | 2:0 |
| ჩრ. ირლანდია-ჩერნოგორია | 0:0 |

#### ინგლისი. ჩემპიონატი

| | |
|---|---|
| ბრისტოლი-ქუინზ პარკი | 1:1 |

#### იტალია. სერია B

| | |
|---|---|
| ნოვარა-ვიჩენცა | 3:0 |

#### ესპანეთი. II დივიზიონი

| | |
|---|---|
| ხერესი-ვილიარეალი B | 3:1 |

#### გერმანია

| | |
|---|---|
| ჰამბურგი-ბაიერნი | 0:0 |

#### II ბუნდესლიგა

| | |
|---|---|
| აუგსბურგი-უნიონი | 2:1 |
| ჰერტა-ფიურტი | 2:0 |
| ოსნაბრიუკი-კოტბუსი | 2:0 |

#### III ბუნდესლიგა

| | |
|---|---|
| ოფენბახი-ბაბელსბერგი | 2:1 |

#### რეგიონალლიგა (ჩრ)

| | |
|---|---|
| პლაუენი-ლაიპციგი | 0:2 |
| ხემნიცი-კილი A | 0:2 |

#### რეგიონალლიგა (სამ)

| | |
|---|---|
| აინტრახტი A-ზონენჰოფი | 5:0 |

#### რეგიონალლიგა (დას)

| | |
|---|---|
| მუსტერი-ლევერკუზენი A | 2:0 |

#### საფრანგეთი. II დივიზიონი

| | |
|---|---|
| აიაჩო-ტური | 2:0 |
| ლავალი-დიჟონი | 2:0 |
| ლე მანი-ისტრი | 1:0 |
| მეცი-ანჟერსი | 1:1 |
| ნანტი-შატორუ | 1:1 |
| რეიმსი-გრენობლი | 4:1 |
| ტრუა-კლერმონი | 1:1 |
| ვანი-ბულონი | 0:0 |

#### ჰოლანდია

| | |
|---|---|
| ბრედა-როდა | 1:2 |

#### II დივიზიონი

| | |
|---|---|
| ფორტუნა-დორდრეხტი | 1:2 |
| აპელდოორნი-ცვოლე | 1:5 |
| იგლზი-მაასტრიხტი | 3:0 |
| ჰელმონდი-კამბური | 2:0 |
| ვაალვიკი-ომნივორლდი | 5:0 |
| სპარტა-ემენი | 5:0 |
| ტელსტარი-ეინდჰოვენი | 1:2 |
| ვეენდამი-დენ ბოში | 1:1 |

#### ბელგია

| | |
|---|---|
| კორტრიიკი-გენკი | 1:0 |

#### დანია. II დივიზიონი

| | |
|---|---|
| ვიბორგი-კიოგე | 1:2 |

#### ავსტრია. II დივიზიონი

| | |
|---|---|
| აუსტრია (ლ)-ადმირა | 2:1 |
| სტ. ანდრე-ლუშტენაუ | 1:3 |
| გრიოდიგი-ალტახი | 0:2 |
| ვენა-სტ. პოლტენი | 3:4 |
| გრატკორნი-ჰარტბერგი | 3:1 |

#### შვეიცარია. ჩელენჯლიგა

| | |
|---|---|
| ბილი-სტად ნიონე | 5:0 |
| შაფჰაუზენი-ვოლენი | 2:1 |

#### თურქეთი

| | |
|---|---|
| ძარაბუძი-ესძისეჰირი | 1:2 |
| შივასი-ბუკა | 1:1 |

#### ირლანდია

| | |
|---|---|
| დანდალკი-სპორტინგი | 0:2 |
| გალვეი-ბოჰემიანსი | 3:2 |
| სტ. პატსი-ბრეი | 2:0 |
| უნივერსიტი-სლიგო | 1:2 |
| შემროკი-დროგედა | 2:0 |

#### II დივიზიონი

| | |
|---|---|
| კორკი-სოლტჰილი | 1:2 |
| დერი-ფინ ჰარპსი | 2:2 |
| ლიმერიკი-შელბურნი | 0:1 |
| უოტერფორდი-ეთლონი | 3:2 |
| ლონგფორდი-უეძსფორდი | 1:2 |

#### უელსი

| | |
|---|---|
| ებერისტვითი-კარმარტენი | 2:2 |
| პრესტატინი-ტნს | 0:0 |

#### ჩეხეთი

| | |
|---|---|
| ტეპლიცე-ჰრადეცი | 2:1 |

#### II დივიზიონი

| | |
|---|---|
| დუკლა-სეზიმოვო | 1:1 |

#### უკრაინა

| | |
|---|---|
| ობოლონი-ტავრია | 2:1 |

#### პოლონეთი

| | |
|---|---|
| პოლონია (ბ)-შლიონსკი | 0:0 |
| კორონა-ლეგია | 1:4 |

#### ხორვატია

| | |
|---|---|
| დრაგოვოლიაცი-ზადარი | 1:4 |

#### უნგრეთი

| | |
|---|---|
| პაკსი-დიორი | 2:1 |
| ზალაეგერშეგი-ვაშაში | 2:1 |

#### რუმინეთი

| | |
|---|---|
| ვიძტორია-ბრაშოვი | 1:1 |
| ტიმიშოარა-უნივერსიტატ. (კლ) | 2:2 |
| გლორია-დინამო | 0:2 |

#### ლატვია

| | |
|---|---|
| სკონტო-დაუგავა | 0:1 |

### კალათბურთი

#### საფრანგეთი

| | |
|---|---|
| ლიმოჟი-პო ორტეზი | 90:63 |

### ჰოკეი

#### კჰლ

| | |
|---|---|
| ლოკომოტივი-ტრაქტორი | 6:5 |
| სევერსტალი-დინამო (მნ) 1:1 დ.დ. | 1:0 |
| სკა-დინამო (რ) | 5:3 |
| ტორპედო-მეტალურგი (მ) | 3:5 |
| ატლანტი-ს. იულიაევი | 2:0 |
| სპარტაკი-ცსკა | 0:1 |

#### ავსტრია

| | |
|---|---|
| აკრონი-ვენა | 4:2 |
| გრაცი-ვილახი | 3:4 |
| კლაგენფიურტი-ლინცი | 6:1 |
| ზაგრები-ალბა | 6:0 |
| ოლიმპია-ზალცბურგი | 4:3 |

#### გერმანია

| | |
|---|---|
| აისბარენი-ინგოლშტადტი | 0:2 |
| ჰამბურგი-შტრაუბინგი 4:4 ბულ. | 1:0 |
| ჰანოვერი-იზერლონი | 5:2 |
| კრეფელდი-მანჰაიმი | 1:2 |
| მიუნხენი-დიუსელდორ. 2:2 ბულ. | 0:1 |

#### დანია

| | |
|---|---|
| როდოვრე-ჰვიდოვრე | 1:4 |
| ესბერგი-სონდერიისკი | 0:4 |
| ჰერნინგი-ოდენსე | 4:2 |
| ფრედრიკშავნი-ოლბორგი | 1:3 |

#### სლოვაკეთი

| | |
|---|---|
| მარტინი-ზვოლენი | 1:5 |
| პოპრადი-სლოვანი | 5:0 |
| სკალიცა-ჟილინა | 4:1 |
| ტრენჩინი-ნიტრა | 5:2 |
| ბისტრიცა-კოშიცე | 2:5 |

#### ფინეთი

| | |
|---|---|
| პელიკანსი-საიპა | 1:2 |

#### ჩეხეთი

| | |
|---|---|
| ტრშინეცი-ბრნო | 0:3 |
| ზლინი-ლიბერეცი 3:3 დ.დ. | 1:0 |
| ბოლესლავი-კლადნო | 0:2 |
| ბუდეიოვ.-ვიტკოვიცე 2:2 დ.დ. | 1:0 |
| სპარტა-პარდუბიცე 1:1 ბულ. | 1:0 |
| კარლოვი ვარი-პლზენი | 5:2 |

#### შვეიცარია

| | |
|---|---|
| ამბრი-ცუგი 2:2 დ.დ. | 1:0 |
| ბერნი-სერვეტი 2:2 ბულ. | 1:0 |
| დავოსი-რაპერსვილი | 4:2 |
| ლუგანო-ბილი | 5:2 |
| ფრიბურგი-კლოტენი | 1:3 |

### ჩოგბურთი

#### ATP. მოსკოვი

| | |
|---|---|
| კუევასი-შტეპანეკი | 6:4, 7:6 |
| ტროიცკი-სებალიოსი | 6:2, 6:1 |
| კუნიცინი-**ისტომინი** | 2:6, 4:6 |
| **ბაღდატისი**-დოლგოპოლოვი | 6:2, 7:6 |

#### ATP. სტოკჰოლმი

| | |
|---|---|
| ბლეიკი-**ნიემინენი** | 0:6, 2:6 |
| **ლუბიჩიჩი**-დოდიგი | 4:6, 6:2, 6:4 |
| სიოდერლინგი-**ფ. მაიერი** | 6:7, 1:6 |
| **ფედერერი**-ვავრინკა | 2:6, 6:2, 6:2 |

#### WTA. ლუქსემბურგი

| | |
|---|---|
| ბენეშოვა-**კეოტავონგი** | 7:6, 2:6, 4:6 |
| **კერბერი**-ჰერცოგი | 6:4, 6:2 |
| ივანოვიჩი-**გორგესი** | 3:6, 1:6 |
| **ვინჩი**-ფლიპკენსი | 7:6, 6:1 |

#### WTA. მოსკოვი

| | |
|---|---|
| კლეიბანოვა-**აზარენკა** | 1:6, 3:6 |
| **მ. სანჩესი**-ციბულკოვა | 6:2, 6:3 |
| დიასი-**კირილენკო** | 1:6, 2:6 |
| **დუშევინა**-ჩაკვეტაძე | 6:3, 7:6 |

## TV პროგრამა

### 23 ოქტომბერი. შაბათი

#### მზე

13:00 იმედის ფსონი.
15:00 U 17 შესარჩევი მატჩი. საქართველო-შვედეთი (LIVE).
20:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. სარაგოსა-ბარსელონა (LIVE).
22:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-რასინგი (LIVE).
00:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ვალენსია-მალიორკა (LIVE).

#### I არხი

18:00 ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. ზესტაფონი-დინამო (LIVE).
20:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.

#### რუსთავი 2

12:30 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა.

#### НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

07:20 საფეხბურთო კლუბი.
08:10 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. პანათინაიკოსი-რუბინი.
10:10 სასტვენი.
11:00 ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტურის მიმოხილვა.
12:00 ახალი ამბები.
12:20 გერმანიის ჩემპიონატი. ჰამბურგი-ბაიერნი.
14:00 რუსეთის ჩემპიონატი. ტურის წინ.
14:05 საფეხბურთო კლუბი.
14:55 ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
15:25 ახალი ამბები.
15:40 ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. ზენიტი-ჰაიდუკი.
17:20 რუსეთის ჩემპიონატი. ტურის წინ.
17:25 გერმანიის ჩემპიონატი. ბორუსია (მ)-ვერდერი (LIVE).
19:25 რუსეთის ჩემპიონატი. ტურის წინ.
19:30 ახალი ამბები.
19:50 რუსეთის ჩემპიონატი. ტურის წინ.
19:55 ესპანეთის ჩემპიონატი. სარაგოსა-ბარსელონა (LIVE).
21:55 ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-რასინგი (LIVE).
23:55 ესპანეთის ჩემპიონატი. ვალენსია-მალიორკა (LIVE).
01:55 გერმანიის ჩემპიონატი. ნიურნბერგი-ვოლფსბურგი.
03:45 საფრანგეთის ჩემპიონატი. სენტ ეტიენი-კანი.
05:35 საფეხბურთო კლუბი.

#### EUROSPORT

10:40 ევროსპორტი სუფთა პლანეტისთვის. ტელეჟურნალი.
10:45 ექსტრემალური სპორტი.
11:00 ოლიმპიური თამაშები. ტელეჟურნალი.
12:00 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. გიგანტური სლალომი. ქალები. I ცდა. ზოლდენი. ავსტრია (LIVE).
13:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. მოსკოვი. რუსეთი. 1/2 ფინალი (LIVE).
16:45 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. გიგანტური სლალომი. ქალები. II ცდა. ზოლდენი. ავსტრია.
17:45 ტრამპლინიდან ხტომა. ზაფხულის გრან-პრი. HS140. ლიბერეცი. ჩეხეთი.
18:45 ტრამპლინიდან ხტომა. ზაფხულის გრან-პრი. HS140. კლიგენტალი. გერმანია.
19:45 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. გიგანტური სლალომი. ქალები. II ცდა. ზოლდენი. ავსტრია.
20:45 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. მოსკოვი. რუსეთი. 1/2 ფინალი.
22:00 სპიდვეი. გრან-პრი. კრალევეცი. ხორვატია.
23:00 სპიდვეი. გრან-პრი. კოპენჰაგენი. დანია.
00:00 ბრძოლა წესების გარეშე.
03:00 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. გიგანტური სლალომი. ქალები. II ცდა. ზოლდენი. ავსტრია.

### 24 ოქტომბერი. კვირა

#### მზე

13:00 იმედის ფსონი.
14:30 იტალიის ჩემპიონატი. პარმა-რომა (LIVE).
17:00 იტალიის ჩემპიონატი. ბოლონია-იუვენტუსი (LIVE).
19:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. პსჟ-ოსერი (LIVE).
22:45 იტალიის ჩემპიონატი. ინტერი-სამპდორია (LIVE).

#### НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

06:30 გერმანიის ჩემპიონატი. ბორუსია (მ)-ვერდერი.
08:20 ესპანეთის ჩემპიონატი. სარაგოსა-ბარსელონა.
10:10 ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-რასინგი.
12:00 ახალი ამბები.
12:25 ესპანეთის ჩემპიონატი. ვალენსია-მალიორკა.
14:25 იტალიის ჩემპიონატი. პარმა-რომა (LIVE).
16:25 ჰოლანდიის ჩემპიონატი. ეინდჰოვენი-ფეიენოორდი (LIVE).
16:30 ახალი ამბები.
18:30 ახალი ამბები.
18:55 საფრანგეთის ჩემპიონატი. პსჟ-ოსერი (LIVE).
20:55 ესპანეთის ჩემპიონატი. სევილია-ბილბაო (LIVE).
22:55 ესპანეთის ჩემპიონატი. ვილიარეალი-ატლეტიკო (LIVE).
00:55 ახალი ამბები.
01:10 ბრაზილიის ჩემპიონატი. ატ. პარანაენსე-ფლუმინენსე.
03:00 იტალიის ჩემპიონატი. ბოლონია-იუვენტუსი.
04:45 ჰოლანდიის ჩემპიონატი. ექსელსიორი-აიაქსი.

#### EUROSPORT

10:30 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. გიგანტური სლალომი. ქალები. I ცდა. ზოლდენი. ავსტრია.
11:15 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. გიგანტური სლალომი. ქალები. II ცდა. ზოლდენი. ავსტრია.
12:00 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. გიგანტური სლალომი. კაცები. I ცდა. ზოლდენი. ავსტრია (LIVE).
13:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. მოსკოვი. რუსეთი. ფინალი (LIVE).
15:00 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. გიგანტური სლალომი. კაცები. II ცდა. ზოლდენი. ავსტრია (LIVE).
16:00 ტრამპლინიდან ხტომა. ზაფხულის გრან-პრი. HS140. ლიბერეცი. ჩეხეთი.
17:00 ტრამპლინიდან ხტომა. ზაფხულის გრან-პრი. HS140. კლიგენტალი. გერმანია.
18:00 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. გიგანტური სლალომი. კაცები. II ცდა. ზოლდენი. ავსტრია.
19:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. ქალები. ფინალი.
20:00 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. ქალები. ფინალი.
21:00 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. ქალები. ფინალი.
22:00 სპიდვეი. გრან-პრი. ლონიგო. იტალია.
23:00 სპიდვეი. გრან-პრი. ბიდგოში. პოლონეთი.
00:00 ავტომოტოსპორტი. ტელეჟურნალი.
00:15 პროფესიული კრივი. მძიმე წონა. ტომაშ ადამეკი (პოლონეთი)-მაიკლ გრანტი (აშშ). მაიამი. აშშ.
01:55 ავტომოტოსპორტი. ტელეჟურნალი.
02:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. მოსკოვი. რუსეთი. ფინალი.
03:15 ავტომოტოსპორტი. ტელეჟურნალი.

● კვირის ბოლოს



ალექსანდრე ტოგონიძის კოლაჟი

● ჩოგბურთი




# მარია დაინიშნა

ცნობილმა რუსმა ჩოგბურთელმა **მარია შარაპოვამ** თავისი შეყვარებულისგან - „ლეიკერსის" სლოვენიელ ლეგიონერ **საშა ვუიაჩიჩისგან** ნიშნობის ბეჭედი მიილო. ამის შესახებ თავად კალათბურთელმა 21 სექტემბერს, „გოლდენ სტეიტთან" საჩვენებელი მატჩის წინ განაცხადა. 26 წლის ვუიაჩიჩის თქმით, შარაპოვამ მისი წინადადება დიდი სიამოვნებით მიიღო და ახლა ისინი ბედნიერები არიან - წერს სააგენტო „როიტერი". *„კარგი ამბავია. ახლა შეგვიძლია უფრო მეტად კონცენტრირებული ვიყოთ ჩვენს საქმეებზე"*, - განაცხადა საშამ.

მარია შარაპოვას პირადი ცხოვრება დიდი ხანი ჩრდილში იყო მოქცეული, რადგან ჩოგბურთელის მამა და მენეჯერები შიშობდნენ, რომ ეს სპონსორულ კონტრაქტებს დააზარალებდა. პირველი ჭორი მარიას პირადი ცხოვრების შესახებ ამერიკელ ჩოგბურთელ **ენდი როდიკს** უკავშირდებოდა, მაგრამ ამ ამბავს რეალური გაგრძელება არ ჰქონია. შემდეგ ტაბლოიდებმა გამოაცხადეს მარიასა და პოპ-როკ ჯგუფ Maroon 5-ის სოლისტ **ადამ ლევაინის** რომანის შესახებ. მაგრამ ეს „პროექტი" თავად მუსიკოსმა გააფუჭა ერთ-ერთი ინტერვიუს დროს. მასში ლევაინი თითქოს ამტკიცებდა, რომ „შარაპოვა საწოლში ბაყაყივით ცივია". მოგვიანებით მომღერალმა უარყო ეს განცხადება, თუმცა უკვე გვიან იყო.

მარიასა და საშა ვუიაჩიჩის რომანტიკული ურთიერთობის შესახებ ინფორმაცია გასული წლის ბოლოს გაჩნდა. ბოლო დროს წყვილი არ ემალებოდა პაპარაცებს და ხშირად ჩნდებოდა პუბლიკის წინაშე. სლოვენიელმა 23 წლის მარიას ხელი იმ დღეს სთხოვა, როცა ისინი მეგობრების წრეში აღნიშნავდნენ ურთიერთობის ერთი წლისთავს. *„შესაძლოა, ასეთ სიტუაციაში ხელის თხოვნა ძველმოდური სტილია, მაგრამ მინდოდა ბოლომდე ჯენტლმენად დავრჩენილიყავი*, - განაცხადა ვუიაჩიჩმა. - *ახლა შეგვიძლია ქორწილის მომზადებაზეც ვიზრუნოთ"*. თუმცა „ლეიკერსის" მცველს არ დაუკონკრეტებია ქორწილის თარიღი.

ნიშნობის ამბავი შარაპოვას აგენტმაც დაადასტურა.

■ ■ ■

მარია შარაპოვამ შვიდწლიანი კარიერის განმავლობაში 13,7 მილიონი დოლარი გამოიმუშავა. მაგრამ მისი შემოსავლების დიდი წილი სარეკლამო კონტრაქტებზე მოდის. ჟურნალ „ფორბსის" მონაცემებით, მისი წლიური შემოსავალი დაახლოებით 24.5 მილიონ დოლარს უტოლდება, რითაც ის ყველაზე მაღალანაზღაურებადი ქალი სპორტსმენია მსოფლიოში.

თუმცა სპორტულ ასპარეზზე მარიას აშკარა კრიზისი აქვს. 2008-09 წლებში რუსმა ჩოგბურთელმა 10 თვე გამოტოვა ტრავმირებულ მხარზე ოპერაციის გამო და უჭირს ძველ დონეზე დაბრუნება. გამოჯანმრთელების შემდეგ, მარია „დიდი სლემის" ტურნირებში მეოთხედფინალზე შორს ვერ წავიდა და ვერც მსოფლიოს რეიტინგის საუკეთესო ათეულში შეაღწია. ეს ყველაფერი ჭორაობის საფუძველს იძლევა - კერძოდ, ამბობენ, რომ რუსმა, შესაძლოა, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო დაასრულოს კარიერა.

არსებობს ვერსია, რომ შარაპოვას რომანი და ნიშნობა - სარეკლამო სვლაა, რომელიც კორტზე წარუმატებელი გამოსვლის ფონზე ჩოგბურთელის პოპულარობის შენარჩუნებას ემსახურება. ასეთ ხერხს წარმატებით იყენებდა ქალთა ჩოგბურთის ყოფილი სექს-სიმბოლო **ანა კურნიკოვა**. ამ უკანასკნელის მენეჯერები ხან **პაველ ბურესთან** და ხან **სერგეი ფიოდოროვთან** რომანის შესახებ ავრცელებდნენ ჭორებს.

საერთოდ, ჩოგბურთელი ქალები იშვიათად თხოვდებიან სპორტის სხვა წარმომადგენლებზე - ძირითადად, მათი რჩეულები ისევ საჩოგბურთო სამყაროდან არიან. თუმცა მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი **კიმ კლაისტერსი** სწორედ კალათბურთელზე დაქორწინდა და მისგან ერთი შვილიც გააჩინა.

● ფორმულა 1

# კორეა უებერმა გახსნა

მიმდინარე სეზონის ლიდერმა **მარკ უებერმა** პარასკევის თავისუფალ პრაქტიკაზე საუკეთესო დრო აჩვენა. მეორე ვარჯიშისას „რედ ბულის" ავსტრალიელმა პილოტმა ახალ ტრასაზე წრე წუთსა და 37,942 წამში გაიარა, რაც 0,19 წამით უკეთესია ტიტულის მეორე პრეტენდენტის, „ფერარის" პილოტ **ფერნანდო ალონსოს** შედეგზე.

როგორც სპეციალისტები ვარაუდობდნენ, იონამის ტრასის ახალი ასფალტი მოცურების მხრივ საკმაოდ პრობლემატური აღმოჩნდა, რამაც პილოტთა მხრიდან უამრავი შეცდომა გამოიწვია. თუმცა თავისუფალი პრაქტიკა მხოლოდ ერთხელ შეწყდა წითელი დროშების გამო - HRT-ის პილოტ **საკონ იამამოტოს** ავარიის დროს.

მეორე ვარჯიშის შედეგების მიხედვით, პირველი ოთხი ადგილი ოთხი სხვადასხვა გუნდის წარმომადგენელმა დაიკავა. მესამე პოზიციაზე აღმოჩნდა „მაკლარენის" წევრი **ლუის ჰემილტონი**, მეოთხეზე - „რენოს" პილოტი **რობერტ კუბიცა**. ჰემილტონის თანაგუნდელ **ჯენსონ ბატონს** ტექნიკური პრობლემები შეექმნა - მისი ძრავა გადახურდა და მოქმედ ჩემპიონს დიდი დრო გაუცდა. მიუხედავად ამისა, ინგლისელმა მეხუთე შედეგი აჩვენა.

„ფერარის" მეორე პილოტი **ფელიპე მასა** ექვსეულში შევიდა. რაც შეეხება ჩემპიონობის კიდევ ერთ პრეტენდენტს, „რედ ბულის" გერმანელ პილოტ **სებასტიან ფეტელს**, ის თანაგუნდელსა და ვარჯიშის ლიდერს წამზე მეტით ჩამორჩა.

„მერსედესის" პილოტებმა - **ნიკო როსბერგმა** და **მიხაელ შუმახერმა** მხოლოდ მეცხრე და მე-12 ადგილები დაიკავეს.

■ ■ ■

თავისუფალი ვარჯიში პირველი პრაქტიკა აღმოჩნდა პილოტებისთვის კორეის ახალ ტრასაზე. მანამდე კი ჩემპიონატის მონაწილეებმა უბრალოდ ფეხით ან ველოსიპედით გაისეირნეს ტრეკზე. მათ ერთხმად აღნიშნეს, რომ ავტოდრომის გაფორმება უკეთესადაც შეიძლებოდა, სამაგიეროდ, ტრასის კონფიგურაცია მოიწონეს და მომავალ გრან-პრიზე დაძაბული ბრძოლა იწინასწარმეტყველეს.

თუმცა გარკვეული ეჭვებიც არსებობს - პილოტები ასფალტის საფართან დაბალ მოჭიდებას უჩივიან. მათი შეშფოთება დაადასტურა უსაფრთხოების მანქანის მძღოლმა **ბერნდ მაილანდერმა**, რომელიც ერთხელ ტრასიდან გადავარდა...

ფელიპე მასა: *„საინტერესო ტრასაა. აქ ნებისმიერი სახეობის მოსახვევია, რომლებიც სხვა ტრეკებზეც გვხვდება. არის ნელი მონაკვეთები, სერიოზული დამუხრუჭების ზონები, სწრაფი და საშუალო მოსახვევები, რომელსაც მესამე და მეოთხე გადაცემით გადიან. მოკლედ, რბოლა ძალიან საინტერესო უნდა გამოვიდეს.*

*უსაფრთხოების მანქანის მაგალითზე ყველამ დავინახეთ, რა შეიძლება მოხდეს, თუ დამუხრუჭების წერტილი გამოგრჩება. სავარაუდოდ, ტრასის მდგომარეობა უქმეების მსვლელობისას შეიცვლება, მაგრამ შაბათს ის ძალიან ჭუჭყიანი იქნება, ამიტომაც განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მივანიჭოთ მანქანის ტექნიკურ მახასიათებლებს.*

*როცა ასფალტის მდგომარეობა იცვლება, ერთ დღეს ნაპოვნმა მახასიათებლებმა, შესაძლოა, მეორე დღეს არ იმუშაოს. ამიტომაც ძალიან მნიშვნელოვანია მოქმედების სიზუსტე და თანმიმდევრობა".*

**ვიტანტონიო ლიუცი:** *„პიტ-ლეინზე შესასვლელი არც ისე კარგად გამოიყურება, გამოსასვლელთან ოდნავ უკეთესი სიტუაციაა, მაგრამ თუ იქ დამუხრუჭებამ მოგინია, შესაძლოა, მანქანა დაკარგო. პირადად მე მოხარული ვარ, რომ კორეაში შევიკრიბეთ და იმედია, ყველაფერი კარგად ჩაივლის".*

**ლუის ჰემილტონი:** *„თვალს აკლია ჩვეულებრივი დეკორაციები. ამიტომაც ვერ ვიტყვით, რომ ავტოდრომი ბოლომდე მზად არის გრან-პრის ჩასატარებლად. მაგრამ როგორც ჩანს, აქ რბოლა საინტერესო იქნება".*

**ნიკ ჰაიდფელდი:** *„ტრასა შესანიშნავად გამოიყურება. ბოლო კვირის ნეგატიურ კომენტარებს თუ გავითვალისწინებთ, ყველაფერი გაცილებით კარგადაა, ვიდრე წარმომედგინა. მცირე პრობლემები დარჩა - მოცურების საფრთხე და ბოლო მოსახვევი, რომელსაც უსაფრთხოების ზონა არ აქვს, ხოლო ბარიერები მარცხნივ და მარჯვნივ თითქმის ტრასაზეა გამოსული".*

**სებასტიან ფეტელი:** *„დილით გავისეირნე - ყველაფერი შესანიშნავდაა. ავტოდრომზე ბევრი ტრიბუნაა და იმედია, ყველა ადგილი დაკავებული იქნება. რაც შეეხება ტრასას, დიდი მნიშვნელობა ექნება ასფალტთან მოჭიდების დონეს. ამ გრან-პრის გაუქმებას უპირებდნენ, მაგრამ კორეის ეტაპი შედგება, რადგან ორგანიზატორებმა უდიდესი სამუშაო გასწიეს".*

**რობერტ კუბიცა:** *„ჩემი ყურადღება მიიპყრო ბევრმა საინტერესო მოსახვევმა, მაგრამ ბევრი რამ დამოკიდებული იქნება ტრასასთან მოჭიდებაზე. თუ პირველ მოსახვევში გაჩნდება დამწვარი რეზინის კვალი, მაშინ იქ გასწრების შესაძლებლობა მოგვეცემა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ტრაექტორიიდან ნებისმიერი გადახვევა მეტად სახიფათო იქნება.*

*ასეთ სახიფათო საფარზე რბოლა ჩვენთვის სიახლე არ არის - კანადაში ახალ ასფალტზეც დაახლოებით ასეთ სიტუაციაში მოგვიწია გამოსვლამ. თუმცა აქ უფრო რთული იქნება".*

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

